

1970

2015 №7

საქართველოს ქართველობის  
ეკინაცი

№ 7 (25)

ივნისი, 2015 წელი  
ფურ 2,5 ლიტ  
ერთობლივი

# სამხტელე

ი ი ი ი

BENEDIKT LEDEBUR



ერიშტე

ლეპსი დორისელი  
„15 საუკთასოზე“

ლევან ბრეგაძე  
შესრულებული

ლელა კოდალაშვილი  
მიზან უაღვევა

ნორის ავტორები

დიანა აფიონიალი & ბერელიაშვილი

არაზია

კაატა შარუგია

ბერა ახალაკა

თორინევა გოგიაშვილი

პროზა

დათო ბარბაკაცი

გელა ჩქვანელი

მანა მინაბლი

ომარ კაჭე

ახალი თარგმანები

პაიორ მიულერი

არნო შეიდოგი



საგიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;  
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;  
ბუკლეტები; გატალოგები; მენიუები; კალენდრები;  
პოსტერები ბლანკები; კონვერტები; ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა  
ნებისმიერი სირთულის ყუთები; ასევე ყუთებზე ბეჭდვა;  
ყველა სირთულის კვეთები; ეტიკეტები და სხვა თვითწებადი  
პროდუქტები; ბილეთები; აფიშები, ბანერები, გიტრინების  
და აგტომობილების გაფორმება;  
საათების ბრენდირება;  
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგამები,  
ნატურალურ ტილობები;  
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;  
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

თათალაპის 8. ფეს.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



ეროვნული გამოცემის საქართველოს  
კულტურისა და სპორტისა და კურორტული სამინისტროს  
მხარდაჭირით



## ნომრის ავტორები

### დიანა ანფიმიაძი

თეა თოვლიანი – დიანა ანფიმიაძი: „ავდგეთ და გადავრჩეთ!“ – 3

დიანა აცვიმიაძი – ლექსები – 8

აშონარიძები (გიორგი ლობჟანიძე, ეკა ქევანიშვილი) – 12

1

### ბენეფიტ ლედებური

„ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსხვრევა  
პოეზიის პრეროგატივაა“ (ინტერვიუ დათო ბარბაქაძესთან) – 14

გენელიატ ლედებური – ლექსები  
(გერმანულიდან თარგმნა ლევან კავლელმა) – 19

გენელიატ ლედებური – ერთი ფილოსოფიური შემთხვევა  
ნინასნარი განზრახვის შესახებ ლიტერატურაში  
(გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) – 7

2

### პოეზია

ასატა შაშუშია – 33

გიგა ახალაძი – 34

თორნიკე გოგიაშვილი – 40

3

### პროზა

დათო ბარბაქაძი – მწემოზინა და ქალაქები – 42

გელა ჩბანავა – შეგირდი – 45

განანა გენაპლი – AMADI; ბოსანოვა – 50

ომარ კაჭება – ქინძაღრომი; უხეირო ოპერაცია – 59

პროექტის ავტორი;  
ვაჟა შოთა ლაპარაკი  
მთავარი რედაქტორი;  
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი;  
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება;  
ნიკა ხველეიძე

სარედაქციო კოლეგია;  
დავით ანდრიაძე  
გია ეგბერაძე  
დათო ფურაშვილი  
ეკა ევანიშვილი  
ზურა ჭათირიშვილი  
დავით ჩიხლაძე  
გია ხალური

ნომერზე მუშაობდნენ;  
თეა თოფურია  
დათო პარპაძაძე  
ლელა კავლელი  
თამარ კოტრიკაძე  
პაატა შავუგია  
გერა ახალაია  
თორინე გომინაშვილი  
გელა ჩქვანავა  
მანანა მენაბედი  
ომარ კაზბეკი  
ლელა დორეული  
ლელა პრეგაძე  
ლელა კოდალაშვილი  
დავით კაკაძე  
ალექსანდრე კარტოზია

# 4

# 5

## პრიტიკა

ლეპსო დორეული – მუზა გამოძახებით – 64

ლევან პრეგაძე – „სადღაც“ და „ვილაც“ ტერენტი  
გრანელის შემოქმედებაში – 69

ლელა კოდალაშვილი – სიყვარულის და სექსის  
სასოწარკვეთილი აღლუმი სიკვდილამდე – 72

## ახალი თარგმანები

დავით კაკაძაძე – ორი ქვეყანა – ორი ლიტერატურა? – 76

ჰაინრი მიულერი – რეინის ჯვარი  
(გერმანულიდან თარგმნა დავით კაკაძემ) – 78

არც შმიდტი – ზაფხულის მეტეორი  
(გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ) – 79

გამომცემლობა – „სუნჟე“

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა სუნჟე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>

[www.saungeo.ge](http://www.saungeo.ge)

## 1

## ნომრის ავტორი



## დიანა აცვიაძი: „ავლგეთ და დავრჩით!“

თეა თოფურია

1982 წლის 28 ივნისს დაიბადა, ანუ ცხელი დროის ცხელ დღეს. პირველი, რაც ახსოვს, მამის გასვენებაა. იმდენად პატარა იყო, მამა რომ მოუკვდა, შინაურებმა არც უთხრეს და როცა მეზობელმა მაინც მიახალა, ვერ გაიგო, რა მოხდა. დედა, 33 წლის ქალი, სამი პატარა ბავშვით დარჩა, სამივეს მიხედვა სჭირდებოდა. დიანა უმცროსი იყო.

„კიდევ ერთი კადრი მახსოვს მამაჩემთან დაკავშირებით: ეზოში წავიქეცი. ჩამოვიდა და ამიყვანა. არ ვიცი, რამდენად მართლა მოხდა ეს“.

მამის სიკვდილის შემდეგ, რამდენიმე თვეში, სახლი გაქურდეს. ოჯახს გასაყიდიც არაფერი დარჩა. ბოსტნი ჰქონდათ, უამრავი რამ მოჰყავდათ იქ და რაც მოჰყავდათ, შემოდგომაზე მინის ქილებში ინახავდნენ, აკონსერვებდნენ, ხუფავდნენ. საჭმელი არსაოდეს იყო საქმარისი. ერთ-ერთი ფობია, რომელიც დიანამ მაშინ შეიძინა, ცარიელი მაცივრის შიშია. დღესაც კი, სახლში, აუცილებლად უნდა იყოს საკ-მარისი პროდუქტი, მინიმუმ ორი კერძის მოსამზადებლად, და კიდევ ყავა.

ყოვლად არასპორტული ბავშვი იყო, რეზინიბანასაც კი ვერ თამაშობდა. სულ წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. დღემ-დე ახსოვს, რომელ ნაწარმოებში რა კერძებია ნახსენები. ესეც უფრო იმიტომ დაამასოვრდა, რომ წიგნში ნახსენები ძეხვები და გუცეტები მაშინდელ რეალობაში დეფიციტი იყო.

„— თუ შია, აგერა ძეხვი და კარტოფილი, — თქვა კარლ-სონმა, რომელიც ამ დროს ბუფეტს ათვალიერებდა. — არც ერთი ბავშვი არ მოკვდება შიმშილით, სანამ კარლსონს ძეხვი და კარტოფილი მოეძევება.

ბიჭუნა შეეჭვდა, როგორ შეჭამს გულ-ფია ძეხვსა და კარტოფილსო.

— ასე პატარებს, მე მგონი, რძეს ასმევენ, — ძლიერ შე-ჰქადრა კარლსონს.



— გაშ, შენი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო გადიამ არ იცის, რას აჭმევენ ჩვილ ბავშვებს და რას არა? — აღშფოთდა კარლსონი. — მაგრამ კარგი. რაკი ეგრე გსურს, გავფრინდები ძროხის მოსაყვანად...“

ეს კი დიანას ერთ-ერთი ლექსია:

„პარაქის გარდა,  
ამ პურზე რომ მურაბაც ესეას,  
ტკბილად წვეთავდეს,



ვუზედრებდე ენას და თითებს,  
და მამაც იჯდეს მაგიდასთან  
მკაცრად და მშვიდად,  
მურაპით დასვრილ სახელოზე  
მიმითთებდეს,  
ქიშმიშს გარდა  
ამ შოკოლადს  
თხილიც რომ ჰქონდეს  
ცივების ყველა ბუნაგიდან  
გამოტანილი,  
ბაბუაჩემი თავის ახალ ღვინოს სინჯავდეს,  
აქებდეს  
— კარგი სურნელი აქვს, გემო, ტანინი,  
ჩაიდნის გარდა,  
შოკოლადიც დუღდეს ქურაზე,  
მე — მწიკვით ვანილს ვუმატებდე,  
დედა — დარიჩინს,  
შუადლე იყოს,  
ჰაერი კი სუფთა და თბილი,  
ჩემი და — შოპენს,  
ძმა — დამტვრეულ კაკალს არჩევდეს...  
განმეორებადი სიზმრები და ფსიქოანალიზი

## სიზმარი N1

„ქუჩაში მამას ვხვდები მის მეორე ოჯახთან ერთად“  
— ცხადში არავითარი მეორე ოჯახი მამას არ ჰქონდა. ფსიქოლოგმა აუხსნა, რომ რადგან თავის დროზე მშობლის გაუჩინარების მიზეზი არ უთხრეს, ამიტომაც ასეთი რამ ესიზმრება, თან მუდმივად.

## სიზმარი N2

„ომია, ისვრიან. ვიცი, ტყვია უნდა მომხვდეს და სან-ამ მომხვდება, ვკვდები“ — ტკიფილის საიცარი შიში აქვს. ექიმთან მისვლა მისთვის ნამდვილი განსაცდელია.

## სიზმარი N3

„გიორგის ვეკრგავ და ვერ ვპოულობ, ან ხელიდან მი-გარდება“ — გიორგი შვილია.

## HELLADOS

დმანისის რაიონში არის სოფელი გორა, სადაც ადრე ბერ-ძნები სახლობდნენ, ახლა კი მხოლოდ რამდენიმე ოჯახი დარჩა. აქ ცხოვრობდა დიანას ბერძნენი პაპაც. მე-19 საუკუნის ბოლოს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს თურქეთში მცხოვრები ბერძნები ეთნიკურ წმენდას გამოექცნენ, მათი ნაწილი საქართველოში დასახლდა.

დიანამ ბერძნული გვიან ისნავლა. 90-იან წლებში, როცა ყველას გაუჭრდა, ბერძნული გვარის მქონესთვის საბერძნეთში სამუშაოდ წასვლა გაცილებით ადვილი იყო. უფროსი და წავიდა და დღემდე იქ ცხოვრობს. მანამდე წავიდა ნათლია, საბერძნეთიდან სპორტული ტანსაცმელი კი გამოუგზავნა, ძალიან დიდი ჰქონდა, მაგრამ მაინც.

„მეგონა, საბერძნეთი დმანისში იყო. იქ იყო ჩემი საბერძნეთი, იქაური დიალექტი, ბერძნული, რომელსაც თურქული ენის გავლენა აქვს, იქაური ლანდშაფტი და კამეჩის მანონი. მასს მათი ძალიან სმიალალი ლაპარაკონი. საბერძნეთშიც რომ ჩავედო და ვნახე, ერთმანეთში როგორ ლაპარაკობდნენ, მეგონა ჩხუბობდნენ. საბერძნეთთან შემდეგი შეხება ბერძნული მითოლოგია იყო. ჰექტორზე დღემდე შეყვარებული ვარ. მაგალითად, აქელევს თვალებში უნდა ატაკო პრობლემა, გული რომ აუჩილდეს. მიცვალებულის მამა უნდა მივიდეს მასთან და მერე შეიძლება რამე ქნას. ჰექტორი კი ვაჟკაცია. მისი ცოლთან გამოთხვების სცენა განსაკუთრებით კარგია“.

„ეგ სიმამაცე გლუპავს, კაცო გასაოცარო:  
არ გეცოდება არცა ჩეილი, დედაც ბედშავი!  
დაგიქრივდები, უბედური...  
„ილიადა“)

„საპერძეოთში გათხრი ბოსტანს და დემეტრეს ტაძარს იპოვი. ეს სულ გბოჭას. იგივე დამემართა ფლორენციამიც. ვერ მივხვდი, ხალხი იქ ცხოვრებას როგორ ეჩვენდა. ქუჩაში რომ დადიოდნენ და ნამცხვრებს და რაღაცებს ყიდიდნენ, ისე მიკვირდა“.

## კაცი წავიდა და წავიდა კაცი

დიანა ფილოლოგია, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ლინგვისტი. თავსი საყვარელი ბერები აქვს: ნ, რ, ლ, მ – ესნი ზოგიერთ ენაში მარცვლებს ქმნანონ, ზოგიერთი ვარაუდით ქართულშიც ასე იყო, ქართულ გალობაში ცალკე მუსიკალური მარცვალია, მაგალითად: „ყოველმან“. კიდევ ოთაზე სწყდება გული, ძველი ქართულის სინტაქსზეც: „წავიდა კაცი და არა, კაცი წავიდა, ვენახი ახლადაყავებული და არა, ახლადაყავებული ვენახი“. სულ სხვა მუსიკა აქვს.

„ცოტა რთულია, მაგრამ ის მუსიკა, რომელიც ძველ ქართულს აქვს, მე ძალიან მომზონს“.

ეს „წასულ“ კაცზე, რაც შეეხება მოსულს, ზაზა ბარბაქაძე, ვინც დღეს დიანას ქმარია, მექექსე კლასამდე მისივე თანაკლასელი იყო. მაშინ ერთმანეთს დიდად არ აქცევდნენ ყურადღებას. დიანაზე ბევრად მაღალ ზაზას მათემატიკა უყვარდებოდა და დღოს დიანაზე მეტად, მდენად, რომ საშინაო დვალებას არავის გადაანერინებდა. წლების მერე ერთმანეთს ინტერნეტით შეეხმანენ. ახლა უკვე საერთო სახლი და საერთო შვილი ჰყავთ – გოორგი, აი ის, მესამე, განმეორებად სიზმარში სულ რომ იკარგება.

„ზუსტად ვიცი, რომ ძალიან, ძალიან, ძალიან ერთგული ადამიანი მყავს გვერდით“.

ძალიან ერთგულ ადამიანს საშინალად საინტერესო ადამიანი ერთვის. ისევ გიორგიზეა საუბარი. მას უყვარს ციფრები, ასოები და ზოგადად, ყველაფერი, რაც სისტემას უკავშირდება.

„ყველაზე რთული ისეთი რაღაცების გულაბდილად დაწერაა, რის გამოც შეიძლება შენს ახლობლებს გული ეტკინოთ. ძალიან ძნელია დედაზე ლექსის დაწერა. მე ვერ დავწერ. შვილზეც ძნელია, მაგრამ ისიც რთულია, სხვა რაღაცას რომ წერ და შვილზე არ წერ, გინდა, სულ მასზე წერო. მწერლისთვის რამე ტაპუ არ უნდა არსებობდეს, შეიძლება, მხოლოდ თვითცენტურა პერნდეს საკუთარი გემოგნებიდან გამომდინარე. ავტორი კარგი მეითხველიც უნდა იყოს და მისი შემოქმედება მის გემოვნებას არ უნდა ჩამორჩეს“.


„შოკოლადი“ – 2008, „კონსპექტური მითოლოგია“ – 2009, „ახლოხედვის ტრაექტორია“ – 2012, „პირადი კულინარია“ – 2012

დიანას პირველმა წიგნმა „შოკოლადმა“ საუკეთესო დებიუტის კატეგორიაში ლიტერატურული პრემია „საბა“ აიღო. აქვე უნდა ითქვას, რომ „შოკოლადის“ შემდეგ გამოცემული ლექსების ორივე კრებული გაცილებით უკეთეს წიგნებია, უბრალოდ, ლიტერატურული პრემია, ხშირად კარგი ქმარი-ვითაა, უნდა გაგიმართლოს, რომ შეგხვდეს.

დიანას კიდევ ერთი წიგნი კულინარიაზეა, ოლონდ, მხატვრული გადახვევებით, სხვა-დასხვა ამბებია მოყოლილი კერძებთან და ზოგადად საჭმელთან დაკავშირებულია. აქევე არის ის რეცეპტები, რომლის მიხედვითაც ოცოდე წლის წინ მთელი ერი იკვებებოდა: ზეთში შემწვარი მარილიანი პური, ხახვის წვინანი... დღეს ისტორიკოსები თავს იმტვრევენ, თუ რას ჭამდნენ ძველი ქართველები მასობრივი შიშილობების დროს, აი, თუნდაც მაშინ, კიმერიელებმა მთებში რომ გავყარეს, ან მურვან ყრუ რომ თბილისს მოადგა. გვეცოდნებოდა, ერთი დიანასთანა იმ დროსაც რომ ყოფილიყო, მაგრამ არ იყო და მხოლოდ მეფეებისა და ბრძოლების ამბები ვიცით. დიანა თავისი ადამიანური ისტორიებით ხშირად იმ გადამწერს მახსენებს, მეთერთმეტე საუკუნის მარტვილის სახარებას ბოლოში რომ მანერა, მომემშიან და ამით თავისა და ქრისტეს ამბავი ერთად მოჰყვა.

„პირში წყალი რომ ჩავიგუბო მუცელში წყალი ჩაგუბდება?

იქ იქროს თევზი იქროს ფარფლებით იცურებს?





ვწყვეტ ხმას, რომელიც ალარა მაქს. ვწყვეტ ლექსა, რომელსაც ვეღარ დავწერ, ვწყვეტ რძეს, რომელსაც მკახე მკურდიდან ვინურავ".

ამ ლექსს თავისი მუსიკა აქვს, დასამახ-სოვერებელი მუსიკა, სიტყვები რომ დაგავი-წყდეს, დაუკრავ. ზოგადად, დიანას ლექსში განსაკუთრებულად რიტმიანია, თავისთვავად ასე გამოისიო, ამბობს, „არასოდეს ვფიქრობ, სიტყვები უღერალიბის მიხედვით დავალაგო". სშირად სწორედ ეს დაუფიქრებული და მანიც ძალიან დალაგდებული რიტმი ფარავს შინაარ-სის მთელ სიმძიმეს. ხანდახან ეს გოგო ისეთ რაღაცებს წერს, იგივე ცოტა უხშებად რომ თქვა, თმა ყალყზე დაგიდგება. მაგალითად:

„ჩ მუცელში მოფრთხიალე ჩიტბატონები ამოკენვავენ ყველა ნაყოფს, ყველა ემბრიონს"

სიტყვა „ჩიტბატონებმა" ლექსი შეამსუბუ-ქა, არადა, რომ დაუკვირდე ძალიან ცუდი რაღაც წერია, მძიმე ვირუსი ბავშვს მუცელ-შივე ჭამს.

დიანას კიდევ ერთი ლექსი აქვს, „მოყვასი", ასევე რიტ-მულად დაწერილი, ოლონდ კანიბალზე და ომზეა, კადევ, მოყვასზე, რომელიც შენ გადაგივლის, ოლონდ თვეშოუზე გა-დარჩეს.

ეს კიდევ ცალკე ნიჭია, მძიმე თემები ადამიანს მსუბუქად მიაწოდო, თორებ ხალხი ვიცი, გამარჯობას ვერ დაწერს ისე, ვინმეს ნერვები არ მოუშალოს.

### როგორ გავხდეთ კაჭკაჭის ლუკმა

„რაც არ პრეყინავს  
იმას კაჭკაჭიც არ მოგჰარავს,  
შენც მოოქროვდი,  
ანუ თავი მოივარაყე“

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, დიანა ის ადამიანი იყო, რომელსაც პოეზიის სალამობის, თუ, ზოგადად, საღამოების, დადგმების, შეხვედრების... ორგანიზება უყვარდა. ახლა ეს მაინცდამანც ალარ იზიდავს. კიდევ უფრო ადრე (ცხოვრება ხომ უცნაური რამეს) სოციოფრობია სჭირდა. თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და სადმე წასვლა აუცილე-ბელი იყო, დაჯდებოდა და წარმოიდგენდა, რომ მის გარშემო კედლებია. ასე უფრო დაცულად გრძნობდა თავს. მერე კედლები ქალალდმა შეცვალა. სხვადასხვა სტრესულ სიტუა-ციაში საკუთარ თავს ეუბნებოდა: „სამაგიეროდ, მე ვწერ! „სამაგიეროდ, მე ვწერ! !!! ასე ხდე-ბოდა ყოველთვის, როცა იქ არ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო, ან იმას არ უყვარდა, ვისზეც თვითონ იყო შეყვარებული.

„ისე უბრალოდ,  
შენი სახლის შემოვლით ვინმე  
წავიდეს სხვასთან –  
ვინც გიყვარდა და მოითმინე“.

დიანა მშვიდი ადამიანია, დინჯი. ბევრ რამეს დათმობს სიმშვიდისთვის. მართალი ადამიანები მიყვარსო, – ამბობს, – და ამატებს – „ძალიან“.

„ცხოველები მიყვარს, მაგრამ შორს, რადგან პასუხისმგე-ბლობის მეშინია. მგონია, ისედაც დიდი პასუხისმგებლობა მაქვს: ეს პატარა ბავშვი როგორი გაიზრდება, მეტწილად ჩემზეა დამოკიდებული. თან, მოგიყვანეთ თუთიყუში და მოგ-ვიკვდა.

კიდევ, მუსიკა მიყვარს; ძილი; ახალი რაღაცების მოფიქრე-ბა, პროექტების; ცეკვა; ხალხის მიღება და გამასპინძლება – მშივრები რომ მოდიან და შემდეგ სახეზე რომ ეტყობათ, რომ ყველა დანაყრდა. მოგზაურობა მიყვარს, ძვირი რომ არ იყოს. გიორგი სანამ დაიბადებოდა, მთელი საქართველო მოვიარე.

ქარგვა და ქსოვა არ მიყვარს; კიდევ, დაჭმულული გა-დასაფარებელი; ჩამოწყვეტილი ფარდები; ადამიანები, რომ-ლებიც მეტისმეტად ერევიან შენს ცხოვრებაში; ბავშვი რომ

ავად არის, ან – დიდი. არ მიყვარს უგემური საჭმელი და გაციებული ყავა. არ მიყვარს, როცა ვინმეს არ ვუყვარვარ, ან არ მოვწონვარ მაინც“.

ერთ-ერთი ყველაზე განმეორებადი სახე დიანას პოეზიაში საკუთარი თავის დანაწევრებაა. მის ლექსებში ხან ხელია ცალკე, ხან – თვალები, თავი კი საერთოდ საათს აჩვენებს. ბევრგან ავადაა, რაღაც უკურნებელი სჭირს. ზოგადად, დიანას მთელი პოეზია ერთი დიდი ბჭობაა საკუთარ თავთან, თუ როგორ უნდა მოახერხო ცხოვრება, ან უნდა მოახერხო თუ არა, საერთოდ. ეს კამათი თავისი დასკვნით დაახლოებით ასე გამოიყერება: „დავრჩით ტყავის ძველი ბურთის ერთი დაბერვა“. „ის, რაც ნამდვილად საშიშია, წვრილმანებია“, „ეს ყველაფერი ჰეგავს კაბის კალთით წყლის მოტანას“, „აქ მხოლოდ ქვაა თავზე საყარი, სხვა ყველაფერი გამოიზოგე“, „თუ ჩემი ჩრდილი დააბჯვებს წყლის ზედაპირზე – მეც კი შევძლებდი“, „აბა, მე როგორ, როცა გვემნიდა, ვერც მან მოგვზომა“, „უდგეთ და დავრჩით, ისინი კი ადგნენ, წავიდნენ“.

მე მანც მგონია, რომ ესაა ბოლო სიტყვა: „ავდგეთ და დავრჩით“, მოუხედავად იმისა, რასაც დიანა ქვევით ამბობს:

„მეშინია, რომ ჩემს შვილს არ ექნება ისეთი გარემო, სადაც თავისი შესაძლებლობების გამოვლენას მოახერხებს. ძალიან მეშინია მასნავლებლების ორმოცდაათი პროცენტის.

რუსეთის მეშინია, რომ ერთ დღეს დადგება დრო, როცა დედაჩემი ალარ იქნება. სიკვდილის არ მეშინია“.

– რამე შეხება გქონია სიკუდლობაში. რომ იცოდე, გეშინია თუ არა?

– კა, მაგალითად, რომ გეუბნებიან, რომ სიმსივნე გაქვს, სანამ გაირკვევა რომ კეთილფისებიანია, გეშინია. თან საკუთარი თავის პანაშვიდების წარმოდგენის სიტკბორება ყველას განგვიცდია.

– „ავად გახდომა გინდა? – გაოცდა ბიჭუნა.

– აბა რა! ვის არ უნდა! მინდა ვიწვე ლოგინში და მქონდეს მაღალზე მაღალი სიცხე. მერე შენ მოხვალ. იყითხავ ჩემს ამბავს. მე კი გეტყვი, მსოფლიოში ყველაზე მძიმე ავადმყოფი ვარ-მეთქი. მერე შენ შემეკითხები, რამე ხომ არ გენატრებაო. მე კი გიპასუსებ, რომ არაფერი მინდა ვეებერთელა ტორტის, შოკოლადის, ნამცხვრის და კანკეტის გარდა“.



## რამდენიმე სიჭყვით სიკვდილზე

### დიანა ანჭიმიაძი

მარტივი დასასრული

#### 1. შედეგი

არაფერი ქარონის ნაცს ამას არ უგავს,  
ქუსლიანი ფეხსაცმელია  
(ცეკვისას ფეხი გადაუპრუნდა  
და მოკვდა რომელილაც ბარონესა).  
ჰო, ასეც ხდება.  
მივდივარ.  
არ გიხსნი.



#### 2. საბაბი

არადა, ეს კაბა,  
ჩრჩილების დაკემსილი,  
ჩრდილის კარადაში იმდენხანს მეკიდა  
(უქმად და უმიზნოდ).  
იმდენხანს მიყვარდი –  
რა ნემსი დალამბაგს –  
წაკითხვის რომელი წესი.

#### 3. მიზეზი

სახელი დავკარგე,  
სახელის წარმოთქმის გასაღები –  
ის წესი, რომლითაც და როგორც შეგეძლო  
დაძახება ჩემი.  
სიმღერის შინუელ სადენებზე  
ჩიტების ექოლალიები –  
დავკარგე.  
მანილი შვილივით გავზარდე, მტრად მექცა,  
ვერაფერს ვუხერხებ  
გარეულს, ონავარს,  
როგორც ვიწერები,  
აღარ ვიკითხები –  
სხვა, შენთვის უცნობი ენა ვარ –  
ბაგეს და ხელს შორის დავკარგე კავშირი.



ბალიშზე გიტოვებ  
ძვირფასი ნაყშივით  
რაც დამრჩა, რაც დაგრჩა  
სახატავ თუ საწერ მასალად –  
ნახშირი –  
ჩემი თმის ნახშირი.

## მაის სიმღერა

ზაფხული მომკის ჩემს ხელებზე  
თარიღებს, ვადებს,  
სიხარულის ძნას თვალებიდან.  
ჩელის აკენიდან  
მომკის შეხების ბამბაზიას  
და კიდევ რამდენ  
პირველ შეგრძნებას –  
მოისმინა, ნახა, გაკვირდა.


ზაფხული მომკის დავიწყებებს და მომკის ხსოვნებს,  
დამტვრულ სხეულს  
– როცა ჩაწყდა შენი ხმის თოკი –  
რომელზეც დიდანს დავდიოდი  
და ერთ დღეს ჩაწყდა...  
უპასუხობის ლურჯ ყვავილებს ზაფხული მომკის.

სიტყვაა ჩემი ბანიანი სახლი და ვტკეპნი,  
სიტყვა „მიყვარხარ“ დავაშენე  
– ყარყატის ბუდე.  
გამოიჩეო იქნებ ერთ დღეს სარკიდან, ქვიდან –  
ფრენა გასწავლო, გაფრინდე და აღარ დაბრუნდე.

ზაფხული მომკის... ბალახებში ქოშები დამრჩა –  
წყვილი კალია...  
სიცილივით ელვარებს ცელი,  
თმის ბოლოებს და სიყვარულსაც  
ზაფხული მომკის.  
ყველაზე მოკლე დასასრული,  
ყველაზე ჭრელი.

## მარტივი ცინადაღება

სიკვდილი ავადმყოფობაა.  
იქნებ ერთ დღესაც მეც მოვახერხო მოხდა.  
ეს უკვე მოხდა ჩემს სიზმარში,  
მკვდარ მამაჩემს რომ ისევ გავულე კარი.  
სიკვდილი არის ჩაძინება,  
ეს კარგად ვიცი,  
ყველაზე კარგად ვიცი,  
შენით იძინებ,  
ტყვია მოგხვდება სანამ...  
სანამ მეძნა,  
მანამ მომიკვდა მამა.  
სიკვდილი არის სიმარტოვე,  
ასე უბრად რომ გამოიკეტე სახლში  
ლურსმანი მაინც დააჭედე,  
იქნებ ობობას ზედ შემოებას ქსელი,



ან კიდევ ფრთხები შემოგატოვოს ქარმა...

როგორ მიყვარხარ,

როგორ ვერაფრით გშველი...

სიკვდილი არის დამძვედება

- ცეცხლის აღს საბანს აფარებ და

სხვას რომ არაფერს წაეკიდოს

- გუდავ.

თანდაყოლილი სიკვდილიდან

გვიანშეძენილ სიკვდილამდე

- ხან ზურგზე ტვირთად კუზი გაქვს

ან მტვრიანი ნაცრის გუდა.

გზა შეიძლება გადაგიჭრა,

მაგრამ მდინარე?

მდინარე როგორ გადავკეთო?

რომელი დანით ამოგიჭრა თეთრი შროშანი

მდინარის სველი ატლასიდან.

ან რა მაკრატლით ამოგიჭრა

გული სხეულის ამ თარგიდან

...სიკვდილი არის სიყვარული,

სიკვდილი, როცა სიყვარული - აღარ გინდა..

## ივლისი

ბაბუანვერას სულს ვუპერავ -

უმსუბუქეს შორისდებულებს სივრცეში ვგზავნი -

აჲ, ოჲ, ვაჲ, უჲ, ეჲ...

ვავრცელებ.

სიცხე ისეთი ხდავრიელი ნიადაგია

უცებ მრავლდება ყველა ლერწი, ყველა მარცვალი.

ივლისის ლამე...

ფოთოლიც კი არ იძვრის არსად,

ლამებ თავისი თავი გაათრია,

გაათენა.

ისე ცხელა, რომ დადნებოდა

მარმარილოს გალათეა.

შორისდებული - ბუსუსები ეჭიდებიან

მინებს, კორპუსებს უფაქიზესი საცეცებით,

დავდივარ,

მინდგ მეც ვირგუნო ამოსუნთქვები ნამცეცებაა

რადგანაც ვიცი, ვიღაც არის, ვინც მუდა?

ვისაც ნებსით თუ უნებლიერ

ერთ დღესაც უნდა თავისთან იხმოს

ყველა ბუსუსი,

ბაბუანვერას ბუსუსუნები.

ვინც ყველა სიტყვას,

სრულმინიშვნელოვანს და უმნიშვნელოს

ფუძეს, ძირსა თუ ფერს უსინჯავს,

გულდაგულ ზვერავს,

რომ ერთ დღეს ყველა მოაგროვოს,





შეაერთოს –  
სიკვდილის სუნთქვად,  
სიკვდილის სუნთქვად –  
უზარმაზარ ბაბუანვერად.

ბაბუანვერას სულს ვუბერავ –  
უმსუბუქეს შორისდებულებს სივრცეში ვგზავნი –  
ვავრცელებ.

### სიმღერა

ჩემი სიმღერის ბოლოები  
ჭიაყელებივით გრძელდებიან,  
ჭიაყელები სიმებია,  
ზედ დილის წვიმა იწყობა.  
მუსიკა წყდება.  
მუსიკა იწყება.

ჩემი სიმღერის ბოლოები  
ერთადერთ ბგერას ვერ სცდებიან –  
და თოვლიც ფეხშევეშ ფირსაკრავივით ჭრიალებს,  
ქარმა თუ არა თოვლმა ამიშროს ნაწოლები,  
ბაგემ თუ არა,  
პირი შეიკრას ჭრილობამ.

ჩემი სიმღერის ბოლოები  
მეღუზას თმებივით ცოცხლდებიან,  
საით მიდიან სერპანტინები  
დიანა?  
იქნებ სიმღერის გლოსოლალიები, ლილიების  
და ნარცისების მწვანე სიცოცხლედ დიან?

„დიანას პოეზიის მთავარ დურიტას მითის პოეტური დეკონსტრუქცია წარმოდგენს. ამის შესაბამისად, ანტიურაჟი მუდამ ტრადიციული და კარგად წაცნობია, მაგრამ ხედვის კუთხე – თითქმის ყოველთვის ახალი და მოულოდნელი.“

„მან ქართულ პოეტურ სინტაქსს გაუჭრა ახალი კალაპოტი, რომელიც ამ მდინარის ძირითადი შენაკადით კი იკვებება, მაგრამ მისგან ბევრი ნიშნით განსხვავებულია.

პოველ რიგში, სრულიად ახალია პოეტური ინტონაცია, რომლის ლოგიკურ მახვილადაც დეკონსტრუირებული მეტაფორა გვევლინება.“


„დიანასათვის წარსული ლიტერატურული გამოცდილების ცოდნაც ერთგვარი საშენი მასალაა, რომელსაც ოსტატურად გამოიყენებს ახალი პოეტური სამყაროს, განსხვავებული პოეტიკის შესაქმნელად. ცხადია, აქ გავლენები არ იგულისხმება. ხშირი პოეტს, ძველის ცოდნა მხოლოდ იმაში ეხმარება, რომ მკაფიოდ განსაზღვროს, რისი უარყოფაა აუცილებელი. მითოან დაკავშირებითაც ასეა და პოეტურ ხერხებთან მიმართებითაც. დიანა მითის უარყოფით ქმნის ახალ მითოლოგიას, ხოლო იქცევა თუ არა თვითონ ქართული პოეზის მითების მნიშვნელოვან ფიგურად, ამას მომავალი გვიჩვენებს და ჯერ-ჯერობით ბევრ რამეზეა დამოკიდებული.“

(გიორგი ლობურიძე წიგნის, „ახლოხედვის ტრაექტორიის“ შესახებ, „რადიო თავისუფლება“)

„რეცეპტების მოგროვება ხომ დაიწყო, მერე თავისი დედის ძელი ჩანაწერების რვეულიც აღმოაჩინა. ამ ამბავს, დიანას ბერძნული წარმოშობის გამო, ბერძნული სამზარეულოს სიყვარულიც ხომ დაემატა, ლიტერატურის სიყვარულიც ცალკე იყო – იქაც ყველაფერი გადაექექა. „პირადი კულინარიის“ ერთ-ერთი თავი, რომელსაც „ლიტერატურა მთავარ კერძად“ ჰქვია, უცემ გადაგაგდებთ საყვარელი წიგნების კულინარიულ სამყაროში. იქნებ არც გახსოვდათ ეს მომენტები სერვანტების „დონ კიხოტიდან“ ან თომას მანის „პუდენბროკებიდან“, აკუტაგავას „ნანკინელი ქრისტედან“ თუ პულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტადან“. არადა, თურმე რამხელა ადგილი ეთმობოდა ამ წიგნებში ქრისტიან ტაფამწვარსა თუ ოსპის შექამნებს, ყვითელ ჟელესა თუ კიბოს კისერს, შებრანულ გუფთებსა და ნუშის დესერტს. მერე შეუყვარდა და ახლა მისოვის გამოიდონ თავი – კვირა დღეების სადღესასაწაულო სადილები ამ წიგნში ცალკე თავადაა შესული. მერე თანამედროვე მწერლებსა და პოეტებს გადასწვდა და ახლა ეს გამოიკვლია – ფქვილი ან წინიბურა მათ ნანარმოებებში შემთხვევით გაჩნდა თუ თავადაც დიდი გურმანები და კულინარები იყვნენ. ზოგიერთ მათგანს სახლშიც ენვია და ეს ამბებიც დანერა, თავის რეცეპტებიანად... წიგნიც ასეთია, შოკოლადის დესერტიდან კარტოფილიან ბლინებზე რომ გადაგახტუნებს.“

„ზუსტად ერთი წლინ წინ, როდესაც დიანა ანფიმიადის ლექსების პირველი კრებული, „შოკოლადი“, გამოვიდა, როგორც თავად ავტორი ამბობს, გიურური ტემპით დაიწყო ამ ახალ კონცეპტუალურ ლექსებზე მუშაობა. ყველა ლექსი მითოლოგიურ სიუჟეტზეა აგებული, ოლონდ „ეს არის თანამედროვე მითოლოგია“, ამპობს დიანა ანფიმიადი და იხსენებს, რომ ამავე თემაზე დაწერილ ლექსებს პრინციპულად არ კითხულობდა იმ მიზნით, რომ თემა ძალიან გადაღეჭილი იყო. ახლა ხუმრობს, შვიდ ბრუნვაში აბრუნეს და მე მერვე ბრუნვაც მივამატეო. პირველი ლექსი, რომელიც დაიწერა, იყო „მამას“, ქვესათაურით – „კონსპექტური მითოლოგია“. წიგნსაც ასე დაერქვა: „ძირითადად ქალი პერსონაჟები მყავს, რამდენიმეს თუ არ ჩაგთვლით. და ყველა ამბავი ჩემზეცაა. მოზაიკასავით გამოვიდა. ერთი რომ დავწერე, უცებ მეორე პერსონაჟი ამოტივტივდა, ისიც საინტერესოა-მეთქი და ასე... ეს ლექსები იმითაა კარგი, რომ მითოლოგიის გარეშეც, რომ არ იცოდე გმირის შესახებ არაფერი, რაღაცას მაინც გაძლევს, ხვდები ვინაა...“

(ეკა ქევანიშვილი წიგნების, „კონსპექტური მითოლოგიის“ და „პირადი კულინარიის“ შესახებ, „რადიო თავისუფლება“)



# BENEDIKT LEDEBUR

# „ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსპეციალის პრეზიდის პრეზიდენტისა“



**ბენეფიტი ლედებურთან ინტერვიუ მოამზადა დათო ბარბაქაძემ**

ძვირფასო ბენედიქტ, მოდი, დაუყოვნებლივ არსებოთის თემატიზებას შევუდგეთ. რას ნიშნავს შენთვის პოეტად – და არა ამა თუ იმ გამომცემლობასთან დაკავშირებულ ავტორად – ყოფნა? რას ეფუძნება, შენი აზრით, პოსტკლასიკურ ევროპაში ლიტერატურისკენ-ნება?

ლიტერატურისკენ-ნება შეიძლება რაღაც საპირისპირო ძალაუფლებისკენ-ნებისა პოლიტიკური აზრით. პოეტად ყოფნა მე ნარმობიდენა, როგორც ენასთან, ენობრივ მასალასთან, მის უდრიადობასთან, როცა პირობითობები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, იმსხვევა, გაცემთილი და ცრუნწმენებით დახუნდლული კლიშეები ქრება. სწორედ პოეტები უზრუნველყოფენ თავიანთი ქმედებით იმას, რომ რომ ჩვენს თავში სინამდვილის შრეები და ტერიტორიები, თუნდაც სავსებით პოლიტიკური აზრით, ერთმანეთს უკავშირდება. უამისოდ ისინი ვიწრო ინტერესებით ერთმანეთს მოწყვეტილი დარჩებოდნენ. თუმცა, ამავე დროს, ყველა კავშირი და პრეზენტაციის ყველა ფორმა ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან თავისუფლდება, ხელ-ფეხი ეხსნება, რათა ესთეტიკური მოთხოვნილების დაკაბყოფილება გახდეს შესაძლებელი. მაგრამ არის კი ეს ქმედება? ეს უკვე პოლიტიკურად დატვირთული შეკითხვაა. ბლებ პასკალისა არ იყოს, იქნებ ქვეყნიერებას უკეთესი იერი ჰქონდა, ადამიანები თავთავიანთ სახლები რომ დარჩენილიყვნენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მაშინ არის გამართლებული, როცა ადამიანს სახლი აქვს.


კაცმა რომ თქვას, ამ აზრით ხომ სწორედ პოეტი, როგორც სხვა არავინ, უნდა გრძნობდეს თავს შინ, სახლში! არამხოლოდ ის საჭიროებს სახლს, არამედ ყოფილების სახლიც საჭიროებს მას. მეორე მხრივ, პოეტის საქმი-

ანობა პოლიტიკას მოწყვეტილი ხომ არასდროს ყოფილა. მაინც რატომ უნდა იყოს ჩვენს პოლიტიკურ დროში პოეზია დაკავებული საკითხებით, რომლებიც პოლიტიკის მიერ საბოლოოდ არის პრივატიზებული?

პოეზიის მიერ დაპროექტებული სახლის კედლები მოცემულობათა ყველა შრემდე და ყველა სისტემამდე აღნევნება მოიცავენ მათ, მათ შორის – სოციოლოგიურსაც. ყველა სახურავი უკვე ნაფიქრი გადახურვის შედეგია. გამოყენებითი პოეზია მაღლევი გადაგვარდება ხოლმე ცარიელ რიტორიკად ან – ყალბ დიდებად, თუნდაც მშინ, როცა პოეტიკური შემოქმედება თავის თავს ყველაფრისგან განაკვერძოებს, როცა მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე ზრუნავს, ის მაინც ბიძგის მიმცემია და, შესაბამისად, პოლიტიკურიც.

როგორ გამოიყურება უშუალოდ შენი პოეტური პრატიკა ამ კონტექსტში? მე ყვიქრობ, შენთან „ფორმა-შინარსის“ კლასიკურ დიოგომიას უკვე აღარიფერი დაკარგვია. შენს ლექსებში შინაარსიბრივი სტრუქტურებიც კაგიაზნულად ფორმიზებულია. შენთან ფორმა კი აღარ დომინირებს, არამედ შინაარსი განიღვრება ფორმაში, რათა არსებობის განსაკუთრებული წესი მოიპოვს. შენ „სწრაფ ლექსებში“ შენი ესთეტიკური „პოლიტიკა“ საბოლოოდ რადიკალიზდება.

პოეტური შემოქმედების ერთი პარადოქსი ხომ ესეც არის: რაც უფრო მეტია პოეტიკური (ანუ, იმავდროულად, ფორმალური) პირობითობა, მით მეტად თავისუფალი ხდება გამოთქმადის წყალქვეშა დინებები, მით მეტად ნატიფდება ნიუანსირებები და მოდულირების შესაძლებლობები, ან – მოთხოვნილების შესაბამისად – მით მეტად ბრძოლისუნარიანი, მძლავრი ხდება უდრეულობა და გამონათვემი. პოეტური შემოქმედების დროს სიტუაცია, რომელიც, „შინარსის“ თითქოსდა გამოათავისუფლებს, რათა თავი ესთეტიკურ საკითხებს მიუძღვნას, თითქმის სრულიად საპირისპიროა საუბრის, დაილოგის ან ინტერვიუს სიტუაციისა, როცა ჩვენ, ისე, რომ ჩვენი ენობრივი საშუალებები ჩვენი უშუალო ყურადღების ველში არ ექცევა, ჩვენი სოციალური და ენობრივი განაფულობით გვსურს ერთმანეთის გამონათვემბში გარკვევა. მაგრამ ფატალური შეცდომა იქნებოდა, პოეტური სიტუაცია უაზრობაში რომ აგვრეოდა, სწორედ რომ პირიქით: ენის,



პოეტური წვდომა აზროვნებას მოქნილ, უმცირეს ელემენტებამდე მგრძნობიარე ნიშნურ სისტემას სთავიზობს, რაც აზროვნებას შესაძლებლობას აძლევს, მრავალმნიშვნელოვნებას ცნობიერად დაუკავშირდეს, ეს კი აზრებს ღრმად და ნიუანირებულად აფუნქნებს, იდეალურ შემთხვევაში კლიშეებისგან და ცარიელი სიტყვებისგან ათავისუფლებს. ძლიერ გაცვეთილი რითმებიც ხომ არსებობს. რაც შეეხება ფორმისა და შინაარსის დიქოტომიას, ძალიან გონივრული მგონია სტრუქტურალისტების მიდგომა. მათი აზრით, ნებისმიერი შინაარსი შეიძლება ფორმაც იყოს სხვა ფორმისთვის, რომელსაც ის საკუთარი შინაარსის სახით მოიცავს და, შესაბამისად, მხოლოდ შინაარსია, ვინაიდნან მას სხვა, უფრო დიდი ფორმა მოიცავს. რის აღსანერადაც შენ სიტყვა „განლერა“ გამოიყენე, იმიტომაც მუშაობს, რომ პოეტური შემოქმედების პროცესში საქმე ეხება არამხოლოდ ფორმალურ ფიქსაციას, ანუ – არა ფორმის წერილობით ფიქსაციას, არამედ – სწორედ ამ ურთიერთგაცვლას, შესაბამის მოცემულობებსა და ელემენტთა ფუნქციებს შორის ამ გაცვლა-გამოცვლას. არ მინდა ისე შორს წავიდე, როგორც – ფრანგი ფილოსოფიის ალენ ბადიუ, რომელიც კანტორის სიმრავლეთა თეორიას იმისთვის მოუხმობს, რომ თავისი ფორმათა მეტაფიზიკა

დააფუძნოს, რომელშიც სამყაროს ფორმალური აწყობით და დაშლით ასეთი თამაშისას უკანასკნელი ელემენტი ცარიელი სიმრავლე გამოდის. მე ამაში უფრო ლიტერატურულობას მოსის შიგნით მოქმედ ცირკულარობას ვვულისტებრი, რადგან მათემატიკა თავისთავადი ნიშნური სისტემაა (ან სისტემები), საკუთარი წესებით და საკუთარი ძალმოსილებით. ნიშანთა ამ სისტემაში (თუ მას საკმარისად კონსტრუქტივისტული გონება უდრმავდება) პოეტური თხზვაც შესაძლებელია, რაც, ცხადის, ენობრივ შესაძლებლობებთან გაცვლა-გამოცვლას გამოხინვევს, არამხოლოდ ფორმალური ლოგიკის და ენის ანალიტიკური ფილოსოფიის აზრით, არამედ – ესთეტიკურთან კაეშირის აზრითაც, რის ჩეინებაც XX საუკუნეში გერმანიში, მაგალითად, მაქს ბენზებ ჯგუფების თეორიის გამოყენებით სცადა.

ალბათ წმინდა პოეტურის პოეტიკის გასტონ ბაშლარისეული აზრითაც, არა? ხომ სწორედ მისი პრეცინვალუ მცდელობა – პოეტური კოსმოსი და, საერთოდ, პოეტური წარმოსახვის ძალა უკანასკნელი სტრუქტურული ბასტიონისგანაც კი გაეთავისუფლებინა – ალმოჩნდა ერთ-ერთი პირველი გზამკვლევი ექსპერიმენტული ხელოვნების ფილოსოფიაში. უკვე დიდი ხანი, რაც შენ პოეზიასა და მათემატიკას შორის ულრეს კავშირებს იკვლევ. შეძლებდი ლექსის, როგორც ერთგვარი მათემატიკური ფორმულის, აღნერას? ვგულისხმობ პოეტურის ექსისტენციალურ და არა ლოგიკურ-ფორმალურ დონეს. პირადად მე ეს საკითხი მას მერე მაინტერესებს, რაც ჩემს თავს ემილ შტაგერი აღმოვუჩინე.

სავსებით მართალი ხარ, გასტონ ბაშლარს რომ იმოწმებ, რადგან პოეზიის რაციონალიზებასაც თავისი საზღვრები აქვს. ბაშლარი ხომ მეცნიერულ აზრს, რომელსაც ის აღიარებს, მაგრამ რომელსაც მეტაფიზიკური აზროვნებით ჩანაცვლებს, პოეზიას უპირისპირებს, როგორც თანაბარლირებულს და მასავით ტევადს, ოღონდ პოეტურ შემოქმედებაში წინ წამოიწვევნ სუბიექტური წარმოდგენები და წარმოსახვები, ენით გამოხმობილ სურათ-ხატები, ანუ – ის ყველაფერი, რაც ობიექტურ მეცნიერებებში მეთოდური აუცილებლობით უნდა განიდევნოს, რადგან შედეგების მისაღებად მათი გათვალისწინება არ ხდება. (ჩემთვის სანტერესო მისი ის დებულებაც, რომელიც მეცნიერების ისტორიას აღწერს, როგორც იღუზის შედეგს, როგორც იმ არასწორ შეთანხმების შედეგს, რომელიც მერე განუწყვეტლივ კორექტივებს ექვემდებარება, ანუ რასაც პოპერის მეცნიერული კვლევის ლოგიკა ამბობს). ბაშლართან ფილოსოფია ამ ორ ავტონომიურ და მრავალფეროვან დარგს შორის შუამავლის როლს ასრულებს. აյ შესაძლებლობების ფართო ველია გადაშლილი ანალოგიების შესაქმნელად, და მე ეს უფრო მეტად მომზონს და ჩეინი განცდებისთვის ბევრად უფრო შესატყვისიც მგონია, ვიდრე – ნებისმიერი მეცნიერული რედუქციონიზმი, რომელსაც ერთადერთ მეცნიერულ მოდელამდე იმის დაყვანა სურს, რაც მოცემულობათა დონეზე ხდება. როგორც ახლა

როგორ დაახსასიათებდი ერთი მხრივ თან-  
ამედროვე ევროპულ კულტურულ კონტექსტს,  
რომელშიც ამდენი პოეტურ ნაწარმოები იქმ-  
ნება, მეორე მხრივ კი – როგორ გამოიყენება  
იგივე კონტექსტი როგორც სივრცე, რომელ-  
შიც გუშინძელი და „ახლადგამომცხვარი“ პო-  
ეტური ტექსტები გვერდიგვერდ არსებობენ და  
ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ერთმანეთს გან-  
საზღვრავენ?



## მეულლესთან ერთად

მე სწორედ ექსპერიმენტული ლიტერატურის ეს გამორჩეული საკუთხევები სისტემა მხილავს. იგივე ბერნშტაინი, თუნდაც როგორც პირველხარისხს თეორეტიკოსი, ჩვენს ლიტერატურულ-ინტელექტუალურ წრეებში დიდი ხანია ცნობილია. ლოკალურიც და ინტერნაციონალური ექსპერიმენტული ლიტერატურული კომუნიკაციაც საზოგადოებრივი ტრანსპორტივით ფუნქციონირებს: ვისაც ავტობუსის ესა თუ ის მარშრუტი ყოველდღიურად სჭირდება, იმან იცის კიდეც ისინი. მით უმეტეს, რომ ამ ლიტერატურას დემოკრატიულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ის, როგორც ჩანს, თავის „არაცნობიერ“ რიტ-მს მიჰყება, რათა სწორედ შენს მიერ ნახსენ-ები საზღვრები გადალახოს.

ლიტერატურაში დემოკრატიული, ალბათ, უფრო ლიტერატურული გაერთიანებების აქტივობით ამოქმედდება ხოლმე. ჭეშმარიტებაზე ან ესოფეტის საკითხებზე შეთანხმებებს ნაკლები აზრი აქვა. სატრანსპორტო მიმოქცევასთან დაკავშირებულ შენს შედარებაზე უნდა დავფიქრდე თუ რამდენად არის შესაძლებელი „კოლექტური არაცნობიერით“ განსაზღვრული მიმოქცევა. რიტმი უდავოდ თან ახლავს ამ ყველაფერს, განსაკუთრებით პოეტურ შემოქმედებაში, ბევრი რამის დასაწყისში. როგორ დაახასიათებდი მის როლს, ასევე – არაცნობიერის როლს, მაგალითად, თარგმნის პროცესში?

ჩემი პირადი პრაქტიკა იმთავითვე ხაზგას-მულად „ეგოისტური“ იყო. გეორგ თრაკლის თარგმნა იმისთვის დავიწყე, რომ თრაკლით ჩემი აღტაცება დამეძლია და გადამეღახა. ჩემს დღიდ ავსტრიულ პროექტსაც პირნმინდად სუბიექტური საფუძველი ჰქონდა: მსურდა ავსტრიელებისთვის მადლობის გადახდა იმ სიკეთისთვის, რომელსაც ჩემი გერმანული და ავსტრიელი მეგობრების დახმარებით ვეზიარე. წიგნს, რომელზეც შენ ამჟამად მუშაობ, უქველად შენი, როგორც მთარგმნელის, გამოცდილების შუალედური შეჯამების ხას-იათი ექნება. შენი თვითდაკვირვებების ერთი ნაწილი, რომელსაც უკვე ვიცნობ, მარნმუნებენ, რომ შენ ცდილობ, შენი თავი უფრო ჰერმენევტიკულად თარგმნი, ვიდრე – ფსიქოლო-გიურად ან სოციალურად.

შენი ფორმულირება, რომ მე ჰერმენევ-ტიკულ ენაზე ვთარგმნი ჩემს თავს, მიუხედავად ინტერპრეტაციაზე აქცენტირებისა,

მიმანიშნებს, რომ სიმძიმის ცენტრი მთარგმნელზე და მის თავისებურებებზე გადავაქვს. როცა მე ვცდილობ, ტრისტან ტცარას ლექსების თარგმნისას, ზუსტად და გულწრფელად აღვნერო, თუ რა ხდება ჩემში, ამ დროს მართლაც ერთგვარ „თარგმნის პროცესში თვითდაკვირვებას“ მივმართავ და, შესაბამისად, ვიკლებ, ასეთი რამ საერთოდ თუა შესაძლებელი. მართლაც, აშკარაა, რომ ეს აღწერა-პროტოკოლიზაცია ერთი მხრივ მთარგმნელის საქმიანობაში ძლიერ ჩარევას ნიშნავს; „თვითდაკვირვების“ ფორუმში ექცევა თვით ეს პროტოკოლიზაცია, და ამგვარად – სულ მცირე – პოტენციური უსასრულ რეგრესი ხდება, მეორე მხრივ კი აშკარავდება, თუნდაც ჩემს წარმოდგენებს და ასოციაციურ ჯაჭვებს ვაფიქსირებდე, თუ როგორ და რარი ძლიერად ვარ შემოფარგლული ენობრივი სტრუქტურული ნარმონაქმნებით და მათი განშლით. ასე რომ, მართლაც ხარ, როცა ამბობ, რომ ისევ ჰერმენევტიკას ვუძრუნდები. აზროვნების ეკონომიკის მიზნით ხომ ენაში ბევრი რამ შემოკლებული, ავტომატიზებული, ფორმალურია, და თავისი შეცნობადობასა და თარგმნადობასა და თარგმნადი ექვემდებარება დაკვირვებას. თუ სიტყვების შრით, მეორადი გამოკვერვათ და ჩანაცვლებით დაგვმაყოფილდებით, მაშინ პოეზიაში, საუკეთესო მატებოვებიში, მივიღებთ მნიშვნელობის ნორმირებული შრის პწყაროდულ თარგმანს, რაღაც ისევთ, რასაც კომპიუტერული პროგრამები სულ უფრო წარმატებით ართმევნ თავს. მაშინ, როცა ლექსის წერის დროსაც და ლექსების თარგმნის პროცესშიც შეძლებისდაგვრად უფრო მეტ ენობრივ პარამეტრს ვაკეცევ ყურადღებას, მე სწორებაც გატკებილი გზების აყრას ვცდილობ, და ეს ჩემოყისაც და ჩემი დაკვირვებისთვისაც უფრო საინტერესო მგონია. ლექსების თხზვის და ლექსების თარგმნის დროს რაღაც რომ მივიღოთ, ისევ უნდა დავთმოთ კონტროლი, საჭიროა თავსუფალი მოძრაობა მივანიჭოთ იმას, რაც ტექსტის შესწავლისას ჩამოყალიბდა, რათა სიახლეს ისეთი ზემოქმედება ჰქონდეს, როგორიც გაგორებულ კამათელს აქვს, და არ იყოს შეკონინებული. ჩემი აქამდელი მთარგმნელობითი მცდელობების შეუალებურ შეჯამებას, ალბათ, ვერ განვახორციელებ, საამისოდ მეხსიერება აღარ მივარგა. ეს უფრო იმასთან დაკავშირებული ექსპერიმენტირებაა, თუ რამდენად ზუსტად შემიძლია თავი გავართვა ენას, ტექსტებს და საკუთარ თავს. ამან შეიძლება აღიარების ხასიათიც მიიღოს. რაც აქედან მიიღება, თარგმანებზე რომ არაფერი ითქვას, არ არის ყოველთვის საინტერესო. ამიტომ შეიძლება გადაჭარბებულიც კი იყოს თვითდაკვირვებაზე ლაპარაკი, ეს უფრო ერთგვარი დიალოგია საკუთარ თავთან.

და გატკებილი გზების აყრა ამ კონტექსტში იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ ამ დროს კვლევის პროცესში პოეტის ხემ უფრო შესამჩნევი ხდება, ვიდრე – მეცნიერის ან მთარგმნელის?

ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსხვრევა და ჩაძირული ტროპების ამოზიდვა, მაგალითად – ისეთი მეტაფორების გაცოცხლება, ჩვენი ყურისთვის უკვე



სტანდარტული ულერკადობის რომ გამხდარან, უდავოდ პოეზიის პრეროგატივა, ვინაიდან შემოქმედება, რომელიც უკვე შეთანხმებულ რეალიზმი, გაცვეთილ კლიშეებში და სურათ-ხატებში, ათასჯერ გამოყენებულ რელაციებში მოძრაობს, დიდ ღირებულებას ვერ შეიძენს. და ასეთ დროს ვერც მეცნიერული ცოდნა დაგვეხმარება, მაგალითად ლინგვისტიკა, და ვერც – იმ მთარგმნელის პრენივალე უნარები, რომელიც თავის ენასაც და ორიგინალის ენასაც უნაკლოდ ფლობს (თუმცა, ეს არც თარგმანს უნდა ვწებდეს და არც – თხზვას). ხშირად ირიბი პერსპექტივა ან გარკვეული „ენაპრგვილობაც“ საკმარისია გამოსახვის ახალი ფორმების მისაგნებად, როგორც ამას სახელგანთქმული მხატვრების – ფიროსმანის, გოთას ან მატისის – შემთხვევაში ვხედავთ. მნიშვნელოვანია მეთოდების და ტექნიკების მიგნება ენის სხვადასხვა შერს შორის (საზრისი, უდერადობა, რიტმი და ა. შ.) სინთეზის და შესატყვისობების განსახორციელებლად, ხოლო ცნობიერებ ხდება ეს თუ – გაუცნობიერებლად, პოეზიაში ნაკლებად მნიშვნელოვანია.

არის კი დღეს შესაძლებელი გამოსახვის ახალი ფორმების მიგნება? უფრო ზუსტად, რაში მდგომარეობს დღესდღეობით, პოსტ-პოსტკლასიკურ ეპოქაში, გამოსახვის ახალი ფორმების საზრისი და შინაარსი?

არის თუ არა შესაძლებელი გამოსახვის ახალი ფორმების მიგნება, მართლაც პრობლემური საკითხია. სიახლე მოცემულ კულტურულ გარემოსთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს, მისი ფორმის და სტრუქტურის გარკვეული ასპექტების გათვალისწინებით, ან – მის გათვალისწინებით, რაც გამოისახება, ანუ – იმ სინამდვილის, საიდანაც ისინი წარმოსდგებიან. ახალი ასევე შეიძლება, უბრალოდ, არათანადროული იყოს. როცა ინგლისელი მეტაფიზიკისი პოეტის, ჯონ დონის თარგმანი დავიწყე, ალფროვანებული ვიყავი იმ ოსტატებით, რომლითაც მასთან რიტორიკული ტექნიკები გამოიყენება, მეტრული ვარიაციებით და რითების წნულებით, იმით, თუ როგორ იყენებს ჯონ დონი ენობრივ მასალას, მარადიული მეცნიერული და ფილოსოფიური საკითხების დასამუშავებლად. რა თქმა უნდა, რენესანსის ეპოქაში ყველანი ნეოპლატონიკო-

სები იყვნენ. თარგმნის პროცესში მკაცრად ვიცავდი მეტოულ უპირატესობებს და ერდევ უფრო მკაცრად – ბეგრით სტრუქტურებს, სულ მცირე – რითებს, ფილოსოფიური და სხვა სახის საფუძვლადმდგებარე მოცემულობებთან დაკავშირებით ის სრულ თავისუფლებას ვაძლევდი ჩემს თავს. მე იმედი იმავს, რომ თხზვის პროცესში ამით ჩემი დროისათვის გამოსახვის ახალ ფორმებს მივაგენი, მიუხედავად იმისა, რომ დევლი გამოვიხმე.

ჩვენი ამ ნაჩექარევი საუბრის ბოლოს მინდა სტანდარტულად გვითხოვ, ვინ არიან ის პოეტები და ფილოსოფოსები, ის კულტურული დინებები, რომლებმაც შენი ჩამოყალიბების პროცესში შენს არსებით ლიტერატურულ წყობაზე და საბაზის იდეებზე გავლენა იქნინებს?

ჩემს შემთხვევაში სხვადასხვა ფაზა იყო. ფილოსოფიაში, სასკოლო განათლების მერე, ბერძულ ფილოსოფიას, გერმანულ კლასიკოსებს, მაგალითად ფრიდრიხ ნიცშეს, მერე კი პირველი თაობის ენის ფილოსოფოსებს ჩავულრმავდი, კი მეტოული ფრიც მაურიენს (მახის თანამედროვე იყო, ლუდერნი და ფრიც მაურიენს (მაზინ თავის „ტრაქტატში“ ახსენებს მისგან ვიგ ვიტგენსტაინი მას თავის „ტრაქტატში“ ახსენებს მიზინთ), მერე – სკეპტიკიზმის ტრადისტანციონების მიზინთ), მერე – სკეპტიკიზმის ტრადისტანციონების მიზინთ, მონტენეს, ანტიკურ სკეპტიკოსებს, რომლებსაც მონტენეს უტრიალებს; თანამედროვეებიდან ბენსონ მათესით და სტენლი კაველით დავინტერესდ (ორივე აშშ-ში, ბერკლიში ასწავლიდა). სკეპტიკოსებს შორისაც მომპოვებინ გამოიჩინა ასწავლიდა). სკეპტიკოსებს შორისაც მომპოვებინ გამოიჩინა კი დიტენი ბრძენი რელატივისტები (აკადემიკოსები, რომლებიც ალბათურ დასაბუთებებს მიმართავენ) და დოგმატიკოსები (რომლებიც ლოგიკური არგუმენტებით ოპერირებენ, ისეთი ფიგურებით, როგორიც არის უსასრულო რეგრესა, ცირკულარობა, პარადოქსი), რომლებიც ცოდნის ფიქსაციის საპირისპიროდ მუშაობენ. მთლიანობაში კი დიდხანს ვიყავი გადავარდნილი ენის ფილოსოფიაში, როგორც მკაცრად ანალიტიკურში, ისე – „ყოველდღიური ენისაში“, მაგრამ ყოველთვის მაინტერესებდა ისეთი თავისუფალი მოაზროვნები, როგორიც პოლ ფეირებენდია (მისი „მეთოდური იძულების წინააღმდეგ“). პოეტიკაში ზიგმუნდ ფროიდთან ერთად დიდად ვემადლიერები ფრანგულ ტრადიციას: პოლ ვალერის და მის „აზრებს“, სტრუქტურალისტებს, მაგალითად ლევი სტრონსა და რომან იაკობსონს (მათ ერთად განახორციელებს ბოლდერის „კატების“ გენიალური ანალიზი), ანტიკურ რიტორიკაზე როლან ბარტის ესსეებს, მიშელ ფუკოს ნამრობებს და სხვ. მერე, როცა ინფორმაციკას უსავლობდი, მათებატიკისი და პოეზიის ურთიერთობით, უკვე ნახსენები მაქს ბენზეს გამოკლევებით დავინტერესდი. რა თქმა უნდა, რდის მეტრული სალექსო ფორმებით ჩემი ექსპერიმენტირებისას არ აცდებინვარ დიდ გერმანელებს, მაგალითად, კლოპშტოეს და პიოლდერლინს. თავისუფლების მოპოვებაში დამეხმარა ავანგარდის სხვადასხვა ხაზი, ტრადიციაზე ირიენტირებული წრე ეზრა პაუნდისა, გერტრუდა სტაინი, სიურრეალისტები და დადაისტები.

## ბენედიქტ ლედებური

### ლექსეპი

\* \* \*

უცყვით მზერების ლაპირინთში ბორგავს ნათება, აწყდება კედლებს,  
განირული წარმოდგენები იცდიან თითქოს მონუსხული,  
შთავონებული სიტყვების მძიმე დაფლაფების  
ნატიფი რიტმით

დანაშაული სასამართლოს უწყობენ ფიქრებს,  
დანაწევრებულთ ნიშნებით და მოჩვენებითი  
ლრმა თანაგრძნობით განაბული ელოდებიან,  
რომ გამოსძალონ

ოდენ ნანატრი ამ სიცხადის ალიარება, მათ ქცევებში  
გამოკვეთილი სატყარა მანიშნებელი,  
ჩვენ კი მხოლოდ ვუახლოვდებით,  
რომ დავიჩივლოთ

თუკი ისინი ამ კავშირებს დაალაგებენ, რაც ჩვენი ხედვის  
სილრმეს ვერ შეცვლის მათ შემთხვევით ხდომილებაში,  
იმას ხომ მაინც მიხვდებიან, რამ მიიყვანა  
დალუპვის ზღვარზე

ის კი განაგრძობს საკუთარ თავს, ქაფმორეული  
განცდის ტალღაზე ცნობს შეგრძნებას, თითქოს სივდება,  
განსჯიან, მსხვერევით რომ აწყდება ტუჩებს, განსჯიან,  
რას შეასხამენ ფრთებს ამჟერად

და ბრალს დასდებენ, მიუსჯიან ადგილზე ტრიალს,  
გზააპნეული, შორეული ნაპირებისკენ  
მიდიან, რათ მართონ უფრო მეტად უხეში  
ალქმიური პროცესები

და შენს ნაკვთებში გამოკრთება ლიმილი მათი, ჰორიზონტების  
წარმოქმისას, განზრახვებით საესე მსხვერევები  
განქარდებიან, შეიქცევენ თავს დაბრუნების  
გათამაშებით, დასრულდებიან,

ხოლო ისინი, მომავალნი ჩვენსკენ, ვერაფრით  
წარმოიდგენენ ქარშემოსილ, გამოცოცხლებულ  
და გადარჩენილ წარმოდგენებს, სანამ ისინ  
არ ალსდგებიან და მშვიდად არ შემოგვედავენ


\* \* \*

გსურს რომ გაიგო, მართლა ჩასწვდე? მომეცი თემა!

მათემატიკა, ალგორითმი და პროპორცია

მსხვერევადს ხდის სიტყვებს, ანადგურებს ფასეულობებს,  
სამგლოვიარო მათი მარში მეშმის როთმებში

ან იქნებ მხოლოდ მეჩვენება? მიჰყევი სქემას!  
რღვევას განიცდის და გადმოდის ნაპირებიდან,



რაც ნანერებში ჯებირიდან ჩაედინება,  
ეძებს გარკვევით გაურკვეველს, მოუხელთებელს


ბავშვის სიცილი განათავსებს სიტყვებს სიბრტყეზე  
ქვაფენილივით, ვით ფიგურებს შტრიხებისაგან.  
რა სულელი ვარ, რომ დავეძებ ისეთ ადგილებს,  
სადაც დუმილში ყვავილობენ ეკალბარდები

ნუთუ ეს არის ჩემი გათვლა, რომ, რაც ფესვშია,  
ამინიზრდება ის ღეროში? რა არის? როგორ  
მრავლდება ისევ თავის ხარჯზე? მსგავს უაზრობას  
ალბათ, ბელურას ფიქრებში აქვს მხოლოდ ადგილი

ჩაჩჩურჩულებენ, თითქოს მიღმა განსხვავებათა  
არის მსგავსება, რაც მათ ისევ აერთიანებს,  
და რიცხვთა რიგიც მანამდეა მწყობრი და სწორი,  
სანამდე არის შესაკრები და დაუთვლადი

წინადადების სიმბოლური მიბმა, კავშირი  
აქსიომასთან, კომიკური მეტამორფოზა  
ურთიერთობის. ამოსავალ წერტილად მაინც  
გვრჩება საწყისი პრინციპები

ჩქეფს იდუმალად, ჰერმეტულად გატარებული  
ექსპოზიცია, თემა, ოლონდ არა ხანგრძლივად!  
გასმული ხაზის ქვეშ მნიშვნელი ასათაურებს  
და მიუთითებს, რაც მრიცხველში ასახულია



\* \* \*

ხეს მიყრდნობილი, წიგნით ხელში, კითხულობს ნიშნებს  
იეროგლიფებს, თეთრ მერქანზე შავი ლაქებით  
შენ, მე ვკითხულობ ფერდობს, ტყეთი დაფარულს, ნათელ  
შორულ ყურეს, და უეცრად

შორდება ნაპირს ნავი, ხედვა წყდება, გაურბის  
ასოებს უსმეეს, როგორც ნიჩაბს მძლავრად, რიტმულად  
ამცირებს კონტურს შენს სხეულზე, მხოლოდ არყის ხე  
შემომნატრის ნიშნად იმისა

რომ კიდევ შეგრჩა ხელთ მზერები რასაც მიჰყვება  
ნყლის ზედაპირზე ბურტულების ეს პულსაცია  
მანიშნებს ადგილს, აქ ფოთლებმა მღვრიე შავ წყალში  
ჩაყვინთეს, მხოლოდ

წყვეტილი კვალი შეგრჩა წვდომის გაწყალებული  
და ფერდობდან კვლავ მოისმის ჩუმი ტყლაშუნი  
რომელიც მთებზე გადაივლის ზვირთებად, მე კი  
ვსტები შიშველი რეფლექსებში

\*\*\*

ჩემი ცენზორი სწრაფად ჩასწერდა დღესაც საქმის არსა,  
ჩემი ულებელი და რიგითი შევეძრა, თუმცა  
კარგად თამაშობს, მაინც მორგუნავს ეს თვალთმაქცობა  
და რუტინა ყოველდღიური

ის ზურგს შემაქცევს, სანამ ერთხელ მაინც ბოლომდე  
არ შევიმეტობ, რომ ამ მუდმივ შემოფარგვლაში  
რაღაც ნაწილი ჩემი ეძებს იმ პირველყოფილ  
და უწინარეს მატერიას

ჩვენსკენ მოდიხარ, ეს სახება ისე ლბილია,  
ისე დამყოლი, დაშიფრული წინადადება,  
ოღონდ შზერაში შეგამჩნიოს და დაიჭიროს,  
რომ შენი პირი მას დაეძებს

### პერავრი

საით მიღმართო ნაბიჯები, როცა ვით ბიუსტს  
კიდურებისგან მყოფს კვარცხლბეკი სიცარიელის  
გადახლართული აბურდული მნიშვნელობების  
გადაკვანძული, ერთმანეთის საპირისპირო

თმით დაფარული მიმოქცევა. ან რა ლოგიკით  
ჩაიტკიცნება ამ გრძნობათა თრობაში ფიქრი  
მოაზრებადი ხდომილების, სადაც გლუვ ქვაში  
ამოკვეთილი ასავლელი იყოფა ორად

რომელიც ურტყამს ცხოველს კუდში კეტს და სთავაზობს  
თავაზინად, უკან მიჰყვეს ოთხივე ფეხით  
იქ სადაც ქალი ელოდება თავის მამაკაცს  
მოუთმენელად... დრო კი მიწყივ მიგვერევება

იმ მიდამოსკენ გემით, ისევ ზვირთების ჯიბრზე  
შესაძლებლობა ელემენტთა ცვლის, და მოთხოვნის  
რომ აღარ ჩაჰყვეს ლაბირინთში ძაფს; ტკივილები  
შეიტყუებენ მათ ცრუ მოდგმას აქ დასაღუპად.

ობლად დაშთება ეს ჭაძარი ქუჩის გუგუნში  
ნრეზე, მორევში ვინ მიხვდება რა მოაქეს ნაკადს  
როკვებში ოდენ რქაშემოსილ სიტყვათა ნილბით  
რომ მინოტავრით მოარჯულოს გაჭირვების ქამს

გვირგინს ადგამენ ამალაში, გაჯიუტდება,  
ამ გვირგვინს ჩასვამს ვარსკვლავებში. გასხივოსნებულს,  
სიტყვების რიგში ჩანაწევენ, და მინდობილი  
მათზე სტროფები შავად აფრებს ასისინებენ

მოხუცი ჯოხზე დაყრდნობილი, ემხობა, ვტირი  
მას, ვის სახელსაც მითოური ეს ზღვა ატარებს  
ათობს მდინარე დავიწყების, რომელიც უკან  
აღარ აბრუნებს ერთხელ უკვე მყარად დადგენილს.

## ჩამოსასრიალებელი


ბავშვად ყოფნა და კიბე-კიბე ლალი სირბილი  
ვარდნის, როდის? გზები თავის ბედს განსაზღვრავენ  
რაც სიტყვებს შერჩათ ვწებებიდან, პოვნა იმისი  
კაცი საკუთარ თავს ააწყობს ქნარზე ლილინით

დრო წერილი შრიფტით იწერება, ურთავს სტრიქონებს  
ნამებით განვრთნილ და დახვეწილ შთაბეჭდილებებს  
რომელიც ცდაზე პანტომიმით რეაგირებენ  
გრძნობენ სცენაზე ლრუბლისებურ გამოვლინებებს  
დასვი ნიშნები, არაფერს რომ არ ემატება!  
და ცეკვა-როკით თავბრუსხვევა აბრძოვებს თვალებს,  
მიეცი რიტმი კატასტროფებს, ბუნდოვნდება  
ეს კულისები, სპექტაკლია მისი სიკედილი  
თითქოს არ სურდეს მაღლა, გარეთ და სურს ფრენაში  
ბავშვად ყოფნა და კიბეზე ლალი სირბილი

და კიდევ უფრო მაღლა ასვლა ბრმა ძალისხმევით,  
ფიცრების ერთად დახვავება, გაფერადება  
ბეგერების, როცა ნაგებობა ამოიზრდება  
და ყრუ კედლებში ალესილი მსხვრევის ქაოსი  
ქმნის ჩუქურთმებს და კიბებს, გზებს, გასასვლელებს,  
სიგრძე-სიგანის სივრცეები ნნავენ გალიებს  
გამომწყვდებული ბეგერებისთვის, რომ გამოსცადონ  
ჩვეულებებში რაც გაიძნა და ამაგრებენ  
უსადაგებენ, ასწორებენ, ათანაბრებენ,  
ჩასვავენ, როდის? გზები თავის ბედს განსაზღვრავენ

რასაც ამ წუთში გზა აეპნა სიზმრებში, ვიწრო  
სიგრციდან უნდა ამიგიდეს უფრო მკაფიოდ,  
და უფრო ნათლად უნდა ქსოვოს წვდომამ სურათი,  
სანამ ფორმში მთლიანობა არ აღსრულდება  
ემალებიან მატერიას ელემენტები  
და მათი კვალი ვუტებებში, ანასეჭდები  
ცხადში, მიმქრალნი – მრავლდებიან მძლავრი სურვილით  
მაგრამ ფორმებში მოქცეულნი, გამყარებულნი  
მერქნები აზრებს და ლეროებს წარმოიდგენენ  
და პოულობენ, რაც ვნებიდან შემორჩათ სიტყვებს.

სამყაროვ, როდის აზვირთდება, რაც ჩაჰყვა მორევს  
შორი, ნათელი პორიზონტი, მიმობნეული  
გამთლიანდება, და აღადგენს ისევ თავის თავს,  
აშრიალდება, გათენდება, წვიმს უპასუხოდ  
სინათლე, ბეგერა გააგზავნის ხსოვნის კუნძულზე  
რაც ყურეებში იძენს ფორმას, აწყდება ნაპირს,  
ამინდი, ნამი და ნაწილი, ასიმიავრული  
გაიცრიცება, შემოსაზღვრავს ერთიანობას  
და როდის? კიბე, თქვეთ, ვინც მართავს, ჩამოსრიალდა  
კაცი საკუთარ თავს ააწყობს ქნარზე ლილინით.



\* \* \*

ფეხარეული მიბარბაცებს ქუჩაში, ამჩნევს  
გაქრა ნაცრობი მიჩვეული მიდამო, უცებ  
გზისპირას ქვაზე დაუცდება ფეხი  
ვეღარ ცნობს

და ეს ხეები, ო ზეცაო! მათი ფოთლების  
შრიალი უცხო, საიდუმლო გამზდარა მისთვის  
და ვეღარ ხვდება, წიფელია თუ ნეკერჩხალი  
ან იქნებ ცაცხვი

თუ თავდაყირა დადგა თვითონ? მაშინ ორმოში  
ვინ წევს ჭუპრივით შეფუთული? (რადგან მეზობლის  
ვერსია მისა სამყაროსგან ძალზე  
შორსაა)

მექანიკური მოძრაობით მოდის ურჩხული  
ფოთლის ციცაბო ნაპრალიდან ვეება ხოჭო  
ვარდება. ზურგზე წევს გუბეში, იხრჩობა, ჯავშანს  
ფარავს ნალექი

ძლივს ნამოდგება, წელს აითრევს, ჩამოიფერთხავს  
ტალახს, ხელები ულაგია როგორც მორები  
პალტოს ჯიბეში. ვინ იმღერებს სასახლეებზე  
ღრუბლებზე ცაში

ჩამოიქცევა ეს ცა მალე, ტკაცანს გაადენს  
სახურავებზე, და თუ სივრცის მნირე სიბრტყეებს  
იცნობს გაშიფრავს, ერთი წვეთიც თუ შეჩერდება  
გადმოიდგრება

გუშინდელიდან გვიანდელში ელემენტები  
და ბუნდოვანი ვარაუდი შერჩება მხოლოდ  
სად მიბარბაცებს, მიუყვება თავის ნაბიჯებს  
ასე საყელოაწეული.

\* \* \*

იქნება ოდა, ან არადა, განმეორება.  
გაჩერდი ანდა მომისმინე. მდგომარეობა  
აგარჩევინებს, ჩვენ ორიდან ვინ ანანევრებს  
ნარმოჩნას აქ ჩამწკრივებულ

აბსტრაქტობულ ნაწილებად. რამდენად ხედვა  
ნათელი არის, რომელსაც მე მომაპყრობ, რითაც  
ნარმომიდგება ლაპარაკა, შენი ცნებები,  
ხედვა, რომელსაც ჩვენ გვიგზავნის სურათი შენი

გამჭოლი მზერით! ან ვის მისდევს, გაოგნებული  
რა იმალება ამ შებლს მიღმა, არა, ფიქრები  
დაგვილაგებენ, ჩვენს მსხვერევაში, რას აკეთებენ  
ჩვენი სიტყვები, როცა უკვე თითოეული

ჟესტიც კი კმარა. შენ კი ჩემთან აჯობებს დარჩე  
იმის მაგივრად, რომ უმარის შენს ფანტაზიებს  
მისდომი კვალში გამალებთ, რაც უსათუოდ  
იწვევს ქავილებს, ღრმა პაუზებს

და ლამაზ ფორმებს. ალბათ, რათა თითქოს თავისით  
ამალებს, მე კი მაინც ვფერობ, რომ ნაწილები  
ნამოიწებენ ამ უაზრო კამათს, არჩევნებს,  
ვინ რა როლშია, რას თამაშობს. სინამდვილეში

ეს ხომ ბრძოლაა ამ საწილში წესებისათვის,  
რაზეც აშკარად გიყდებიან. ზოგიერთ მათგანს  
უჭირს რაიმე აზრიანით შემოიფარგლოს  
და ამ ბრძოლაში ნაგებულნი, უმაყოფილ

პრეტეზიებით აცხადებენ წინადადებებს,  
რომელთა შემდგომ გართულებას ისევ ჩვენ ვცდილობთ,  
როდესაც მკვდრები, ბოლობოლო, გაილვიძებენ  
და ჩვენ კვლავ ერთად შეგვკრებენ და შეგვანივთებენ.


\* \* \*

ალარ ამონმებს არაფერი ჩვენს არსებობას  
მსა შემდეგ, რაც აქ ჩავიკარგეთ შუაგულ ტყეში,  
სადაც ჩადენილ დანაშაულთ, ერთად თავმოყრილთ,  
შეეძლოთ ალბათ მერქნის მიღმა გამონათება

სახელთა ნუსხა და რიცხვების ურთიერთლტოლვა,  
რომლებიც როგორც კი შექმნან კავშირებს, შემდეგ  
განასრულებენ ბრნინვალების მთლიანობასაც  
ჯერ კიდევ ნაკლულს, რაც არ აძლევთ მათ მოსვენებას

და კვლავ უბიძგებთ – გააფორმონ ეს პერფომანსი  
სხვის დასანახად, რომ შექურდეთ, და თუ არავნ  
არ მოიძებნა – ან ვინ უნდა იყოს გარშემო?  
მე აქ ვარ მაინც და ჯიუტად ვიტოვებ იმედს

რომ რიცხვებს დაუკავშირდება, ადრე თუ გვიან,  
თავისუფალი მოძრაობა მათთა, წესრიგის  
უარყოფა და მიმოქცევა ერთმანეთს შორის,  
ზეცა – ქვესკნელი ოდენ ბავშვის დამაშებია.



## ზონდი

დასაწყისშივე საუბარის ყველა სურვილი  
ვერსიების ზღვას უტრიალებს, ოქროცურვილი  
თემა ამოდის ზედაპირზე, რათა დუმილი  
განკვეთოს ელვამ, ასოების ხმებში წუხილი  
ფიქრთა, რომლებიც ამ სინათლეს ემალებიან  
წესრიგის საზღვრებს გარღვევებით ემუქრებიან  
და პოდიუმზე ქედმოხრილნი ეახლებიან  
ხვალინდელ კოსტუმს მოდელები. გარსევლებიან  
გათენებადი საზრისები, წარმოდგენაში  
წამომართულნი, ხდომილების უცნაურ ჟესტებს,  
გააჯღერებენ მუსიკალურ ფრაზად თემაში  
ბოდვის ნაპირზე სიმღერების ამღვრეულ ფერებს  
წინათგრძნებები ალაპურობენ ქნარებს, რბოლაში  
წყალევება კლდეზე დაიმსხვრევა ფრაზა წვდომაში.

**თარგმნა ლევან კავლელმა**

# ერთი ფილოსოფიური შემთხვევა

## ნინასნარი განზრაცვის შესახებ

ლიტერატურა, თავის მხრივ, სხვას არაფერს სჩადის: მხოლოდ კვლავ უბრუნდება, ანდა წინასწარ განვითარებს სამყაროსადმი იმ მიმართებას, რაც მეცნიერებაში, ფილოსოფიასა და ფილოლოგიაში ან უკვე არსებობს, ან მომავალში შეიქმნება, – ჩვენ ხომ არასოდეს ვიცით, ნინ უსწრებს ლიტერატურა ფილოსოფიასა და მეცნიერებას თუ, პირიქით, მათ უკან მიჩანალებს.

ალექ რობ-გრიგ

ფილოსოფიური განათლების მქონე მკითხველისთვის, შესაძლოა, საინტერესო იყოს, თუ დეტექტიურ რომანში კაუზალობის პრინციპი იქნა წამოჭრილი, – ვთქვათ, ფილოსოფიის პროფესორი მოკლეს ამ თემაზე ლექციის კითხვისას. რათა მკითხველს სწორედ ის ნუგპარი მიაწოდოს, რასაც ის დეტექტიური რომანისაგან მოელის, მწერალი ვერ დათმობს პიპოთეტურ მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვებს (სულერთია, მინაშენებებით აღძრავს მას მკითხველს გონებაში თუ თვითონვე ექსპლიციტურად გამოიქვამს) და კრიმინალური შემთხვევის ამოსახსნელად აუცილებელი ფიქტიური ფაქტების კავშირებს. თხრობისა და ახსნა-განმარტების ნიმუშების დიტატი, შესაძლოა, ყველაზე უფრო იმ დეტექტიურ რომანებში იგრძნობა, რომელსაც ნატიფი გემოვნების მქონე მკითხველი ტრივიალურ ლიტერატურად მიიჩნევს, არა იმდენად იმის გამო, რომ ამგვარი რომანი გამოიყინების სწრაფვას გვიყმაყოლებს, არა-მედ – იმიტომ, რომ ის მეათასედ გვანვდის ერთი და იმავე ნაცადი კლიშესა და ილეთის მორიგ უფანტაზი ვარიანტს. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენ შიგნით და გარშემო მიმდინარე მოვლენების საინტერპრეტაციოდ გარკვეული მიდგომა და სქემა გვჭირდება, გარკვეულ ჩარჩოებში უნდა ჩავსხდეთ. მისი გასართობი და კომერციული ფასეულობის გვერდით, ლიტერატურული პროდუქციის, განხორციელებულ ლიტერატურულ ფორმათა დორებულება იმითაც განისაზღვრება, თუ რამდენად ამდიდრებს ის ჩვენს საინტერპრეტაციო შესაძლებლობებს. ამით უკვე მოცემულია ლიტერატურისა და ფილოსოფიის პირველი შეხების წერტილი, რადგან ფილოსოფიაზე შეიძლება იგივეს თქმა, მიუხედავად

იმისა, რომ ფილოსოფიური სიმეკრით პრობლემებისა და ცნებების განმარტება ლიტერატურულისაგან სრულებით განსხვავებულ სტილს საჭიროებს. მეტიც: ლიტერატურის მიერჩვენი მსოფლმხედველობის საფუძლების ვერწვდომა და უგულებელყოფა სწორედ იმ მყიფე კლიშეებს ბადებს, მასობრივ ლიტერატურას რომ ახასიათებს.

მაშასადამე, ის, თუ რა დონეზე ხორციელდება შინაარსის ფიქტიური სინამდვილისა და მისი ფორმების ფაქტობრივი სინამდვილის განუყრელ მთლიანში ლიტერატურის ნარმატებული ჩარევა, და რა სახით მუღავნდება ნარმატებული ნისსვლა, არა მხოლოდ ლიტერატურულ უანრებსა და მათ კანონებზეა დამოკიდებული, არამედ – იმ ცნებებზეც, რომლებითაც მწერალი სინამდვილეს განსაზღვრავს. ასე მაგალითად, სამეცნიერო ფანტასტიკის უანრში დაწერილი რომანის მაღალი დონე თუნდაც იმით განისაზღვრება, რომ მისი პროექციების შესაძლებლობები ფიზიკის კანონებს არ ენინააღმდეგებოდეს. მეორე მხრივ, აღიარებული კანონების შეგნებული უარყოფა შეიძლება ახალი სამეცნიერო პარადიგმების ან მათი გამოყენების ნინანარმეტყველურ მოლლოდნისაც ნიშნავდეს. თუკი ამგვარი რომანის პერსონაჟის საჟცილი მეცხრამეტი საუკუნის ფილოლოგიის მეშვეობით ექნა აღნეროლ-განმარტებული, ეს, ტენინიური აქსესუარების პროგრესულის მიუხედავად, მოქედებულად აღიქმება, ხოლო თუ მთელი კონსტრუქცია გმირისა და მოქმედებისა მარტივ სქემას, გულუბრყვილო ანთოპომორფულ და ზნობორივ კონტრასტებს ეფუძნება, მაშინ მოვცელებულ ნარმოდგენებზე ორიენტირებული ამგვარი ნაწარმოები ნამდვილად ვერ ჩაითვლება მაღალი დონის ლიტერატურად. დეტექტიური რომანის შემთხვევაში რთული, ცბიერად ჩახლართული შინაარსობრივი სტრუქტურა, დამაჯერებული ხდომილება, ახალი ენობრივი მიდგომა, შეფარული მინიშნებები, ანდა შინაარსობრივი მრავალგანზომილებიანობა ისევე ამდიდრებს მის ლიტერატურულ ღირსებას, როგორც – დროითი მრავალშრიანობა, ზუსტად გამოსახული ლანდშაფტი თუ გარემოები ანდა თავისუფალი წების გამოვლენის შედეგის ოსტატური აღწერა.

რობ-გრიეს მიერ 1989 წელს ტიუბინგენში წაკითხულ მოხსენებაში (რომელიც, აუდიოჩანანერის საფუძველზე, წიგნის სახითაც გამოიცა), ავტორი საუბრობს თავს რომენზე Les Gommes, რომელიც მთლიანად აწმყო დროშია დაწერილი. ეს დეტექტიური რომანი მთლიანად იმ ნაკლს თუ უარყოფით მომენტზეა აგებული, რომ დანაშაული, რომელზედაც მასშია საუბარი, სინამდვილეში არ მომხდარა. ის, ვინც მთელი რომანის განმავლობაში ამ დანაშაულის გამოძიება-რეკონსტრუირებას ცდილობს, საბოლოოდ თვითონვე ჩაიდგნს მას ამ ნაკლის გამოსასწორებლად, რობ-გრიეს თქმით, ლოგიური აუცილებლობის გამო: „ის გარკვეულ მონაწილეობას იღებს ლაკუნის შემცველი ამ სამყაროს შემობრუნებაში, რის შედეგადაც ლაკუნა ამოიგება. მაგრამ რომანის გმირი მას ყალბი, „ფალ-სიფიცირებული“ გზით ამოავსებს. რაც ერთი კონკრეტული დეტექტიური რომანის შემთხვევაში ოსტატურ მიგნებად შეიძლება ჩაითვლოს, იმას რობ-გრიე თანამედროვე მწერლური შემიქმედების ძირეული აგებულების მეტაფორად წარმოგვიდგენს, – იმ აგებულებისა, რასაც ლიტერატურა მეცნიერებას აზროვნებას უმაღლის. რათა ლიტერატურას, მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის ურთიერთმიმართება უფრო დამაჯერებლად წარმოგვიდგინოს, რობ-გრიე ამ მოხსენებაში არც მსოფლიო დონის მეცნიერთა და ფილოსოფოსთა დასახელებას იშურებს, არც – ფართო პერსპექტივის მქონე მტკიცებებს, რაც აზროვნების თეორიაში პარადიგმათა გადამწყვეტ შეცვლას ითვალისწინებს. მაგალითად, მიზიდულობის კანონთან დაკავშირებით ამბობს: „მიღებული ფორმულა ბევრად მეტს გვამცნობს ნიუტონის ტვინის ფუნქციონირების შესახებ, ვიდრე – ვაშლის ჩამოვარდნის შესახებ“, ხოლო აინტერაინის ციტირებას იმის გამო კი არ ახდენს, რომ კვანტური ფიზიკის შემთხვევითობებით აღსავს სამყარო გააცამდევრა (ლმერთი კამათელს არ აგორებს), არამედ – გადამოწმების პრობლემის წამოჭრის გამო. მისი აზრით, კარლ პოპერმა აინტერაინის ამ აზრის ულეგარიზება მოახდინა, რაკი მის ნაცვლად გაყალბების ცნება შემოილო, რის მიხედვითაც, „მეცნიერული აზრის კრიტიკიუმი იმაში მდგომარეობს, რომ თეორია ნაკლოვანებაში ვამხილოთ, თუნდაც მხოლოდ ერთ ფუნქციში.“ ანალოგია იმ დანაშაულისა, მხოლოდ მისი მიზეზ-შედეგობრიობის (რე)კონსტრუქციის შედეგად რომ იქნა ჩადენილი, პოპერისეულ ფალსიფიკაციის თეორიასთან დაკავშირებულ მოხსენებაში ლაკუნის თუ ნაკლოვანების ხატოვან წარმოდგენაზეა დაფუძნებული, უშუალოდ რომლის ფარგლებშიც გაუგებარი რჩება, თუ რა თვალსაზრისით შეიძლება ჩადენილი დანაშაული ფალსიფიკაციად მივიჩნიოთ, თუკი გამომძიებელი საკუთარი კვლევის საფუძველზე მისი ჩადენის აუცილებლობაში დარწმუნდა. თუკი გამოძიებას და პიპოთეტურ მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვის თეორიასთან გავაიგივებთ, ხოლო დანაშაულებრივ აქტს (რომანში) არა მხოლოდ თეორიის მიერ ნაწინასწარმეტყველებ, არამედ – მის მიერ გამოწვეულ მოცემულობად, მაშინ თეორია დამტკიცდება, მეტადრე, თუკი ინდივიდუალური ქმედების თავისუფლებას უარყოფთ. მაგრამ თუკი დანაშაულის ჩადენა თავისუფლებას ასაკურდად აქცევს, თუკი ვიღაც მხოლოდ

საკუთარი მონმობის საფუძველზე თავს გაადგებულად ჩათვლის, დანაშაული ჩაიღინოს და თავის ჩვენებებს ვერ ადასტურებს. რავი თვითონვე არ სჯერა მათი, მაშინ დანაშაული შეიძლება გადატანითა მნიშვნელობით ფალ-სიფიცირებულ, გაყალბებულ მოცემულობად მივიჩნიოთ. ამგვარად, პოპერის გაყალბების თეორია, რომელიც რობ-გრიემ ლაკუნასა და ნაკლოვანებაზე საუბრისას მოიშველია, თვითონვე იქცა სამეცნიერო-თეორიული დაპირისპირების მიზეზად. საკუთარი დანაშაულის, როგორც დამაგვირგვინებელი დასკვნის, რწმენით აღსილო დამნაშავე, მართალია, იუმისა და კანტის კაზუალობის ცნების მეცნიერობის სამბოლოდ წარმოგვიდგება, რომლის მიხედვითაც მოვლენის მიზეზები მხოლოდ იმ ადამიანის გონებაში არსებობს, ვინც ამ მოვლენას განსჯის – კანტთან ეს გრძელობა-დი აღმის შედეგია, პიუმთან კი – ჩვევისა, – მაგრამ პოპერი ისეთ დედუქტივიზმს ემსრობა, უარყოფის ლოგიკურ ფუნქციას პარადიგმად რომ აცხადებს. იგი თავს იმით იწონებს, რომ იუმის ჰიპოთეზების გაძლიერება-შესუსტებისადმი ინდუქციური მიდგომა ფალსიფიკის თეორიის მეცვეობით უფრო ლოგიკური გახადა და ჰიუმის სკეპსის იმდენად შეარბოლა, რომ ამა თუ იმ თეორიის გასაყალბებლად ერთადერთი მონაცემი კმარა, რასაც, პოპერის მიხედვით, ერთადერთ შესაძლო ჭეშმარიტებასთან, – ჭეშმარიტების ნეგატიურ ფორმასთან მიყეავართ. თეორიათა უარყოფით იცვლება მათი ლოგიკური ლირებულება და არა -მათი ლოგიკური სტრუქტურა. თეორიულ კავშირებზე ამ მიჯაჭვულობას, მაშინაც კი, როდესაც ისინა, „კვლევის ლოგიკის“ შესაბამისად, მხოლოდ შემდგომი უარყოფის პერსპექტივით მყარდება, რობ-გრიე, რომელიც თავის მეცნიერულ ანალოგიას (ჰიუსტორიულზე და ლაკუნზე დაყრდნობით) ცნობიერების ჰიუმისეულ ცნებაზე ამყარებს, ლიტერატურულ-მსოფლმხედველურად შეიფრაგებს: „ჩვენ არსებაში არის მასტრუქტურული რენირებელი ლაკუნები, სიცარიელები, მეტიც: ვატყოდი, რომ ჩვენ მთლიანად სიცარიელეს წარმოვადგენთ, რომელიც რაღაც ეწინაალმდეგება: ჩვენ უწინდელ სისაცხეს, რომელიც უკანასკნელ საუკუნეში დავკარგეთ, მაგრამ რომლის გავლენიდან კერაც არ გამოსულვართ“. ეს მტკიცება უცნაურად აერთიანებს პროგრესის იდეას უკანსვლის იდეასა თუ განცდასთან. სილრმისეულ ბგერასთან ერთად მთლიანი ტონალობაც დაიკარგა, მა-

გრამ ფიგურები მაორგანიზებელი ცენტრისა-  
გან დამოუკიდებლად განაგრძობენ თავიანთ  
ცხოვრებას. თუკი ამას სოფიასტურ ლოგიკუ  
გადავიტანთ: აქსიომატიკა მოცემულია საგნო-  
ბრივი გამართლების გარეშე, ნინაპირობები  
აღარ იმსახურებს მოკამათეთა ნდობას, მაგ-  
რამ გამოყენებული დასაბუთებები მაინც ერ-  
თადერთ სარწმუნო მეთოდებად რჩება.

ტიუბინგნები წაკითხულ მოხსენებაში რობ-  
გრიე თეორიულ დისკუსიას როდი წარმართავს:  
მეცნიერული ანალოგიები იმ სტილური განსხ-  
ვავებების განსამარტად სჭირდება, რომელსაც  
რომანებში გამოკვეთს. ამგვარად, ბალზაკის  
რომანები კლასიკური მწერლური შეიძლება-  
დების ცენტრირებული სისავისის ნიმუშად მი-  
აჩინა, ხოლო დოსტოევსკი (კერძოდ, „ეშმაკი“)  
და ფლობერი („მადამ ბოვარი“) მისთვის უკვე  
მოდერნის დასაწყისია: „ბალზაკს მკითხველი  
განუწყვეტლივ გადაჲყავს ერთი სისავისიდან  
მეორეში, მკითხველმა იცის, თუ რაზე დაამ-  
ყაროს საკუთარი სისავეს, ის საიმედო, მშვიდ  
სამყაროში მიმოდის და ორმოში ჩავარდნისა  
არ ეშინა. ხოლო ფლობერის რომანებზე შეი-  
ძლება ვთქვათ, რომ ისინი ორმოებისა და  
გაუგებრობების გადაჲყეთას წარმოადგენს.“  
რეცენზენტის პოზიციიდან ის წაკლოვანების  
საკუთარ კონცეპციას იმით განმარტავს, რომ  
მის მიერ განხილული ავტორიც მსგავს ხატს  
იშველიებს: „ფლობერი ამბობს: „ეს ორმოს  
ჰგავდა, რომელმაც მისა არსებობა ამიაცარი-  
ელა...“ ორმოს მეტაფორის სწორედ ამ მო-  
მენტში გამოყენება გვაფიქრებინებს...“, ანდა,  
სხვა შემთხვევაში, ამას სიუჟეტური მოქმედებ-  
ით ხსის: „ეშმაკის“ პერსონაჟი სტავროგინი  
მეტნილად არ ჩანს, საზღვარგარეთა; ან  
კიდევ გამომცემლის ნებისა თუ სიფრთხილის  
გამო შექმნილი წაკლოვანება მოაქვს ნიმუშად:  
რომანის ის თავი, სადაც სტავროგინი ალასარე-  
ბას ამბობს და საკუთარ დაცემას ინანიებს,  
პირველ გამოცემაში ცენზურული აკრძალვის  
გამო არ შესულა (ეს უკვე არალიტერატუ-  
რული მიზეზების გამო „ამოვარდნილი“ და-  
ნაშაულია), ხოლო მომდევნო გამოცემებში  
რომანის ბოლოში იძეჭდება.

ისტორიის წერაზე საუბრისას გოლო მანი  
იმავე ხატს იშველიებს, რასაც რობ-გრიე: „ის-  
ტორიასთან რომანის შედარება სავსებით მი-  
ზანშეწონილად მიმაჩინა: პოლ ვეინის თქმით,  
„ისტორია წამდვილ ლაკუნებან რომანს წარ-  
მოადგენს,“ – წამდვილს, რაკი მასში არაფე-  
რია გამოგონილი, რომანს – რაკი ის ამბავს

მოგვითხრობს, ლაკუნებიანს – რაკი ჩვენთვის ყველაფერი არ  
არის ცნობილი.“ მისი აზრით, ისტორია მხოლოდ მერე და მერე  
გამოიყურება ერთ დეტერმინირებულ მთლიანობად, გეგმნე-  
ბათ, ყველაფერი მხოლოდ იმ პარამეტრების სწორია თა-  
ვის დამოკიდებული, რასაც მატერიალისტური ისტორია თა-  
ვისი სტრუქტურული ანალიზით აწესდება. „სტრუქტურული  
ანალიზი საუკეთესო შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებს, წარ-  
მოგვიდგინოს წარსული ცხოვრების სისავსე მომავლისაკენ  
მის გახსნილობაში. მომავლისაკენ გახსნილობა გულისხმობს  
იმას, რომ იმ გარკვეულ დროში მცხოვრები ადამიანებისთვის  
მომავალი არასოდეს ყოფილა განსაზღვრული, მათ ასევე არ  
იცოდნენ, რა მოხდებოდა მომავალში, როგორც დღეს არ ვი-  
ცით, თუ რა მოხდება ერთი ან ათი ნლის შემდეგ. მთხოვბელ-  
ისტორიკოსს შეუძლია, როგოვ მომენტი გააერთიანოს: წარსუ-  
ლის კაცობრიობას გარედან მიუდგეს, როგორც – მთლიანი  
სინამდვილის მათზე უკეთ მცოდნე, თუმცა ეს მისი პირადი  
დამსახურება არ გახლავთ, და, ამავდროულად, გარდასული  
დროის დინებასაც გაჲყვეს, თოქმოს არ უწყოდეს იმას, თუ  
რა მოხდება წარსულის შემდგომ მომენტში. ანალიტიკოსმა  
ყველაფერი იცის. მაგრამ ის თავის ცოდნას თავის დროს  
უმაღლის და მხოლოდ ეს უპირატესობა აქვს ღლევანდელ  
გარდაცვლილთა წინაშე. [...] ეს პირნშინდად ლოგიკურია,  
ხოლო ლოგიკას აქ დიდი მინიშვნელობა ენიჭება: გარდაუვალი  
ხდომილება ამა თუ იმ გარემოებით გამონვეულისაგან გა-  
ვარჩიოთ... გერმანიის სოციალური სტრუქტურები წინ არ  
აღვინვერა აღდგომია აღდოლებ პიტლერის თავგადასავალს, არ შეუჩერ-  
ალდგომია და შესაძლებელი, რომ თანამედროვეებს შეუძლებლად  
მიაჩნდათ: პირველ რიგში, გერმანიის ძეველ, კონსერვატიულ  
ხელისუფლებას, შემდეგ კი – ინგლისელებსა და ფრანგებსაც.  
მათ რომ მისი შესაძლებლობა დაშვათ, სხვაგვარად იმოქ-  
მედებდნენ და შეუძლებელს გადაიდნენ მას. “სიტყვა „თავ-  
გადასავალი“ აქ ისევე უადგილოა, როგორც – პოლიტიკური  
გარემოცვისთვის გადამწყვეტი მინიშვნელობის მინიჭება, მა-  
გრამ გოლო მანი ერთადეგრთი არ გახლავთ, ვინც ადამიანური  
გავლენის სფეროს სტატისტიკურ წინასაზრებულებას პონტი-  
პულად აკრიტიკებს. მსგავსი კრიტიკა გვხვდება ადგილონისა  
და პირველიმერის წიგნში „განმანათლებლობის დაიალეტიკა“,  
თუმცა ეს ავტორები არ ცდილობენ ისტორიული მეცნიერ-  
ების ადევეკატური ფორმის სახით თხრობის პრივატუ-  
ლური მიზანდება ერთი საუბარი, რომელშიც სახელმწიფო ეკონ-  
ომისტი ამტკიცებდა, რომ გერმანიის უნიფორმიზაცია ბა-  
ვარიელ ლუდის მნარმოებელთა ინტერესებს ენინააღმდეგება.  
გონიერებს თუ დავუკერებთ, ფაშიზმს დასავლეთში არ უნდა  
გაემარჯვა. მაგრამ გონიერებმა ბარბაროსებს საკუთარი ს-  
სულელით გაუადგილეს საქმე. ეს ორიენტირებული, შორსმ-  
ჭვრეტელური განსჯაა, სტატისტიკასა და გამოცდილაზე  
დაფუძნებული პროგნოზები...“ დღეს მზად ვართ, იმ სახელმ-  
წიფო და გლობალურ ეკონომისტებს თუ ანალიტიკოსებს ვერ-

სოციალური კვლევა, სხვა მეცნიერული აღწერის მსგავს-ად, გარკვეულწლილად განზოგადებას უნდა ემყარებოდეს, რაც ბიძგისმისტიკემია სიმისისოდ, რომ კვლევის სფეროს მოცემულობანი ამოიშალოს, როგორც „არარელევანტური“, ანდა ანალიზისას გადაულიახვი დატოვოს გარკვეული ზღვარი. ეს, ცხადია, ლიტერატურულ ფენომენთა კვლევასაც ეხება, რაზე დაც პირ ბურდიო საუბრობს თავის წიგნში „ხელოვნების კანონები“. განზოგადების გარკვეული სპეცტრის ფარგლებში დასაშვებია ამა თუ იმ ეპოქასა თუ რეგიონის ლიტერატურაზე საუბრისას, მისი სტილის გენეტიკური კვლევისას, მისი ინტელექტუალური დონისა და სხვადასხვა ლიტერატურული მიმღინარებისადმი მიკუთვნებაზე ლაპარაკისას (კვლევა მით უფრო საინტერესოა, რაც მეტად ღრმად ძალუებს მეთოდებისა და კატეგორიების დიფერენცირება, ინდივიდუალურება), მაგრამ ამა თუ იმ ავტორის ცალკეული ნაწარმოების ანალიზისას კვლევაც გარკვეული საზღვრებით იქნება შეზღუდული. ბურდიოს კვლევა სწორედ იმიტომაა ასე ისტატური, რომ ის, ფლობერის რომან „გრძნობათა აღზრდის“ მეშვეობით, თითქოსდა, ამ საზღვრების გადაღლახვას ახერხებს. თავისი სამუშაოს საწყის ეტაპად ის აცხადებს „კითხვას“, ანუ – დეტალურ ანალიზს ამ რომანისა, რომელიც ლიტერატურული საშუალებით აღწერს ბურდიოს მიერ თავის წიგნში ნაკვლევ ეპოქასა და საზოგადოებას. „გრძნობათა აღზრდა“ გას მისი სოციოლოგიური გამოკვლევისათვის აუცილებელ ყველა ინსტრუმენტს ანვდის“. ამგვარად, ის შთამბეჭდავად იშველიებს ფლობერის კოტენციალს, რომელიც სოციალურ გარემოებებს ფრაგმენტულად, მაგრამ ცოცხლად წარმოგვიდგენს. ერთ-ერთ თავში, – მას „აუცილებელი შემთხვევითობის, საზოგადოებრივად ურთიერთგამომრიცხავს შესაძლებლობათა მოულოდნებით თანხვედრის შესაძლებლობა, დამოუკიდებელ მოვლენათა წყების თანაარსებობაშა მოცემული. ურედერიების გრძნობათა აღზრდა ორი სამყაროს შეუთავსებადობის თანდათანობით შეგნება გახსელა: ხელოვნებისა და

ფულის, სუფთა სიყვარულისა და გასაყდად  
გამოტანილი სიყვარულის შეუთაცსებლო-  
ბისა. ეს სტრუქტურულად აუცილებელი იმ  
შემთხვევითობების წყებაა, რომლებიც სო-  
ციალურ მომწიფებას განსაზღვრავენ, რაც  
მათი წყალობით ერთმანეთს ხვდება სტრუქ-  
ტურულად ურთიერთშეუთავსებელი შესაძლე-  
ბლობანი, რომლებსაც მრავალმიშვნელოვანი  
სინამდვილის ფარგლებში, „ორმაგი ეგზისტ-  
ენციის“ პირობებში ძალუდ თანაარსებობა:  
დამოუკიდებელი კაუზალური მწერივების ეს  
თანმიმდევრული შეხვედრა ყველა „ლატერ-  
ალურ შესაძლებლობას“ აუქმებს. რაოდნე  
უწყინარადაც არ უნდა ნარმოგვიდგენს რომა-  
ნის სოციოლოგიური რეზოუმე „ხელოვნებისა“  
და „სუფთა სიყვარულის“ გულისამაჩუქუებე-  
ლი პარალელიზმის სახით, დამოუკიდებელი  
„კაუზალური მწერივები“ მაინც ისეთ შთაბე-  
ჭდილებას აღძრავს, თითქოს მათი არსებო-  
ბის მიზეზი ის იყოს, რომ სოციოლოგიური  
დეტერმინაცია უარს ამბობს ისეთ აქტიორე-  
ბზე, გამუდმებით რომ იცვლიან სახეს, სინამ-  
დვილის სხვა დონეებზე კი დეტერმინისტულ  
ლატურებს ტოვებენ. გარდა ამისა, გვიჩნდება  
ეჭვი, რომ რომანის სოციალურ მოძღვრებად  
ქცევის შედეგად გაუქმდება ის კომპოზიციური  
კრიტერიუმები, ავტორისა და ნანარმოები-  
სათვის არსებითად მნიშვნელოვანი რომ არის.  
ბურდიო ივანებს იმას, რომ მის ნარკვევში  
განხილული სხვა ნანარმოების შემთხვევაში  
(სიმბიოლისტების, დეკადანტებისა და სხვათა  
ნანარმოებისა) მას, მაშინაც კი, როდესაც  
ხსნის, თუ რის შედეგად შეიქმნა ეს ნანარმოე-  
ბები, მის მიერვე ჩამოყალიბებული განზოგა-  
დებებისა და მეთოდების ჩარჩოებში ჩაჯდომა  
უნდესა, როდესაც ნანარმოები თვითონვე არ  
აღწერს საზოგადოებას და არ აწვდის მკვლე-  
ვარს „აუცილებელ ინსტრუმენტებს“. ცხადია,  
ბურდიო საქმაოდ გამჭრიანა საიმისოდ, რათა  
საკუთარ მეთოდებს კატეგორიული დახმარება  
მიაწოდოს იქ, სადაც მათი შესაძლებლობები  
მთავრდება: „ველის ცნება შესაძლებლობების  
გვაძლევს, თავი დავაღწიოთ შინაგან და გარ-  
ეგან ანალიზს შორის წინააღმდეგობას ისე,  
რომ არ დავთმოთ ამ, ტრადიციული გაგებით,  
ურთიერთგამორიცხავი მეთოდების მონაპო-  
ვარი. ამის საშუალებას იძლევა ინტერტე-  
ქსტრუალობის ცნება, ანუ – ის ფაქტი, რომ  
ნანარმოების სივრცე ყოველწლიუს შეიძლება  
პოზიციონირების ველად ნარმოვიდგინოთ...“  
ტექსტის ინტერპრეტაციები იმ პერსპექტივ-

იდან, რომელიც წებისმიერ ნაწარმოქმებში მხოლოდ ლიტერატურული პროცესის ანარევლს ხედავს, ერთგვარად ცალმხრივი იქნება, თუკი ანეკდოტურ მითება-მოთქმას მოსახუენად არ მიიჩნევს. უჟკველად დიდ როლს თამაშობს ასევე ყოველი მკვლევრის სრულიად გასაგები სურვილი, საკუთარი გამოკვლევის დონე ყოვლისმომცველად გამოაცხადოს. კატეგორიულ შეჯდომად რჩება სოციოლოგიური კანონების ესთეტიკურში და პოეტოლოგიურში აღრევა, ანდა – სოციალური გარემოს ტიპიზაციაზე დამყარებული გენეტიკური განმარტებების დაპირისისირება იმ ლიტერატურათმცოდნეობით განმარტებებთან, რომლებიც ცალკეულ ავტორსა თუ ნაწარმოებს იკვლევს, ანუ – თუკი ფლობერის მაგალითთან დავრჩებით, მისი ნაწარმოებების ინტერპრეტაციისას, მათი შექმნის იმპულსების დასადგენად მისი პირადი წერილების მოშველება (რომლებიდან ციტატებიც, სხვათა შორის, ბურდიოსაც უხვად მოჰყავს), არადა წერილები თითქმის სრულადაა მოკლებული ფლობერისეულ პოეტიკას, წერის მისეულ კრიტერიუმებს. რათა იმაში დავრჩმუნდეთ, რომ მეცნიერება ბურდიოს თვალსაზრის არ უვინორვებს და რომ მაშინაც კი, როცა მისთვის უმთავრესია სოციოლოგიური ფაქტები და დასკვნები, ის შეგნებულად მიმართავს ამ მიდგომისათვის გარდუვალ შეზღუდვებს. მოვიყანთ მისი ნარკვევიდან შემდეგ აბზაცს, რომელშიც ის თვითონვე შემოსაზღვრავს საკუთარი მეთოდის ფარგლებს, რომელიც ზუსტად იქამდე აღნებს, სადაც ლიტერატურული ტექნიკის საკითხები ინყება: „ფლობერის შემდეგ რომანის ისტორია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ხანგრძლივი მუშაობა, რომლის მიზანია, ედმონ დე გონკურის თქმით, „რომანის არსის მოკვლა“, ანუ – რომანის განმენდა იმ ყველაფრისებან, რაც, თითქოსდა, მის არსებით ნიშნებს შეადგენს: ინტრიგა, მოქმედება, გმირი: დაწყებული ფლობერის ოცნებით „წიგნზე არაფრის შესახებ“ და გონკურების მისწრაფებით „რომანისაკენ, რომელსაც არ აქვს არც საკვანძო წერტილი, არც – ინტრიგა, არც – მდაბით თავშესაქცევი“ და – დამთავრებული Nouveau Roman-ითა და ლინეარული თხრობის რღვევით, აგრეთვე, კლოდ სიმონისეული ვითომდა ხატოვანი (თუ მუსიკალური) კომპოზიციის ძეგით, რომელიც ნარატიული ელემენტების შეზღუდული რაოდენობის – სიტუაციების, პიროვნებების, ადგილების,

მოქმედებების – პერიოდულ განმეორებასა და შინაგან შესაბამისობას, მათ მოდიფიცირებულ თუ მოდულირებულ რეპრიზას ემყარება. ამგვარი „ნმინდა“ რომანი, თავისთვალი ცხადია, სრულებით ახლებულ ნაკითხვას საჭიროებს, როგორსაც წინათ მხოლოდ ლირიკა მოითხოვდა, – მისი იდეალური „ზღვრული შემთხვევა“ გახლავთ გაშიფრების სქოლასტიკური პრაქტიკა, ანდა – განმეორებულ ნაკითხვაზე დამყარებული ახალი ხედვა. ფაქტობრივად, მწერლობა მხოლოდ იმიტომ შეიძლება ითხოვდეს ასეთ პრეტენზიულ ნაკითხვას, რომ ის ისეთ ველში ხორციელდება, სადაც ამ მოთხოვნისათვის აუცილებელი ყველა პირობა შეექმნილი: „ნმინდა“ რომანი იმ ველის პროდუქტია, რომელშიც ნაშლილია კრიტიკოსსა და მწერალს შორის ზღვარი; უკანასკნელი მით უკეთ მსჯელობს საკუთარი რომანების შესახებ, რაც უფრო ცხადადა მათში ასახული რომანის არსი და ისტორია, თანაც – ის, რომ არცერთი წუთით არ იქნას მივრცყებული მათი მხატვრული, ფიქციური ხასიათი“. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც ლიტერატურაზე აცხადებს პრეტენზიას, საკუთარ თავში უნდა ირეკლამდეს თავისი უნრის მთელ ისტორიას. ისეთი რომანებიც, როგორიც, მაგალითთან და, ნაბოკოვის რომანებია, „Nouveau Roman“-თან შედარებით ნაკლებად მკაფიოდ მარკირებული, მანც შეიძლება უმჯაცრესად განსაზღვრულ კომპოზიციას ემყარებოდეს. ლიტერატურში თუნდაც არალი-არებული განვითარების ბურდიოსეული განსაზღვრება ბევრად მეტის მოქმედია, ვიდრე – რობ-გრიფს ნაკლოვანების მეტაფორა და მეცნიერებასთან ანალოგია. აქ მკაფიოდ ჟღერს იმ პიროვნების საყვედური, ვისაც სურს, ლიტერატურიდან ისტორიულ-სოციოლოგიური დასკვნები გამოიტანს, რომლებსაც ლიტერატურულ ფორმათა ისტორიასთან არაფერი აქვს საერთო.

მართალია, გოლო მანის რომანების ლინეარულ თხრობას იმას უთვლიან ლირსებად, რომ ის ამბისათვის რელევანტური მოვლენების უალებლივ ყველა დონეს მოიცავს, ინდივიდუალური მოვლენების ჩათვლით, რომლებსაც მეცნიერული განზოგადება გარდაუდად გამორიცხავს, მაგრამ ამ ავტორის მიზანია ისეთი რეალისტური რომანის შექმნა, კავშირებს რომ განმარტება; თხრობის სისთა ძეგლმოდური, მაგრამ საიმედო სტილის ქედები მანერა, რომელიც ამ კავშირებს ამყარებს. ამგვარი თხრობის მანერა გოლო მანმა „გაივარჯიშა“ თავის ისტორიულ რომანში „გალენშტანი“. ის ამას ცალსახა და უჟკველ საფუძვლებზე დამყარებულ რეალიზმს უმაღლის და ამიტომაც დიდად აქებს ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“, თუმცა მიუღებლად მიაჩნია ის იტორიული თეორია, რომელსაც ეს რუსული რომანი შეიცავს. ტოლსტოი ისტორიას დიპლომატური ნოტებითა და პოლიტიკური გადაწყვეტილებებით როდი ხსნის, არამედ წერს: „ისტორიის კანონების წვდომა ჩვენგან სულმთლად ახლებულ ხედვას მოითხოვს. იმპერატორები, მინისტრები, გენერლები მთლიანად გვერდზე უნდა გადავდოთ და ის უმცირესი ელემენტები შევისწავლოთ, რომლებიც მასებს ამოძრავებს“. ფრიც მაუთნერი, რომელიც სხვაგან სკეპტიკურად უყურებს ენას, კიდევ უფრო მკაფიოდ

საუბრობს ისტორიის წერილის გარკვეული სტილის მნიშვნელობაზე: „ისტორია ოდითგანვე იყო თხრობის ხელოვნების ისეთი ნიმუში, მაქსიმალურ ნატურალიზმს რომ შეცავდა. ამ თვალსაზრისით, საუკეთესო რომანებია ზოლას „შემუსრვა“ და სტენდალის „პარმის სავანე“. ისრი უფრო ლად ისტორიაა“, ამით მაუთნერი უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ მოვლენების გადმუსაც ისტორიულ განვითარებას ექვემდებარება.

თუმცა, სამყარო და ის, რაც მაში ხდება, ერთჯერადა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მოსაზრებით, რა ინტერესებიდან გამომდინარე ხდება ამ მოვლენების თხრობა-გადმოცემა. ეს მამოძრავებელი იმპულსი სტილისტურად განსაზღვრავს მოვლენების კომპოზიციურ განთავსებას. მოვლენები შეიძლება იერარქიულად განთავსებულ ან განუთავსებულ სხვადასხვა სტილისტურ დონეზე იქნას აღწერილი: მაგალითად, თუკი ერთ დონეზე მოვლენები ზუსტადა გადმოცემული, მეორეზე შეიძლება მხოლოდ ენბორივი რეპრეზენტაციები მოქმედებდეს. ამ თემის ყველაზე მყაფიო ვარიაცია გახსლავთ რაიმონ კენოს სტილისტური ვარჯიშები, „Exercises de style“, სადაც არის ერთი ეპიზოდი – ავტობუსში მგზავრობა, რომლის დროსაც მთხოვბელი ერთ ახალგზარდა კაცს აკვირდება, ერთი საათის შემდეგ კი კვლავ გადაეყრება მას სენლაზარის სადგურზე და საუბრის ნაწყვეტი მოისმენს, – ეს ეპიზოდი ოთხმოცდაცხრამეტი განსხვავებული რიტორიკული მეთოდითაა დამუშავებული: ესაა მეტაფორული მეტყველება, ანაგრამა, ლექსის ისეთი ფორმები, როგორებიცაა სონეტი, ოდა, ვერლიპრი, შემდეგ – დრამა, ტაქტილური, ვიზუალური, აუდიციური მეტყველების მანერა, ლოგიკური ანალიზი და, ბოლოს, ფილოსოფიური გაუცხოება. მთელი პროექტი ირონიის რიტორიკულ ფიგურაზეა დამყარებული და, მიუხედავად თითოეული ვარიანტის პაროდიული ხასიათისა, რომელიც განსხვავებული სიძლიერისაა, ყველა ვარიანტი ცხადყოფს, თუ რამხელა შეცდომაა, როდესაც ნებისმიერი ჟანრის ლიტერატურის განხილვისას სტილის ელემენტებს არ ვანიჭებთ არსებით მნიშვნელობას, თითქოს ამა თუ იმ მოვლენის წვდომისათვის სულერთი იყოს, თუ როგორ ვსაუბრობთ მასზე. ავტობუსის ეპიზოდის კატალიზატორული ეფექტით კენოს სურს გვიჩვენოს, თუ რა მრავალფეროვნად ფუნქციონირებს ენა. ამით ის კვლევის მიმართულებას ერთგვარად შემოაბრუნებს და ეკონომიურად წარმოგვიჩენს ენის გამოყენების შესაძლებლობებს. ის, რომ შინაარსი თავად შეიძლება იქცეს გამოხატვის საშუალებად, რათა წვდომის ასპექტების კვალი-ფიციორება ან მტკიცება შეძლოს, ეს ლიტერატურისათვის მის ფიქციურ ხასიათზე, ლაკუნებიან ცნობიერებასა თუ ნაკლოვანების მომენტზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. კენოს მცდელობა რობ-გრიეს იმ მოხსენების თითქმის საპირისპირო პარადიგმად წარმოგვიდება, რომელშიც ტექსტში ნაკლოვნების შესახებაა საუბარი და პოპერის ფალსიფიკაციის თეორიისთან პარალელია გაღვებული. როდესაც რობ-გრიე რომანში „ეჭვიანობა“ მეუღლის არგამიჩნას ტექსტის ცენტრალურ სიმბოლოდ აცხადებს, – „ტექსტის მთლიანობისა

და მთელი თხრობის გენერირებას ახდენს ეს ცენტრალური სიცარიელე, მეუღლე, რომელიც მთელი რომანის განმავლობაში არ ჩანს და მოვლენებში მონაწილეობას არ იღებს, – ეს მაინც არ ცვლის იმ ფაქტს, რომ უჩინარი მეუღლე თხრობის განზომილების მნიშვნელოვან ელემენტად რჩება; ამ პროზის სიახლესა და თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ თხრობა უკიდურესი საგნობრიობითა და აღწერის სიტუაციით გამოირჩევა, ის თაოთეულ მომენტში აზუსტებს, თუ რის შესახებ საუბრობს და მხატვრული სივრცის რომელ წერტილში ხდება მოქმედება (ამის საფუძველზე პროფ. ფრანტიშეკ ლესაკმა რომანში აღწერილ სახლის დეტალური მოდელიც კი შექმნა). ის მკაცრად ირჩევს როგორც აღწერილ ფერმენტებასა და დაშვებულ განმარტებებს, ასევე – წერის სტრატეგიებასაც: „ოპტიკური, აღწერილობითი სიტყვა, რომლის სფეროსაც საკმარისია ზუსტი ადგილმდებარეობის შერჩევა, საზღვრების დადგენა, განსაზღვრა“. ბუნებრივი ენები ისეთი წინასწარი განზრავაზების არსენალს წარმოადგენს, ხშირად მოძველებულია, ასევე შეიცავს ისეთ გამზადებულ კატეგორიებსა და კავშირებს, რომლებიც მხოლოდ დეფინიციებს კი არა, მონათესაც სიტყვის ფუძეებსა და გრამატიკულ შესაძლებლობებზეა დამყარებული (რაც პოეზიის დაშიფრულ სტრატეგიების მნიშვნელოვან როლს თამაშობს), მასში ერთურთს გადაკვეთს ურთიერთგამომრიცხავი მსოფლალებმანი და სინამდვილის ურთიერთშეუთავესებადი შრები.

პოზიტივიზმი შინაარსის სუვეროს გრძელობითად აღქმადი მომენტებით შემოფარგლავს, რაც რომან „ეჭვიანობის“ დესკრიპციულ სტრატეგიების გამოიხატება და ამ ტექსტის რადგიალურობას წარმოადგენს: „ჯერაც შემოჩენილ, დროისაგან გამკრატალებულ მორუხო სალებავსა და ნესტისაგან გარეუბებულ ხეს შორის მომცრო მოაგურისფრო ლაქები მოჩანს, – იქ, სადაც სალებავი ჩამოთვა, ხის ბუნებრივი ფერი გამოჩნდა. შიგნით, საძინებლის ფანჯარასთან, ა. დგას და ნაპრალში იცემორება.“ კაუზალური განმარტება „ნესტისაგან გარეუბებული“ ისეთ კონტექსტს ითვალისწინებს, რომელიც სიცარიელესა თუ ორმოს სრულიად კონკრეტულ ნიშნ-თვისებად წარმოგვიდებენს, ვთქვათ, ხის ქსოვილში ტოტისაგან დარჩენილ ხერელს, ანდა – დარაბებში განგებ დატოვებულ ნაპრალებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორი თვი-

თონვე ივიწყებს სინამდვილის აღწერის დონეებს შორის იმ განსხვავებებს, რომლებიც უხერხულად და საჩიტოროდ მიიჩნია, როდესაც ერთ-ერთი მსმენელის შეკითხვას ასე უპასუხა: „თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ ლაჯუნების გარეშე სუბსტანციების არსებობა! არადა, მატერის ნებისმიერი თანამედროვე გაგების თანახმად, სუბსტანცია მეტნილად არარსებულისაგან შედგება. ის მხოლოდ თავისი ნაკლულოვნების ხარჯზე მოძრაობს. ბალზაკის ეპოქში მატერია განგრძობითი და მყარი იყო, დღეს ის არაგანგრძობითი და მოძრავია. საგნები მხოლოდ იმის ხარჯზე არსებობს, რომ პროტონები და ნეიტრონები უმცირეს მკვრივ ბურთულებს ნარმოადებს და რომ ვრცელ სიცარიელეში ელექტრონები ბრუნავს“. რა საერთო აქვთ „ეჭვანობის“ ზემოთმოვანილ ციტატაში სინამდვილის ფიქციურ აღქმას მატერიის იმ მეცნიერულ დახასათებასთან, რომელსაც რობ-გრიე ამ გამონათქვემში წარმოვიდგნა? საერთო თითქოს მხოლოდ ისაა, რომ ორივე სინამდვილეს ეხება. „ლიტერატურა განსხვავებულ მიზნებს ესწრავების. მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია იმის მტკიცება, რომ საგანთა შიგთავსს ხედავს“. სწორედ ამას ცხადყოფს კენოსეული სტილისტური ვარჯიშები: ერთსა და იმავე მოვლენას იმასთან დაკავშირებული რიტორიკული მოსაზრებები განსაზღვრავს, თუ როგორ ვანანილებთ ჩვენს ხელთ არსებულ ზედაპირებასა და ხდომილებებს; ლიტერატურაში ორივე ასპექტი – თუ რას ვამბობთ ამა თუ იმ მოვლენაზე და თუ როგორ ესუუბრობთ მის შესახებ – ერთიმეორისაგან განუყრელია და მუდამ განუყრელი იყო (რაც იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი კველა ეპოქაში ამგვარი ინტენსიური რეფლექსის საგნის ნარმოადგენდა). ენის შესაძლებლობებზე ეს კონცენტრირება, რაც ლოგიკური მარცხების გამოვლენაში განაფულ სკეპტიკოსებსა და რიტორიკულ სტრატეგიებზე დაგეშილ სოფისტებთან ზოგად პრეტიკას წარმოადგენდა, ფილოსოფიაში (განსაკუთრებით, ენის ლოგიკურ ფუნქციებთან მიმართებაში) კვლავაც გასავალში აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული „linguistic turn“-ის წყალობით და დოგმატიკოსებსაც ახალ იმპულსებს აწვდის.

ონტოლოგიდან წინადადებების ლოგიკურ ანალიზზე ფილოსოფიური გადანაცვლების შესანიშნავ მაგალითს გვაწვდის ნელსონ გუდმენის „ფაქტი, ფიქცია, წინასწარმეტყველება“. ავტორი შემდეგნაირად განსაზღვრავს

ფილოსოფიურ პრობლემებს: „ერთ-ერთი ფილოსოფიური პრობლემა გახლავთ მისალები განმარტების მოთხოვნა მისალებ საფუძველზე. თუკი ჩავთვლით, რომ კველუფერი (ჭადა, მაშინ განსამარტიც აღარაფერი ჩჩება. მეორე მსრუმე, თუკი პესიმისტურად ვამტკიცებთ, რომ სრულებით არაფერია ცხადი, მაშინაც შეუძლებელია რაიმეს განმარტება. ის, თუ რა პრობლემა გვაფიქრებს და ის განმარტება, რომელიც გვაკმაყოფილებს, იმ ზღვარზეა დამოკიდებული, რასაც ცხადსა და ჯერ კიდევ განსამარტი შორის ვაკლებთ“. ირეალური პირობითი წინადადების ლოგიკური ფუნქციების პრობლემის განსახილვად გუდმენი ფილოსოფიური პრობლემების შეგნითვე ზუსტ ზღვარს ავლებს და, ამასთან, ფილოსოფიის ძირითადი საკითხების მცირე კატალოგსაც გვანვდის: „მაგალითისათვის, მე არ დავეყრდნობი კაუზალურ კავშირებსა და შემთხვევით მიმართებებს შორის სხვაობებს, არც – არსებით და ხელოვნურ სახეობებს შორის თუ ანალიზურ და სინოზურ გამონათქვებებს შორის სხვაობებს.“ ისეთი გრამატიკული ფორმები, როგორიცაა კონიუნქტივი, რომელიც ყოველდღიურ საუბარში, წესით, სირთულეს არ უნდა გვიქმნიდეს, ენის ფილოსოფისისათვის ნარმოადეგნს პრობლემას, რომლის გადაწრასაც ის პირველ რიგში ფორმულირების შეცვლით ცდილობს. კონიუნქტივის შემცველი წინადადების ნიმუშად გუდმენს მოჰყავს: „კ რომ ტ დროში სწორად შერჩეულ ძალას შეხვედროდა, მაშინ კ ქედს მოიხრიდა.“ გუდმენი „კონიუნქტივის მცირე ესთეტიკურ ნაკლზე“ ლაპარაკობს. შემდეგ ეტაპად ის თვლის წინადადების ფორმას: „თუკ დავუშვებთ, რომ გამონათქვამი „ტ დროში კ სწორად შერჩეულ ძალას შეხვდა“ სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ასევე სიმართლე იქნება წინადადება: „ტ დროში კ-მ ქედი მოიხარი.“ გუდმენს ნარმატებად მიაჩნია ის, რომ ახლა შემასმენლები კონიუნქტივური ფილოსისაგან გაიმიჯნა. „როდესაც გამონათქვამების ურთიერთიმიმართების დონეზე გადავდივართ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ონტოლოგიური პრობლემიდან ენობრივზე გადავინაცვლეთ.“ შემდეგ გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს ენის ფილოსოფიის გამოხატვის საშუალებათა ლოგიკურ ანალიზს. „ზოგიერთი ფილოსოფიის ირეალურ (კონიუნქტივის შემცველ) წინადადებებს წესად, ანდა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობად მიიჩნევს და არა – სწორ ან მცდარ გამონათქვამებად. მაგრამ იმისგან დამოუკიდებლად, გვსურს თუ არა სწორი და მცდარი გამონათქვამების თუ ტყუილ-მართალი წესების ერთიურთისაგან გარჩევა, ჩვენი ამოცანაა, მოვანახოთ ისეთი დამაკავშიროვებელი პირობები, რომელც ირეალური წინადადებების მთავარ და დამოკიდებულ ნაწილებს ერთმეორესთან დააკავშირებს.“ ასეთი თავშეკავებული აზროვნება ამა თუ იმ მეცნიერებისათვის დამახასიათებელი სინამდვილის მოდელიდან წაჩერევი დასკვნების გამოტანისგან და ანალიგიების გამონახვისგან გაზიდვებს. თუკი იმაზე ვილაპარაკებთ, პრინციპულად როგორ ფუნქციონირებს გამონათქვამი, მაშინ შეინიშნება ზედაპირებისა და დაკვირვების სივრცეებისადმი ტოლერანტულობა. მეორე მხრივ, ონტოლოგიისა და მეცნიერული საკითხებისაგან მეთოდურად გაპირობებული

დაშორება სწორედ ისაა, რამაც ენის ფილოსოფიის სფეროში დაწერილი ნარკვევის კითხვისას შეიძლება მკითხველში მოწყუ- ენილობა და უკმაყოფილება გამოიწვიოს. ის, რომ ზემოთმოყ- ვანილ მაგალითში სიტყვა „ძალა“ განმარტებას მოითხოვს, არ გვაქმაყოფილებს არ მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერი განმარტება რეგრესის ეჭვს აღგვიძრავს, არამედ – იმიტომაც, რომ ცნებათა ასეთი პარდპირი, მეცნიერული განმარტებანი ენის ფილოსოფიას არ აინტერესებს. პირიქით: ისევე, რო- გორც დედუქციისას ლოგიკის კანონები ჩვენი ტიტინის შეზ- დუდული ფუნქციები კი არა, ის უეჭველი ხელსაწყობია, ენო- ბრივი ფორმულირების სიმართლეს რომ ამონტებს (და ამით გრამატიკულად დაშვებულ ფორმულირებათა დიდი ნაწილი უკვე გამოირცხა). ეს კანონები ეპაექრება ნიმუშის წინადადე- ბებს, რომლებიც ჩვენ დარწმუნებას ემსახურება. აქ, როგორც ყველა ლოგიკური ანალიზისას, კვლევის მიმართულება აუცი- ლებლად როდი ემთხვევა იმ სინტაქსურ ფორმათა გამოყენ- ებაზე ორიგინტირებას, რომლებიც ეკონომიკური მეტყველების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. ამის შედეგად ენის ფილოსოფიაში, ვიტგენშტაინის „ფილოსოფიური გამოკვლევ- ების“ საფუძველზე, ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, რომელიც ლოგიკური დასკვენების ნაცვლად მეტყველების ისეთ სიტუა- ციებს იყვლება, რომლებშიც ეს ფორმებია გამოყენებული. (ფილოსოფიის ამგვარ მეთოდს ალარ სჭირება იმ წინადადებე- ბით შემოფარგლა, რომლებიც სიმართლეს შეესაბამება, არა- მედ შეუძლია კვლევას საგნად აქციოს გრამატიკულ ფორმათა მრავალფეროვანი სიმრავლე – შორისისდებულები, კითხვითი წინადადებები და სხვ.) იმის დასამტკიცებლად, რომ ლოგი- კური ანალიტიკოსისთვისაც არ არის უმნიშვნელო ის, თუ რა წინაპროტები უძლების წინ სამყაროს წვდომს, გვიხსენებთ გუდმენის კიდევ ერთ ცდას, რომელსაც ის ირალურ პირობით წინადადებაზე ატარებს. მისი პირობითი წინადადება ა შემდე- ბის შედერს: „ს [ასანთი] ტ დროს რომ გაეკრათ, მაშინ ს გნაირად უდერ: „ს [ასანთი] ტ დროს რომ გაეკრათ, მაშინ ს აინთებოდა. ეს წინადადება მხოლოდ იმას როდი ამბობს, რომ ხელსაყრელ პირობების შემთხვევაში ასანთი აინთებოდა; ის იმასაც გვეუძნება, რომ ხელსაყრელი პირობები მართლაც შეექმნა. ირეალური პირობითი წინადადება მაშინ შეესაბამება სიბართლეს, როდესაც პირველი ნაწილი ისეთ გარემოებებს აღწერს, რომლის გავლენის ქვეშ შესაძლებელი ხდება მეორე ნაწილში აღწერილი მოვლენა. „ხოლო იმის შეფასება, თუ რამ- დენად ძალუს გარემოებებს გავლენის მოხდენა, ენობრივისა- გან განსხვავებულ დონეზე უნდა მოხდეს.

ის, თუ რაოდენ ბუნდოვანი შეიძლება იყოს კითხვისას და სამყაროს აღქმისას აღძრული მოლოდინი, არაფერს გვამც- ნობს მის გავლენაზე. ამა თუ იმ ლიტერატურულ ცნებასთან

მიმართებაში ის შეიძლება ირელევანტურიც აღმოჩნდეს, თუკი სხვა კრიტერიუმები (კომ- პოზიცია, გრამატიკა, სიტყვების შერჩევა, ) გაუთვალისწინებელი დარჩება. ენის ზედა- პირის თვალშისაც მიმი გაუცხოებაც, – ნერის (ფსევდო) ეტიმოლოგიური ანდა ფორმალუ- რად შეზღუდული მანერა, ანდა პოეზიის ენო- ბრივ მასალაზე დამიზნებული ტექნიკა, შეი- ძლება არანაირ ესთეტიკურ ფასულობას არ შეიცავდეს, თუკი ის მოკლებულია ცნებათა დიფერენცირებული გაგებას, თუკი მისი ში- ნაარსობრივი პოტენციალი მხოლოდ თამაშზე დამყარებული, რაც მის ინტერპრეტაციას შეუ- ძლებელს ხდის. მეორე მხრივ, მათემატიკური მიმართებების შემოტანა, მეტრიკულ-რიტმუ- ლი თუ ბგერითი ფიგურებით მუსიკალურო- ბის მინიჭება, ანდა ენობრივი ნიშნების სემან- ტიკურად წინა პლაზზე წამოწევა, მნერლური ისტატიონის მაჩვენებელია. ერთურთან უმ- ჭიდროესად გადახლართული ძაფები და სე- მანტიკური სიმჭიდროვე შეიძლება ესთეტი- კურად ისეთივე ფასეული იყოს, როგორც – ცხადი და სადა სურათები და ხდომილებები. ლიტერატურული უანრების ერთურთისაგან გამიჯვნა ნანილობრივი იძლევა იმის საშუ- ალებას, არა მხოლოდ მკითხველს აღუძრათ გარკვეული მოლოდინი ან განგებ გავუცრუოთ იმედი, არამედ სათქმელის შესაძლო ფორმის დადგენებაში გვეხმარება. ზუსტად ასევე, რი- ტორიკული ფიგურები მხოლოდ ადრესატზე გავლენის მოხდენას კი არ ცდილობს, არა- მედ მის ხელთ არსებული კატეგორიებისა და ცნებების სისტემის მეშვეობით გამოცდილე- ბასა და სათქმელსაც გამოხსატავს. ლიტერა- ტურის შესახებ ზოგადი მსჯელობა პარადო- ქსულად უფრო ღრმა ჭვრეტას მოითხოვს, რომელიც ენობრივ ფენომენებში კერძო შემთხვევას ხედავს. კერძოში ზოგადის ამოც- ნობისა და მისი კვლევის პარადოქსი ლიტ- ერატურით დაინტერესებული ფილოსოფიის სპეციფიკურ პრობლემებს მიეკუთვნება.

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

# 2 პოვინა

პატა შამუგია

## კაზში

დამნაშავე ყოველთვის უბრუნდება დანაშაულის ადგილს –  
კრიმინალის კლასიკური ქცევა.

ხშირად უბრუნდები საწერ მაგიდას,  
ვყნოსავ, ხელით ვეხები, ფრთხილად ვამოწმებ.  
ვაღიარებ, მე არაერთი ლექსი ჩამიდენია  
და კიდევ არაერთის ჩაძენას ვაპირებ.

დამალვას აზრი არ აქვს –  
განსაკუთრებული სისასტიკითაც ჩამიდენია ზოგი ლექსთაგანი,  
ნინასნარი განზრახვითაც.

იყო ერთი-ორი წვრილმანი ტაქპი,  
გაუფრთხილებლობით რომ მომივიდა  
(იქნებ, შემამსუბუქებელ გარემოებად გამოდეს!),  
სერიული პოეტი ვარ, ვაღიარებ.

არსებითად კი ასე იყო:  
ვხედავდი, როგორ სხლტებოდნენ,  
როგორ ცდილობდნენ განწირულები  
ჩემი უხეში ფანტაზისგან თავის დაღწევას,  
მაგრამ უმეტესად ხელთ ვიგდებდი.

შინაგანი ტრადიციის ძალა  
მენეოდა უმწეო მსხვერპლისკენ – ახალი ლექსისკენ,  
დაუწერელი ტექსტის გამჭოლი სხეული  
ვის არ აღძრავს დანაშაულისკენ?!

პირველი ლექსი სიყვარულით ჩავიდინე,  
მეორე ლექსი – აფექტის მდგომარეობაში,  
შემდეგ უკვე ჩვევაში გადამეზარდა.  
ერთი კია,  
არაფერს ვნანობ.  
ისიც ვიცი, რომ  
კიდევ ბევრი ლექსი მაქვს ჩასადენი.  
არ იქნება ჩემი გამოსწორება.  
რეციდივისტი ვარ.

## „ტანე გამონაყარი ლექსი“

არავითარი პროფესიული არჩევანი,  
სისულელეა!

პოეზია, უბრალოდ, გემართება,  
როგორც ასთმა, როგორც კიბო  
და იშვათად, როგორც პროსტატა,  
ასე იყო მაკვეცევიც,  
რომელმაც ტრაქში დაიხალა დამბაჩა  
და სამუდამოდ მოირჩინა პოეზია.

## გურჯის სიმღერა

— ერთი სექსი ორმოცი ლარი! —  
ისე ამბობს, თითქოს მშრალ ხიდთან  
რაიმე ანტიკვარულ ნივთს ყიდდეს, შობელძალლი,  
თუმცა, თვითონაც ანტიკვარია.  
— არა, „მარშრუტკას“ ველოდები! —  
რატომ ვუღიმი, აზრზე არ ვარ...

წავა ახლა, ვინმე გოიძეს დაიჭერს  
და ორმოც ლარს და ორმოც ლარს შორის  
მოსანეუნ ისტორიას მოუყვება,  
თუ როგორ გაიფინა ერთხელ ქმარმა ფეხებქვეშ  
და მერე გამოაპანლურა ქუჩაში,  
თუ როგორ არ უხარია „ამ საქმის“ კეთება,  
მაგრამ შეილი ჰყავს გამოსაკვები...

ჯანდაბაშიც წასულა თავისი რეალური  
თუ გამოგონილი შეილითურთ, —  
რა დროს ეგაბა,  
როცა ნახევარი კილომეტრილა მაშორებს შენგან,  
რომ გაგარკვიო,  
გენამები, თუ გენუთები,  
გესამები, თუ გეხუთები,  
გეცუდები, თუ გეხუტები,  
მერე კი, ნებისმიერი პასუხის მიუხედავად,  
ჩემს საჩვენებელ თითზე  
მიმინოსავით შემოსუპებულ  
შენ ხელის მტევანთან ერთად  
წაგიყვანო შორეულ კუნძულზე,  
სადაც, ზღვის ნაპირას, ქოხში დავსახლდებით  
და დავწერთ და დავწერთ და დავწერთ,  
ვუმღერებთ ეგზოტიკურ ბუნებას,  
მიამიტ აბორიგენებს,  
მე ვუყურებ, თუ როგორ ჭამენ  
უკბილო ბებრები ნატურალურ საკვებს —  
ბაყაყებს, ხვლიკებს და ველურ მცენარეებს,  
ვუყურებ, რადგან მიყვარს ცქერა,  
როგორ ჭამს ადამიანი,  
ეს უკანასკნელი ხომ ამ დროს  
გულის ამაჩუყებლად შესაბრალისია...

მე დავივინყებ სამშობლოს  
და პირნმინდად ამოვიფხიკავ სულიდან  
აზიატობის ნარჩენებს  
და არ ვიეჭიანებ,  
როცა შენ ვნებამორეული მიაშტერდები  
თევზაობიდან დაბრუნებული მამაკაცების ნახშირივით შავ,  
დაკუნთულ სხეულებს...



გავლიან წლები და ერთ,  
ტრადიციულად მზიან დილით,  
ნამძინარევ თვალებს მოვავლებ  
ჩერ მიერ გადალებულ  
შენს პიგანტურ ფოტოებს კედლებზე  
და მოგიყვები,  
თუ როგორ გავურბოდი რალაცას ძილში,  
როგორ ჩამიტყდა სიზმარი,  
როგორ დავცი ფეხმოტეხილი  
და როგორ წამომადგა თავზე ბაბუაჩემი.  
— სი თელო ღურელი, სი უკოჩობაში კოჩი! —  
როგორ გამლანდა ბაბუამ,  
როგორ არ კონწალობდა ოში მიღებული არცერთი მედალი  
მის მკერდზე მოულარუნე ჯინჯილებში,  
რადგან ეს ის ბაბუა იყო,  
უფროსმა ძმამ რომ არ წააყვანინა  
სამამულო ომში ვიღაც ძალმოსილ ჩინოვნიკს  
ერთი პურ-მარილის ფასად...

მე წამოვჯდები ლოგინზე,  
ავილებ შენს სიგარეტს  
და ხუთი წლის შემდეგ პირველად გავაბოლებ,  
შენი გაკვირვებული თვალების ფონზე  
მოვიფან ფეხს, გავალ ქოხდან  
და უკან ალარასდროს შემოვალ...

დედასამშობლოში დაბრუნებული,  
კიშოვი რაიმე რიგით პიურგერულ სამსახურს,  
მოვიყან ცოლად საქალნულე აპკზე  
ობმიდებულ რომელიმე შავტუხა ქალიშვილს,  
დემოგრაფიული რეგრესით შეწუხებული  
ვიყოლებ ექს, ან შეიდ პირმშოს,  
რომ მერე ალზრდა გამიჭრდეს...

ერთხელაც, წაადრევად გაჭალარავებული,  
ვნახავ ტელევიზორში  
ბედნიერებსგან თმასევეგაშავებულ მოხუცებს,  
რომლებიც უნისონში იმღერებენ:  
„God Bless America!“

მე, იაფეასიანი არყით წამოწითლებული,  
ამაყად გადავხედავ მძინარე ცოლ-შვილს,  
ავდგები და ჩახლეჩილი ხმით დავიხრიალებ:  
„ღმერთმა დალოცოს საქართველო!“

ამბავი მართლაც მოხდა და სა  
ლზედ ააფორიაქა ქალაქ N-ის  
მშვიდობისმოყვარე მოსახლე-  
ობა.

„იმ ამბის მერე ერთი თვე და  
შეიდი წიგნი გავიდა“, — გაი-  
ფიქრა, ერთ წამუადლევს, ქა-  
ლაქ N-ის ბიბლიოთეარმა და  
აღმოსავლური ჩაი მოსვა.

ამბავი კი მართლაც მოხდა და  
ქალაქ N-ის მშვიდობისმოყვა-  
რე მოსახლეობა ძალზედ ააფ-  
ორიაქა.

„იმ ამბის მერე თითქმის თვე  
და ხუთი ბოროტმოქმედება  
გავიდა,“ — გაიფიქრა, იმავე  
წამუადლევს, ქალაქ N-ის შე-  
რიცვამა და გაუზავებელი ვის-  
კი მოსვა.

ამბავი კი წამდვილად მოხდა  
და მშვიდობისმოყვარე მოსახ-  
ლეობა ძალზედ ააფორიაქა ქა-  
ლაქ N-ისა.

„იმ ამბის მერე მთელი თვე და  
სამი თამასუქი გავიდა,“ — გა-  
იფიქრა, იმავევე წამუადლევს,  
ქალაქ N-ის ერთადერთმა რა-  
ნწიერ და წაკლული პროცენ-  
ტის მომტანი მოვალე თავის  
ადგილზე მოსვა.

ორი თვის მერე კი ქალაქ N-ის  
ბუკინისტური მაღაზიის ვიტრ-  
ინასთან მდგარმა ზარმაცმა სტ-  
უდენტმა გაიფიქრა, რომ იმ ამ-  
ბის მერე სამი თვე და არცერთი  
წიგნი გასულიყო.

ის ამბავი კი, ღმერთმანი, მოხდა,  
მაგრამ სტუდენტი, ამ შემთხვე-  
ვაში, სრულიად სხვა ამბავს გუ-  
ლისხმობდა.

მისვია კყელაზე იაფვასიანი არაყი და დამგინებია, რომ  
ამ საზიზღლობას ალარ გავეკარებოდი, მაგრამ მაინც გავტ-  
არებივარ. ჩამიყრია სოდა ძმარში და დამილევია ძმა პოე-  
ტებთან ერთად, ნახევარი საათის შემდეგ კი ძმა პოეტებთ-  
ან ერთადვე მირნევია, რადგან  
პოპულარული მივაგიდა პატივს!

მცმია ძირგამოხეული ფეხსაცმელი, იმიტომ კი არა, რომ  
ახლის საყდელი ფული არ მქონდა, არა, უბრალოდ, ასე  
მნიშვნელობა. მავანის პორჩის საღამოზე გადამიდია ფეხი  
ფეხზე, რომ ყველას დაენახა ელვასავით დაკლაკილი გ-  
ვერდული პზრი ჩემი ფეხსაცმლის ძირზე. მომწონდა ღ-  
არიბი პორტის იმიჯი, რადგან  
ბოჭემას მივაგდები პატივს!

მომზრდევია პლანი, მაგრამ არ გადავსულვარ უფრო მძიმე  
ნარკოტიკებზე – საყიდელი ფული არ მიშვინა (ხომ ვერ  
ვულალატებდი დარბი პოტების იმიჯს), რადგან  
ბოჭებას მივაგებდი პატივს!

მიტკენია ქალისთვის განმეორებით, რადგან პირველად მე არ მტკენია. ქალსაც უტკენია ჩემთვის განმეორებით, რადგან არც მას სტკენია პირველად. მე კი, გაბრაზებულს, ლექსები მიწერია, რადგან ბოჰემია მივაგებდი პატივს!

მიკამათია დიდი ხნის წინ ლეგალიზებულ ორმაგ უარყოფასთან თავაგანნირვით მებრძოლ პედაგოგებთან და ფუქსად დაკარგული დროის გამო ჩემს თავზე სულაც არ გავპრაზებულვარ, რადგან ბოჰემიას მივაგებდი პატივს!

გამცირებისა საკუთარ თავთან მოლაპარაკე მურმან ლება-  
ნიძეზე, უფრო საკუთარ თავზე მესამე პირში მოლაპარაკე  
მუხრან მაჭავარიანზე და ჩემს გზაზე წავსულვარ, რადგან  
ბოჰემას მიგაგებდი პატივს!

კყოფილუარ ყოველ მეორე დღეს მთვრალი და, შესაბამისად, ყოველ მეორე დღეს – ნაბახუსევი მქონია, ამ ყაიდაზე მცხოვრები კაცისოფების შეუფერებელი, ერუდირებულის სახელი, მე კი მაინც ამავე ყაიდაზე გამიგრძელებია ცხოვრება, რადგან ბოჰემის მივაგებდი პატივს!

ახლა ძმარს მხოლოდ სალათისთვის ვწმარობ, მაქვს ცნობილი ბრენდის რამდენიმე ფეხსაცმელი, არათუ პ.....ს, სი-

გარეტსაც კი აღარ ვეწევი, მყავს ცოლი, რომელსაც ვუყვარ-  
ვარ და რომელიც მიყვარს, ვიცი დროის ფასი და ამიტომაც  
არ ვეძათობ კლიმაქსიან პედაგოგებთან, საკუთარ თავთან

მოლაპარაკე მურმან ლეპანიძეზე უფრო ისევ საკუთარ თა-  
ვზე მესამე პირში მოლაპარაკე მუხრან მაჭავარიანზე მეცინ-  
ება, მაქვს ერუდირებულის სახელი და მანქანა, მაგრამ დიპ-  
ლომი და მართვის მოწმობა არ მაქვს, და ვსვამ მხოლოდ ჩა-  
ის, რადგან  
ბოჰემამ არ მომაგო პატივი!

### კავე „დონ ჩიროს“ შაურმის საგალოპელი

ჯერ ნელა წამომაცვი, ჯიგარო, ამ შამფურზე  
და მერე მატრიალე, ნელავე მატრიალე.  
ზოგს უყვარს ლობიანი, ზოგს კიდე – ხაჭაპური,  
ზოგს უყვარს ბივშტექსი და ზოგს მწვადი – სატიალე,  
თუმცა მე ერთი ვარ და მტრიანი ვიტრაჟიდან  
ვჭრებ, ჩემს სუნს რომ იკრავენ მავანი გამვლელები,  
ნერწყს ჩაცუნამებენ, შემოვლენ, ჭირსა შიგან  
ვერგამაგრებულნი და ჯიგარო, სანელებლით  
შეკაზულს ჩამომაჭრი დუნდულებს, მოაშიე  
ხელს ნაზად გადაუსვამ, გახვეულს სუდარაში,  
ჩემს შვილებს, საკილოებს ვიღაცა ბიძერების,  
ვიღაცა დეიდების და დახლოან მოდარაჯე  
ვიღაცა ლანირაკთა... ვიმღერი, ვიწერები  
ამ ოდას, დაუკარი ჯიგარო გიტარაზე,  
როგორმე გადავფაროთ „მოდულის“ შენბიძან  
ნეკისურჩხილდაძრობილის ლრიალი, გადავფაროთ...  
თუმცა, შენ იყურები ახლა რომ შემოვიდა  
იმ გოგოს ბაყვებისკენ (მიუჯდა სადაქალოს)...  
ეხ, ისე როდი არი, ჯიგარო, შენ რომ გინდა  
ყოველთვის ყველაფერი, დაუკარ გიტარაზე.  
შვილები სად არიან, შეჭამეს, არ არიან,  
როგორი გამგელებით ჭამს ვიღაც პიდარასტი,  
შიმშილი დაიოკოს – მისთვის ეს მთავარია,  
შენ კიდე დამდგარხარ და ეგ წარბი გითამაშებს,  
გაპყურებ: შემოვიდა შუახნის ორი კაცი.  
და ეს დღეც მიილია. შავერმავ, შეგვიწყალე!  
ყრის, გვერდით, გამყიდველი კარტოფილს ურიკაზე.  
და ჩემი შვილებით კი, ეს ხალხი, გამაძლარი,  
აავსებს ამაღლამე იმპორტულ უნიტაზებს!

### გოგონა სამხრეთული აქცენტით

მეგონა, გავხდებოდი კაპიტანი,  
ოკიჩობს ოკეანედ ვაქცევდი,  
და სწორედ მაშინ იყო – გავიცანი  
გოგონა სამხრეთული აქცენტით.  
მეგონა, გავხდებოდი გოლიათი,  
რაშმორის მემორიალს გავწევდი,  
და ხელი, მაშინ იყო, მომითავა  
გოგონამ სამხრეთული აქცენტით.  
მეგონა, გავხდებოდი გენიოსი,  
„ყორანს“ და „ელდორადოს“ დავწერდი,  
მაშინ კი ვეღარაფრით გავაოცე  
გოგონა სამხრეთული აქცენტით.  
ნავიდა... აგვისტო რომ ილეოდა...  
და როცა მიიწურა ზამთარი,  
გაზეთში წავიკითხე: ჩრდილოეთში  
ის გოგო შიმშილისგან მომკვდარა.  
მეც ბედმა შემომხედა ალმაცერად,  
ოცნება არ ამიხდა არცერთი.  
შვილიშვილს შევხედე და გამახსენდა  
გოგონა სამხრეთული აქცენტით.

## მორიზებული გაფონი „B“

ბატონ L-ს თხოვეს ლექსი წაეკითხა  
და მანაც დაიწყო:

\* \* \*

ჩემო საპრალო შვილებო,  
მე ვერ დაგაპურეთ თქვენ,  
როცა გშიოდათ;  
მე ვერ დაგარწყულეთ თქვენ,  
როცა გწყუროდათ;  
მე ვერ გაგათბეთ თქვენ,  
როცა გციოდათ!

ჩემო საყვარელო შვილებო,  
მუდამ გახსოვდეთ დედა,  
რომელიც საჭიროების დროს მამაც იყო,  
და ხანდახან გამიხსენეთ მე,  
რომელიც ვერავონ ვიყავი,  
გარდა ბიოლოგიური მამისა!

ჩემო ოცდაცამეტი სტიქიისგან  
შემდგარო შვილებო,  
არ დაივიწყოთ  
თქენი ცალხაზიანი თუ  
უჯრედიანი სახლი,  
სადაც დაბადეთ!

ჩემო დაფანტულო შვილებო,  
მაპატიეთ,  
რომ ვერ გაგიძეხით აღთქმული წიგნისკენ!

აპლოდისმენტების მერე ბატონ X-ს თხოვეს წაეკითხა ლექსი,  
არც მას დაუწყია თავპატიუ:

### მამაო ჩვენო

#### ეკლესიაში

მშობლები: მამაო ჩვენო,  
რომელი ხარ ცათა შინა და ა.შ. და ა. შ.  
პური ჩვენი არსობისა  
მოგვეც ჩვენ დღეს...

მოძღვარი: ...ხორცი უფლისა...

#### სახლში

შვილები: მამაო ჩვენო,

რომელი ხარ ტუალეტსა შინა და ა. შ. და ა. შ.

ფული ჩვენი გართობისა

მოგვეც ჩვენ დღეს...

დედა (ცენტრა): ...ხორცი შუქრისა...

სიცილისა და აპლოდისმენტების მერე ბატონი M-ის ჯერი დადგა:

\* \* \*

ფანჯრიდან მოჩანს კვლავ რუხი ბალი,

დაფშვნილი წვიმა ეხლება მინას,

რაფაზე ვზივარ, ყველაფრით დალლილს

მძინავს და მღვიძავს, მღვიძავს და მძინავს.

ვენევი ხარბად („ელემი“ ლურჯი)...

ზეადის ბოლი – მხურვალე ლოცვა.

თვალს + თვალი ხომ მზერას =, –

გავყურებ გოგოს ელექტრობოძთან

მდგომარეს. მამის კიდია თოფი

კედელზე. ისმენს წუწუნს და ჩივილს, –

ხანდახან ისე მძიმეა ყოფა,

რომ ედვარდ მუნკის „კივილით“ ვკივი!

ამჯერად ბატონ B-ს თხოვეს ლექსის წაკითხვა, მაგრამ მან იუარა. როცა მიზეზი კითხეს, ღიმილით განმარტა:

– ლექსის ყოველი კითხვისას თითო სიკვდილს ვათავებ. მართალია, კატის წელიწადში ვარ დაბადებული, მაგრამ ცხრა სიცოცხლიდან მხოლოდ ერთილა დამრჩა, ხოდა, ნება მიბოძეთ, ის უფრო საჭირო საქმისთვის გავწირო!

## პელი საკანი

ჩვენ აღარ ვგავართ კამერაში შეყრილ ბარიგებს,  
და აღარ ვაფენთ რკინის ფანჯრებს დახეულ მკლავებს,  
მაინც, ძვირფასო, ამ თოვაში ვერც შენ გამიგებ,  
ამ ცივ საკანში, დედოფალო, სიცივით გვკლავენ.  
უნდა ეთოვა უწინ უფრო სხვა ქალაქებში,  
ჩვენი ქალაქი სხვა სევდა და სხვა მირაჟი,  
უნდა გვეცხოვრა ბუნკერებთან თოვლის ნამქერში,  
რომ მართლებივით გვესაუბრა ლმერთის წინაშე.  
ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ძველ ქუჩაზე, ბნელ კორპუსებთან,  
ჩვენ ვეღარ ვგუობო ქაფენილზე აპრილს ბინდიანს,  
უნდა გვცოდნოდა, საიდუმლოს ვინ გაგვიმხელდა  
სახლებში, სადაც ახლა მხოლოდ ნამლებს ჰყიდიან.  
შეცოდება ყველა ნუთი, რაც კი შემოგვრჩა,  
რაც კი მოჩანდა, ყველა საკანს თითქმის კეტავენ,  
შენ გაგიყვანეს სიცივიდან, როცა ბნელოდა,  
როცა წახვედი, სულს მოგვები შემომედავნენ.  
ჰო, აღარ ვგავართ კამერაში შეყრილ ბარიგებს,  
და აღარ ვაფენთ რკინის ფანჯრებს დახეულ მკლავებს,  
მაინც, ძვირფასო, ამ თოვაში ვერც შენ გამიგებ,  
ამ ცივ საკანში, დედოფალო, სიცივით გვკლავენ.

## არ ვიცი

ახლა რა მინდა, არც კი ვიცი, ახლა ღამეა,  
ქალაქუფსკულში ახლა წამნაში შებურავს,  
უშენობაში სულს დალექავს სიზმრის კამეა,  
და სველ მაგიდას მივუსხდებით მოხერხებულად.  
ახლა სუსხია, ვინაიდან ქარი დაგვხრამავს,  
ულრან თვალებში უკანასკნელ სხივსაც წაგვიშლის,  
გამოიხსნება თითებიდან მძიმე აკლდამა,  
და შაქარივით ჩაიყრება მტვერი ჩაიში.  
დარღიც სველია, შენ რომ არ თქვა, ისეც ხომ იცი,  
რა ხიფათია ამ ამინდში დარღის ტარება,  
მე მარტოოდენ ფოტო დავრჩი ძველი კომისრის,  
ახლა ბუნკერთან სულს რომ ეძებს ვაშლის ნარჩენად...  
ახლა რა მინდა, აღარ ვიცი, ახლა ღამეა,  
ქალაქუფსკულში ახლა წამიც წამნაში შებურავს,  
უშენობაში სულს დალექავს შავი კამეა,  
და სველ მაგიდას მივუსხდებით მოხერხებულად.

## ჩარი რომ იყოს...

დადუმდებიან ჭალის პირას კონახურები,  
მზეს შეხედავენ, მზეს, დეკებრის გზა რომ მიღია,  
წვიმა რომ იყოს, მაყვლის საბანს მოგახურებდი,  
ქარი რომ იყოს... ქარი მანც სხვა სიკვდილია...  
აღარ შემორჩია ძველ ჭალაში ბზა და იფანი,  
ახლა ჭანჭრობში მუხები დგას – იორს ტირიან,  
წვიმა რომ იყოს... გიამპიობდი რად გაგიცანი,  
ქარი რომ იყოს... ქარი მანც სხვა სიკვდილია...  
დადუმდებიან ჭალის პირას თამბაქოები,  
მზეს შეხედავენ, მზეს, დეკებრის გზა რომ გალია,  
წვიმა რომ იყოს, მღვრიე წვეთებს გაგაყოლებდი,  
ქარი რომ იყოს... ქარი მანც სხვა საგზალია...

## უთოვლობა

თოვს, დედამინას დამართნია ლეიკემია,  
თოვს, ახლა ცა ჰეგაეს ჩემს ტანსაცმელს, გარეთ გაკიდულს,  
და ფანტელები სითბოსავით მერიდებიან,  
და ისევ აქ ვარ, დარღზე ვწერ და ვერ ვგრძნობ რა მინდა.  
არც ისე მხნედ ვარ, რომ გეგონა ჩემო კელია,  
ჩემო სიჩუმევ, უთოვლობა გქვია ისევე,  
მე ისევ აქ ვარ, ცოცხალი ვარ, საკვირველია!  
მე ისევ აქ ვარ და ამ ყოფნას ველარ ვისენებ.  
თოვს, დედამინას დამართნია ლეიკემია,  
თოვს, ახლა ჯვრები ფიფქებია, ბელა, ნემსები,  
და ფანტელები სითბოსავით მერიდებიან,  
და ისევ აქ ვარ და შენს ფოტოს ვეალერსები.

## ზიზილები

ყრუ პაემნები ქუჩის ორთქლში იზილებიან,  
ჩვენ ვვავართ ცვედრებს, აღბათ უფრო საფლავის ლოდებს,  
და ჩვენ გარშემო თაფლისფერი ზიზილებია,  
და თხელ წვიმაში შენი მზერა შიშველი მოდის.  
(არავინ უწყის, სად მიდიან ეტლები ზამთრის)  
უფრო მარტივად თქმაც შემეძლო, მაგრამ ვართულებ  
ყველაფერს, რასაც დრო ნაჯახით წევნიდან მათლის,  
ყველაფერს, როცა მზე ანათებს ბრილიანტურად.  
ჩვენ კი აღარ ვართ, და არაფრის ქებნაც არ არის,  
არც იყო აღბათ, თამაშია ხიბლი მეფური,  
წვრილმანებია ყველაფერი, ბედი მთავარის,  
დედამინაა, დედა მინა რელიფური.  
ყრუ პაემნები ქუჩის ორთქლში იზილებიან,  
და ჩვენ გარშემო თაფლისფერი ზიზილებია.

# 3 პროგრამა

## მნიშვნელობა და ქალაქები

(ფრაგმენტი)

### დათო ბარბაქაძე

დაახლოებით ცამეტი წლის წინ, სამხრეთ საფრანგეთის ერთ ულამაზეს დეპარტამენტში, სადაც მეორედ ვმონანილებდი ვერკორის მთების ფუნჩე გამართულ ლიტერატურულ ფესტივალში, შესაძლებლობა მომეცა, ფესტივალის დასრულების მერე არა მხოლოდ გავლით მენახა პარიზი (ანუ მატარებლის სადგური და აეროპორტი, როგორც წინა წელს), არამედ ხუთი თუ ექვსა დღით მეცხოვერა კიდეც დედაქალაქის ერთ-ერთ მყუდრო ბურუჟაზიულ უბანში.

როცა ლიონი-პარიზის მატარებლიდან ჩამოვედი, პირველი, რაც უყოფმანოდ მოვიმოქმედე, ეს იყო: სანაგვე ურნაში ჩავუძახე პარიზის რუკა, რომელიც მსაპინძლებმა მაჩუქეს და მასზე ყველა ის ლირაშესანიშნაობა მომინაშენეს, რომლის ნავასაც ამ რამდენიმე დღის განავლობაში შევძლებდი. რა თქმა უნდა, მაშინ, როცა მე და ჩემი მასპანძლები საუზმის მერე კაფეში პატარა მაგიდაზე გაშლილ პარიზის დიდ რუკას გულდასმით ვათვალიერებდით და ტურისტულ გზებზე არსებულ სტრატეგიულ ობიექტებს ისე აღვნიშნავდით, როგორც ამას ისტორიულ თემაზე გადაღებულ ფილმებმ აკეთებენ სახელგანთქმული მთავარსარდლები, ვერც კი წარმოვიდგონდი, რომ დღის ბოლოს ეს განდი სანაგვეში აღმოჩინდებოდა.

გადაწყვეტილება მატარებელში მივიღე, შემოდგომის იმ ლანდშაფტით გარემოცულმა, რომელსაც სწრაფად და მსუბუქად კვეთდა პარიზისკენ მიმავალი მატარებელი. ეს ძალიან უბრალოდ მოხდა: ჩემი თვალთახედვის არეში სწრაფად მოძრავმა ლანდშაფტმა მოულოდნელად მიმახვდედა, რომ პარიზის რუკა ჩემს ხელჩანთაში შენახული ცივი იარაღი იყო. აი, სწორედ ამაზე ვთქვი უარი: პარიზში ცივი იარაღით შესვლაზე. რაღაც მომენტში გარე-მომცველი ლანდშაფტიდან ამოვყვინთე და მივხვდი, რომ პარიზი, რომელიც მე მაინტერესებდა, არცერთ რუკაზე არ იყო აღნიშნული. ვერცერთი რუკით შეიარაღებული ვერ მივაგნებდი იმ ადგილებს, რომლებსაც უკვე ვიცნობდი ჩემი საყვარელი პოეტების და მწერლების წიგნებიდნ. მე არ ვიყავი ტურისტი, რომელმაც უნდა მოასწოროს და რამდენიმე დღეში ნახოს ის ყველაფერი, რაც წლების და საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. ჩემი მყარი

და ჩამოყალიბებული შეხედულებებიდან გამომდინარე კა, ნამდვილად ვერ გაჯედებოდი იმ ილუზიის მსხვერპლი, თითქოს შეგიძლია, მოასწრო და ერთი ნახვით დაეუფლო იმას, რაც უცხო თვალისებან ყოველთვის ბეჭითად მალავს თავის ბედს, თავისი შინაგანი მოძრაობების ისტორიას და ცოცხალ სულს.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სულ მცირე, რაც ადამიანს ამა თუ იმ კულტურული ადგილის გასაგებად, მასთან დიალოგის სანარმოებლად ესაჭიროება, არის დრო. კულტურული ლირსშესანიშნაობების ტურისტული რუკა კი მომხმარებელს მიეროდება, როგორც ერთგვარი კომპეტენსაცია მის განარგულებაში ასეთი დროის არარსებობის შემთხვევაში. ადამიანს, რომელსაც აქვს საკმარისი დრო ამა თუ იმ ადგილთან არა მხოლოდ შესახვედრად, არამედ – მის საძიებლად, აღმოსაჩენად, მასი ძიების და მიგნების ინდივიდუალური, განუმეორებელი ისტორიის შესაქმნელად, ტურისტული რუკა არ სჭირდება. ის თავად ქმნის თავისი მოგზურობის ერთად ერთ და განუმეორებელ რუკას, რომელიც, როგორც წესი, სხვისოვს გამოყალიბებარია. ერთადერთი, რაც შეიძლება სხვათა ძიებების და მიგნებების, მერე კი მიგნებულ ადგილებთან ამ სხვათა დაალოგიურობის გამოცდლებამ შეგძინოს, არის იმის ცოდნა, რომ ნებისმიერი ტურისტული ძალისხმეულა და ტურისტული დროის ფარგლებში ამა თუ იმ კულტურული ადგილის „დაუფლების“ ვნება უაზრობათ. თუ შენ გინდა, გააგო ადგილი, რომელიც დიდ კულტურულ დროში შეიქმნა, უნდა გაექცე ტურისტულ დროს და ტურისტის მდგომარეობას. ტურისტი, რომელიც „აღმოაჩენს“, ამა თუ იმ ადგილს, მშინევი კარგავს მას, სამაგიეროდ, როგორც იაფ საქონელს, იქნება იმ ფაქტით კმაყოფილებას, რომ მან ნახა ესა თუ

ის ცონისილი ლირსშესანიშნაობა. აი, სწორედ ეს „ლირსშესანიშნაობა“, არის ის, რაც მას საბოლოოდ გზას უკეტავს კულტურული აქტის განხორციელების შედეგად შექმნილი ამა თუ იმ ადგილის გაეგძისეკენ. ის ამ დროს რილკეს მიერ აღნიშნილ მდგომარეობაში ექცევა: როცა საგნები კარგავნ ადამიანის მიმართ ნდობას და თავის თავში იკეტებან.

მე არ გამაჩნდა სწორედ ის დრო, რომელიც საეგარისი იქნებოდა ჩემი მასპინძლების მიერ მონიშნული ადგილების ნდობის მოსაპოვებლად. ჩემს თავს გამოუტყოფი იმაშიც, რომ, ჩემი ცხოვრისის მოცემულ მონაკვეთში საფრანგეთში მყოფს ერთადერთთ, რაც მართლა მაინტერესებდა და რისი ნახვაც გულით მსურდა, იყო როდენის მუზეუმი. როცა რუკას სანაგვე ურნაში ვაგდებდი, პრაქტიკულად, სწორედ რუკის დახმარებით როდენის მუზეუმის მიგზებაზე ვაბიბობდი უარს. მეორე მხრივ კა, პარიზში ჩავდიდოდი თითქმის ერთადერთი განსაკუთრებული სურვილით: მენახა როდენის „კალეს მოქალაქები“, და – იმედით, რომ შევერტებდ როდენის ამ ნაწარმობათან მატერიალურებას, მასთან დაილოგს და ჩემს მეხსიერებაში მის განთავსებას, რაშიც როდენის შემოქმედების მიმართ ჩემი დიდი ხნის სიყვარული უნდა დამხმარებოდა.

პარიზში ჩასულს და დაბინავებულს არავისთვის მიკითხავს როდენის მუზეუმის მისამართი, არ მიძებინა ის არც ტურისტულ ბიუროებში. თუ მეხსიერება არ მდალატობს, საფრანგეთში მხოლოდ პირად საუბრებში ჩემთვის დაშმული კონკრეტული შეკითხვების პასუხი იყო, როცა ჩემი ეს სურვილი ერთხელ თუ ორჯერ გავამუდავნები.

აი, ასე, დავდიოდი პარიზის ტურისტული თუ არატურისტული გზებით და საათობით თავს ვერ ვალენვდი უძმიდრეს მუსიკალურ მაღაზიებს;

ჩემი მწირი ჯიბის გათვალისწინებით, სუ-პერმარკეტებში ვყიდულობდი იაფფასიან ძეხვას, ყველს, პურს და, რომელიც მყუდრო პარკის მერჩხე ჩამომჯდარი, ვიზზადებდი ბუტიკ-ბროტებს;

ყველაზღვე, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, მართლაც რომ ჩემს დაუკითხავად, აღმოჩნდებოდი ხოლმე ლათონურ კვარტალს, სადაც ერთ დღეს სტუდენტური მანიუსესტაციის მომსწრეც კი გავზდი, თავდავინუბით შეეუერთდი მსვლელობას, გავიარა – ჩემთვის უცნობი პროტესტით გაერთიანებული, ბლაკატებით და ტრაფარეტებით აღჭურვილი ხალხის ტალღასთან ერთდ და პერიოდული შეახილებით დამუხტულმა – სენ მიშელის ბულვარის ვრცელი მონაკვეთი და, როცა ქუჩის მარჯვენა მხარეს შენიშვნულმა ულამაზესმა ასახვევმა მომზიბლა და მიმიზიდა,

ისე მოულოდნელად ვულალატე მსვლელობას, რომ მანიფესტაციის მიზნებიც და მიზანიც სამუდამო გამოცანად დამრჩა:

ორანჟერიის ბაღში გადასასვლელ ფიცარნაგარი ზედუ ვჩერდებოდა და დიდას ვერ ვწყვეტიდი თვალს მტრედებს, რომ ლებიც ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით მდგარ ნახატებით მოვაჭრე ხანდაზმულ მამაკაცსა და მარიონეტებით მოვაჭრე ახალგაზრდა მამაკაცს შორის საქმიანად მიმოდიოდნენ; ლამაბობით უსმერდი თევზების მშვიდობინი მტრევეის ხმებს, რომლებიც ბერძნული რესტორნებიდან გამოდიოდა, დღლას კი იმით ვიწყებდი, რომ სენის სანაპიროსკენ, ერთი ამოჩემებული ადგილისკენ, გავრბოდი და თვალს ვადევნებდი, როგორ იფარებოდა შიშველი დასლები ბუკინისტური წიგნებით და როგორ ნელდებოდა ამ დროს მდინარის დღნება, რომელიც რაღაც მიმერცხი თვალთახედვიდნ საერთოდ ქრებოდა მმიმე დახლების, დილადანვე დაღლილი ბუკინისტების და დახლებთან მოფუსუსე საზოგადოების მიღმა:

პარიზის რომელიმე პერიოდერიის ქუჩებში, როცა ცენტრისკენ გზას ვერ ვიგნებდი, დასასვენებლად პირველასვე პარკში შევდიდი და სკამზე ვწვებოდი, ფეხსაცმელს ვიხდიდი, ხელებს თავქვეშ ამონტინბდი და ოქტომბრის ხეების ბრძნულ ფოთოლ-ცვენას ულიმოდ.

და ერთხელ, მანცდამანიც პარიზში ჩემი ყოფნის ბოლო დღეს და მაინცდამანიც მაშინ აღმოჩნდი როდენის მუზეუმის კარიბეტსთან, როცა მის დაკეტვამდე რაღაც ათიოდე წუთი რჩებოდა. რომ ვთვა, ამ ფაქტმა მოულოდნელად ამაფორორაქა, შემდრა, გამახევა, ტურები გამიშრო ან გულში რაღაც ლახვარივით ჩამესა-მეთქ, სცრუეც იქნება და აუტანელი უგემოვნობაც. იმ განცდას, რომელიც მაშინ დამუტეფლა, გაკვირვება ჰქვია, მეტიც არაფერ. უბრალოდ, გამიყვირდა, რომ ასე გამოვიდა. ამ ადგილებში, ანუ როდენის მუზეუმის მიდამოებში, მანამდე ორჯერ მინც ვიყავი ნამყოფი და არც აპრების მიმართ ვიჩენდი უყურადებობას.

როცა გამოგბრუნდი და ვარენის ქუჩას ინვალიდების ბულვარის მიმართულებით გაფუზევი, გულდანყვეტაში არეულ ჩემს გაკვირვებას თანდათან ჩაენაცვლა თავის დასაშვიდებლად აუცილებელი აუტოტრენინგი და საბოლოოდ დავემორინილე იმ აზრს, რომ თუ ღმერთის ჩემს თავზე თმის ყველა დერი დათვლილი ჰქონდა, ისიც მისვე ნებით იყო, რომ პარიზი „კალეს მოქალაქების“ უნახავად უნდა დამეტოვებინ.

ამ ამბიდნ ათა წლის მერე, ციურისის კანტონის ერთ სტანდარტულად ულამაზეს შეაციურ სოფელში ვატარებდი ზაფხულს. მზის ელემენტებით შეაბჯრულ სახლში სენაკივით მყუდრო თანა მერინდა, რომელისაც მხოლოდ საჭმლის მისამარაგებლად ან სოფულის მიდამოებში სასერინოდ თუ დაკოტოვებდი ხოლმე, ვწერდი ახალ რომანს, ვთარგმნიდი გოტფრიდ კელერის „ციურისულ ნოველებს“, ვკითხულობდი კელერის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურას, გამოსაცემად ვამზადებდი „ავსტრიული პოეზიის“ მორიგ ტრომს და ვტკებოდი თავისუფლებით, რასაც ჩემთვის – ამ შემთხვევაში – ეკოლოგიურად, პოლიტიკურად, მორალურად დაბინძურებული და ყველობრივი აგრესით და-მუხტული თბილისისგან კიდევ ერთხელ თავისდალენევა ერქვა.

მოხდა ისე, რომ იმ ჩემს სენაკში ზუსტად ორმოცი დღე ვი-მუშავე ერთადერთ ლეგსზე, რომელსაც, როცა წერა დაგასრულე, „ციურისი“, დავარქვე და იმასაც მივხვდი, რომ ეს სამგვერდიანი

ტექსტი საუკეთესო იყო ჩემს პოტურ შემოქმედებაში, იმ პოტური ამოცანებს გადაწყვეტის თვალსაზრისით, რომელსაც თითქმის ოცი წელი კუნძულობილი იყო.

ერთი სიტყვით, განსაკუთრებული შემოქმედებითი მდგომარეობის ველში ვიყავ მოხვედროლი და რაკი ხშირად მომხდარა, რომ ჩემთვის პერიოდულად მოძებულ ასეთ შემოქმედებით ძლიერთან ერთად ღმერთს დამატებითა — მუზებისა და საწერი მაგიდის ორგებისგან მოწყვეტილი — საჩუქრითაც გავუნებივრებივარ, გულის ბეჭელ კუნტულში ამჯერადაც ღვიოდა იმედი, რომ ინტენსური შემოქმედებითი მრომისა დასრულების მერე ღმერთი კიდევ ერთ საჩუქარს მიმზადებდა. ჩემი სიხარბის მორალი დაახლოებით ასე ჟღერდა: „ლექსი, რომელმაც შენგან ამდენ დრო და ენერგია, ამდენი უძლო დამე და შრომის ასეთი ინტენსივობა მითისოვა, დიდი ანგარიშთ, ღმერთის სადღებელია. ღმერთმა გიბოძა ეს ძღვენი, ანუ მისი განდიდების შესაძლებლობა. შენ ამ შესაძლებლობას თვალი არ დაუხუჭე, იშრომე და გააკეთე ის, რაც შეგეძლო. შენ არაფერი დაგიმალავთ. ორმოცი დღე და დამე გასცემდი იმას, რის გასაცემადაც — ნუ გამორიცხავ — ოცი წელი ემზადებოდი და ამ ერთმა ლექსმა მოთხოვთა ყველაფერი, რასაც ითხოვდნენ და ვერ ღებულობდნენ შენი სხვა ლექსები. ღმერთმა იხილა მის სადიდებლად გაღებული შენი მონდომება და იმის ნიშნად, რომ შენი შრომის ნაყოფი კეთილად შეინირა, შეიძლება დაგასაჩუქროს.“

ვერ ვიტყვი, ასეთი მორალი ღმერთისა და მორწმუნის ურთიერთმიმართების პირ აბელარესული მოდელის გამარტივებულ და გაუკულმართებულ ინტერპრეტაციას არ ნამრავდებადა-მეტე, მაგრამ რაკი ჩემი კეთილმობლება წლების განმავლობაში ადგილობრივ არ დაძრულა და უფრო მეტად არ გაკეთილმობლებულა, ჩანდა, ჩემი სულიერების მომბლანიც და იალუზიც ეს იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი — არცთუ ძლიერ შემანუხებელი — იმდინ გულდამშვერებული გავეტიავრე ბაზელის კატრინის სოფელ დორნახისიკენ, სადაც თითქმის მთელი კვირა უნდა მეცხოვრა ერთი ცნობილი ჯაზმუსიკოსის სახლში, რომელშიც ყველა ნივთი და კედელი სამოცანი და ოთხმოცანი წლების სულისკეთებათა სინთეზით სუნთქვადა, ამ თრ ათწლეულს შრომის დამაკავშირებელ ხიდს კი ოთხმოცდათიანი წლების დასაწყისში სახლის ორივე სართულის ყველა თახში და შიდა კიბეზე დაგებული ხელოვნური ხალიჩების ნოსტალგიური სიმყუდროვე ნარმოადგენდა, ოლონდ — ისეთი სიმყუდროვე, კაცს სულ სხვა, უკვე სამუდამოდ გამქალ, თვალით ხილული სიმყუდროვით გადაფარულ რომელილაც სხვა სიმყუდროვეზე რომ მიგითითებს და ნარმოსახვას დამატებულად გააქტიურებს.

ასეთი სიმყუდროვის საუფლობან გამოვდიოდი ყოველდღიურად, სახლის კარს ვკეტვდი, გასალებს ჯიბეში გულდასმით ვინახავდი, ქვის რამდენიმესაფეხურიან კიბეზე გასანგრძლივებული ნაბიჯებით ჩამოვდიოდი და ვაცნობიერებდი კი არა, სხეულის ყველა წერტილით ვგრძნობდი, რომ ეს პროცესი — კარის დაკეტვიდან კბის ბოლო ქვედა საფეხურზე ფეხის ჩამოვდგმამდე — იყო ჩემი ის ერთადერთი გამოცდილება, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში მიღებული ვერცერთი სხვა გამოცდილება უკვე ვეღარ გადაფარავდა.

მეორე დღიდან მოყოლებული, ვფიქრობ, სახლიდან მხროლოდ ამ რიტუალის შესასრულებლად გამოვდიოდი. და ეს ჩემი ყოველდღიური რიტუალი რაღაც საუკეთესო იყო ჩემთვის უნარის უწყვეტებელობა, რაღაც ასეთი მემართებოდა ყოველდღიურად და რაც ამის მერე ხდებოდა, იყო, უპრალიდ, დრო მინაზე ფეხის დადგმიდან შინ დაბრუნებამდე.

თუ ახლა ვიტყვი, რომ მხოლოდ ერთხელ, ციურისში ჩემ დაბრუნებამდე ორ დღით ადრე — როცა სახლიდან იმიტომ გამოვდი, რომ ბაზელის ხელოვნების მუზეუმის ბაბლოითიერაში მარკ სტრენდის ნიგზა „ედვარდ პოპერის სურათების შესახებ“ ნამევეთხა — მოხდა ის, რამაც ჩემი ყოველდღიური რიტუალით მიღებული ტკბობა გადაფარა, ბაზელის ხელოვნების მუზეუმში ნამყოფი მკითხველი უბალ მიხვდება, თუ რა შეიძლებოდა ამ დღეს მომხდარიყო (თუმცა, ვფიქრობ, ის ამას უკვე მაშინ მიხვდა, როცა შეაიცი ვასხენე).

დიახ, მუზეუმის ეზოში „კალეს მოქალაქეების“ პირისპირ აღმოენდნი. სხვათაშორის — შემთხვევით: მუზეუმის ეზოში, ნაშაუადლევს სტრენდის უკვე ნაკითხულ წიგნზე და ჰიპერის ნამუშევრებზე ფიქრებში გართულმა, მხოლოდ მომხიბლავ არქიტექტურულ ლინდშაფტზე მზერის გადანაცვლებისა და ერთგვარი „ამოსუნთქვის“ მიზნით შევისეირნ, რადგან მუზეუმში თავმოყილი ექსპონატების ნახვა მხოლოდ მომდევნობილი დღისთვის მქონდა დაგეგმილია. ასეც რომ არ ყოფილიყო, „კალეს მოქალაქეებთან“ ნაცნებარი შევედრის მერე სხვა სამყაროთა ლაბირინთებში სამოგზაუროდ არც ძალა მეყოფოდა და არც — სიყარული.

აი, ასე მოხდა.

დიდი ხნის მერე სადღაც ამოვიერთხ, რომ ბაზელის ხელოვნების მუზეუმის ეზოში განთავსებული კომპლექსი სწორედ პირიზის როდენის მუზეუმში გამოფენილი „კალეს მოქალაქეების“ მომდევნო, რიგით მეშვიდე, ჩამოსხმა იყო და ამ ჩამოსხმას ერთმნიერისგან ჩივიდეტი წელი აშორებდა. იმ საღამოს კი, როცა შინდაბრუნებულმა ძველი კიბის საფეხურები ავიარე, ჯიბიდან გასალები ამოვილე და საკეტს მოვარგე, მაშინლა მიგვედი, რომ ერთადერთი, რაც ამ შემთხვევის ამოხსნაში შეიძლებოდა დამხმარებოდა, ბრეტონის „ობიექტური შემთხვევითობის“ თეორება იყო.

ეს თეორება კი, თავის არსებით სათქმელთან ერთად, იმასაც გვეუბნება, რომ მსგავს გამოცდილებათა „ობიექტური“ შინაარსების პოეტიკა არ არსებობს.

თბილისი, 16.12.2009

# ଶ୍ରୀକଳିତାନ୍ତିଷ୍ଠିତ

გელა ჩქვანავა

1

ჯალათი ნუგზარი თოთხმეტ სოფელს ემსახურებოდა. ყოვ-  
ელ სოფელში ორი დღე რჩებოდა და დამანძაცვებს სჯიდა: ზოგს  
როგორავდა, ზოგს ენის წვერს, თუ მთლიანად ენას, ან ხელის  
თოთხმეტს აჭრიდა, ან, სულაკ, თაგანაკ წააგდინებდა.

კალათი ნუგზარი, როგორც ჯალათთა წესი იყო, საჭრისი გახ-  
ლდათ. როგორც ყველა ჯალათი, ყოველი სამუშაო თვის ბოლოს,  
სამი დღე ისვენებდა იმ სოფელში, რომელშიც მოუწევდა დასვენ-  
ების დრო – ხოლო იმას, თუ ვის სახლში დაესვენა, ამას თვითონ  
წყვეტდა ხოლო მასპინძლის თანხმობით (როგორც ყველა ჯალათი,  
პენიზე გასვლამდე თავისი სახლის ქონის უფლება არ ჰქონდა).

ის მაღალი, ძრგვე, ხუჭუჭა მამაკაცი გახლდათ. მეჩინევილის იჯახში დაიბადა. მამამისს, ნუგზარის გარდა, კიდევ შვილი ვაჟი პკარდა სამი სხვადასხვა ცოლისგან.

ჯალათი ნუგზარი ძმებში ყველაზე უმცროსი იყო. ხუთი წლის  
რომ გამხდარა, დაბადების დღეზე ის მამას თავისთან მოუხმია,  
რათა მისთვის ეკითხა, როცა გაიზრდები, რა გინდა გამოხ-  
ვიდეო. ის-ის იყო, მენისქვილეა ამის სათქმელად პირი უნდა  
გაეღო, მონმენდილ ცაზე მეხი გავარდნილა. ყველა გაოცებულა.  
მენისქვილეს კი ნუგზარზე უფიქრია, მგონი, ეს ბავშვი ჯალათად  
დაიბადათ და იმავ წამს უჭექია კიდეც მისი ფიქრის დასტურად.  
მეორე დღესვე წაუყვანია მენისქვილეს პატარა ნუგზარი ქალაქში  
და იქ ჯალათთა სკოლაში მიუბარებია.

ნუგზარმა სასკოლო კურსი, რომელსაც ასი ბავშვიდან მხოლოდ ცხრა თუ მოილევდა, წარმატებით გაიარა, რის შემდეგაც ის დაკოდეს და ერთი პატიოსანი და ჭკვიანი ჯალათის შეგირდად გაამზესეს. ნუგზარის მამა სიამაყისგან კანში ვერ ეტეოდა და მას ყველანი პატივისცემით ექცეოდნენ. მაგრამ ერთ ზამთარს (სწორედ იმ ნელს, როცა ჯალათმა ნუგზარმა შეგირდის, ანუ მროზგავის ტიტული მოიპოვა) ნისქვილში დათვი შეუვარდა და სასიკვდილოდ დატორა.

შეგირდობის მეშვიდე წელს მროზგავ ნუგზარს ჯალათის  
წოდება მანიჭის.

სულ მალე შეუვალი და სამართლიანი ჯალათის სახელი დაიმ-  
სახურა. მხოლოდ ეგ იყო, რომ ერთხელ, გაროზგვისას, ჩვიდ-  
მეტი წლის ქალიშვილი შემოკვედა. ნუებზარის გათვლით ის შეიძი  
როზგი, რომელიც ქალიშვილს მიუჟაჭა, მას თავისუფლად უნდა  
აეტანა, საწყლმა კი მეორე დარტყმაზევე განუტევა სული.  
როზგს კი თავად ჯალათი ნუებზარი ურტყმადა — რატომძაც  
მოუნდა ეს თვითონ გაეკეთებინა. ქალიშვილს, როგორც ჯალათი  
ნუებზარი ვარაუდობდა, შიძისაგან გაუსკდა გული. არადა, ლოევ-  
ბლაულაჟა, ჯანმრთელი გოგო იყო.

ეს სამწუხარო ამბავი ჯალათ ნუგზარს ჯალათობის მეორე წელს შეემთხვა. ის გოგო ჯალათი ნუგზარის დედის მოსახლეო

გასხვდათ, ჭორფლებიანი მზია ერქვა. ჭორფლებიანი მზიამ ჯალათ წუჯზარისგან მისჯილი შვილი როზგი სრულიად სამართლიანად დამტკურა - მეზობლებს არ გაუმხილა ის ამბავი, რომ მის ქათმებს ქათმის გრიპი შეეყარათ და არც გრიპით დახოცილი ქათმები ჩაყარა კირის ორმოში. არადა, ეს რომ ექნა და თანასოფლელებიც გაეფრთხილებინა, ავადმყოფნა სოფლის სხვა ქათმებს არ გადაედოდათ და უმრავლესობაც შინაური ფრინველის გარეშე არ დარჩებოდა.

სოფლის აზრი ორად გაიყო. ზოგმა თქვა, ჭორულებიან მზიას სიზარმაცის გამო მოუვიდა ეს აბავიო, ზოგმა კი აღნიშნა, ცხონებული დედამისიერით შურინაია. ჭორულებიან მზიას ანგარიშზე მანაძლე ჩადებოლი ორი ცოდვაც ირიცხებოდა. პირველი ის, რომ ორი წლის წინათ მდინარეზე საბანაოდ მიმავალი ქალებისთვის არ გაემხდა, რომ მათ თვალოვალს სოფლის ბიჭები ან არებდნენ, როს ჟესახებაც შემთხვევით შეეტყო. მეორე კი ის, რომ ერთხანს ერთ ცოლიან კაცზე ეჭირა თვალი მეზობელი სოფლიდან. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ჯალათ ნუგზარს ჭორულებიანი მზია შეეძლო და ვალდებულიც კი იყო, უფრო მკაცრად დაესაჯა, მაგრამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ჭორულებიანი მზია დედით ჯერ კადევ ბავშვობაში დაობლდა და თან მაბაც ერთი გულლრჯვ კაცი გახლდათ, რომელიც პრიოლულად ლოთობდა ხოლმე.

ყველა ჯალათი ვალდებული იყო, მის მიერ  
მოკვდნებულ სიკვდილმისჯილთა საფლავები  
წელიწადში ერთხელ მოენახულებინა. მაგრამ ამ  
შემთხვევაში ჯალათი ნუჯგარს ჭორფლებიანი  
მზიას საფლავის მონახულება სულაც არ ევ-  
ალებოდა. ჯალათი ნუჯგარი კი ჭორფლებიანი  
მზიას საფლავს ყოველ გაზაფხულზე მინდვრის  
ყვავილებით რთავდა და ლოცვების ძროსაც  
მოისწერიბდა.

ଓମ ମୂର୍ଖୀଙ୍କ ନେସାଦ କ୍ଷେତ୍ରନାଟ, ଲୋଗଳିଲି ସାବା-  
ଫୁଲାଟ ଲୋଗ୍ଯେଲିତାନ ଅର୍ଥପୁଣ୍ୟ ପ୍ରେଲାଭୀ ମାଲାଲ  
ଗର୍ବାଶୀ ମୋର୍ଚ୍ୟତ ଲୋଗ୍ଯ ରମ୍ଭ ତିତର୍କୁଲି ସାଫଲାଗ୍ରି  
ଲୋଗଳିନାହିଁ କାର୍ଗାଦ ଗାମରିବେଳିଲ୍ୟତ୍ତ. ଆସ୍ତରେ, ର୍ଜାବ-  
ପଶି ମିତ୍ରବାଲ୍ୟପୁଣ୍ୟତା ଲୋଗଳିଲି ମର୍ଦାଶେବ୍ରିଦ୍ଧିଲାଦ,  
ପ୍ରେଲାଭ ନେସା ଅଞ୍ଚଳଦର୍ଭନ୍ତ କ୍ଷେତ୍ରକୁବେଳାନ. ଜ୍ଵାଲାଟି ନୃଗ-  
ଶୁରି କ୍ଷରତ୍ରଲ୍ୟବାନ ମହିଳାଙ୍କ ଲୋଗଳିଲି ସାଫଲନ୍ତବୁନ୍ଦାର  
ପ୍ରେଲାଭ ଅର୍ଦ୍ଧ ଶେମଦଗରମାତା, ମିଳି ସିକ୍ଷାଵିଳିଲି  
ଫୁଲିଏ କାଳାବ୍ଦା ଅଧି ବେରି ଦା ମାରତାବ୍ଦା ନାଫିମି,  
ରମ୍ଭଲ୍ୟତ୍ତ ମତେଲ ଲୋଗ୍ଯେଲି ପ୍ରାତିଶ୍ୟବ୍ଦନା. ଲୋଗ୍-  
ନ୍ତ୍ର ସାମ୍ବାଗ୍ରେତ୍ରସ ମିତ୍ରକାନ୍ଦ ନାଫିମିଶିତ୍ରସ ଦା ରମ୍-  
ଗରନ୍ଦାତ ଆଶର୍ବେଦା, ରମ୍ଭ ମି ଫୁଲିଏ କ୍ଷରତ୍ରଲ୍ୟବାନ  
ମହିଳାଙ୍କ କ୍ଷରତ୍ରଲ୍ୟି ମର୍ଦାଶେବ୍ରିଲିମାଧୁ.

თავისი ხელით ასუფთავებდა და წვავდა იქვე, მდინარის პირას ვე, თვითონაც სიამოვნებით მიირთმევდა და სხვებსაც უმასპინძლდებოდა.

ყველა ერთხმად აღნიშნავდა იმას, რომ ჯალათ ნუგზარისადმი დაკვემდებარებულ სოფლებში მძიმე დანაშაული ნაჯებად ხდებოდა, რაც ჯალათი ნუგზარის დამსახურება იყო – მისი გონიერების. მას ვინმე იმაზე უფრო მკაცრად რომ დასავა, ვიდრე იმსახურებდა, ან პირიქით, მსუბუქი სასჯელისთვის დაჯეჯერებინა უფრო მძიმე სასჯელი ლირის, ამ უსამართლობის შემხედვას ხალხი გაბოროტდებოდა. გაბოროტებული ხალხი კი, როგორც ცნობილია, დანაშაულს ადვილად სწავლის.

ჯალათ ნუგზარს თავისი ჯალათობის მანძილზე სამი შეგირდი გამოეცავდა – ახლანდელი, მროზგავი თანდილა, მეოთხე იყო. მისი ყოფილი შეგორდებიც მასნავლებელივით სამართლანი და გონიერი ჯალათები დადგნენ, ხოლო ახლანდელს ჯალათი ნუგზარი არც ისე ემადლიერებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი იმედი არც ჰქონდა.

მროზგავი თანდილა წარმოშობით ჯალათ ნუგზარის მხარიდან იყო. სამი წლისა დაობლებულიყო და ბიძისა და ბიცოლა ზრდიდნენ. ექვსის რომ გამხდარა, ის ბიძას თავის შეიღებთან ერთად ქალაქი წარმოინა (ყველი და ლობითი მიჰქონდა გასაყიდად). საამ ბაზარში მიერდოდნენ, სხირედ ჯალათთა სკოლის შენობის ნინ, ოთხთვალს ერთი თვალი დაზიანებოდა, სათადარიგო კი ლერძის არ მორგებოდა. მროზგავი თანდილას ბიძაც იძულებული გამხდარა, ხელოსანი მოევანა. მროზგავი თანდილას ჯალათთა სკოლის შეობა ისე მოსწონებიდა, რომ საამ ხელოსანი თვალს ლერძს მოარგებდა, თურები მონუსახულივით იდგა, შემდეგ კი ბიძას შეხვეწნოდა, ამ შენობაში დამტოვეო (არც იცოდა, თუ ის ჯალათთა სკოლის იყო).

ბიძას ძმიშვილი არ დაუტოვებია და ყველანი ერთად მეორე დღეს სოფელში დაპრუნებულან. მროზგავი თანდილა კი დამღამიბით ჯალათთა სკოლაზე აბოდებდა. ბიცოლას ბიძისთვის უთქვამს, ხომ ხედავ, რა დღეშია ბავშვი, ეტყობა, ღმერთი გვანიშნებს, რომ ჯალათთა სკოლაში მიერადოთ. ბიძას უფირია, ჩემს ცოლს ზედმეტი მჭამელის მოშორება უნდაო და მისთვის ყური არ უგდა. ერთი კვირის შემდეგ კი თავად მათ ჯალათს დასიშმრებია თანდილა. ჯალათს ყელა ბავშვი, რაც კი მის დაქვემდებარებულ სოფლებში იყო, რა თქმა უნდა, არც ახსოვდა, მაგრამ როგორც კი თანდილასთვის შეუხედავს, უთქვამს, ეს ბიჭუნა სიზმრად ვიხილე, აქამდე უცხო ბავშვი არასოდეს დამსიზმრებია.

მხოლოდ ამის შემდეგ წაუყანია ბიძას მროზგავი თანდილა ქალაქი, მაგრამ ჯალათთა სკოლას რომ მიღომიან, ისევ შეყოყნანებულა. ამ

დროს სკოლის სახურავზე მოკალათებული მტრედებიდან ერთი თეთრი მტრენილა და პირდაპირ მრიზგავი თანდილს ნინ დაშვებულა.

ჯალათ ნუგზარს ის უკლავდა გულს, რომ ბოლო ყრის ჯალათ საკოლმი სწავლება ვერ იდგა სათანადო დონგზე – სასვესით შესაძლებელი იყო, მხოლოდ ფიზიკური ამტანობის ხარჯზე მისი დამთავრება. სწორედ ამის ნათელი მაგალითი გახლდათ მროზგავი თანდილა.

ამ უკანასკნელსა და ჯალათ ნუგზარს რაც აერთინებდათ, ეს თევზობის სიყარული იყო. აგერ, უკვე მეხუთე წელი გადიოდა, მროზგავი თანდილა ჯალათ ნუგზარის შეგირდი გახლდათ და ამ ხნის განმავლობაში, როგორც მომავალი ჯალათი, ერთი ბეწოთიც არ გაზრდილა და ოდნავადაც არ განელებია აღტყინებამდე მისულ თვითმაყოფილება იმის გამო, რომ ჯალათთა სკოლა დამტავრა და რომ ჯალათი უნდა გამხდარიყო – ცნობილი და დაფასებული ადამიანი, რომელსაც ყველანი მოწინებით ეპყრობინდა. მას ძალაუფლების წურვილი უფრო ამოძრავებდა, ვიდრე თანდაყოლილი სურვილი და მონძოდება, სამართლიანობის დამკვიდრების წმინდათანინდა საქმეს მომსახურებოდა. მასში ნაკლები იყო მოკრძალება და გულისხმიერებაც – არ თვლიდა საჭიროდ, ზოგჯერ მაინც, თავი დამაზავის ადგილას წარმოედგინა.

ორი დღის ნინ ჯალათ ნუგზარს სასამოვნო ამბავი შეატყობინება – დედაქალაქის ერთ-ერთ რიონში გადატყვევდათ სამუშაოდ. ასეთი წარმატება და გამართლება სოფლიდან გამოსულ ჯალათს იძინათად თუ ხედებოდა წილად.

ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა დიდი ჯალათი, ნოე – უდიდესი ადამიანი, რიმილის სსოვნაზეც დებდენ ფიცს საქმისა და კოდექსის ერთგულებაზე ჯალათთა სკოლის კურს დამტავრებულები.

ჯალათ ნუგზარს დედაქალაქში გადაბარგებამდე უნდა გადაწყვიტა, მზად იყო თუ არა მროზგავი თანდილა იმისთვის, რომ ჯალათის მოვალეობა ეკისრა.

მროზგავი თანდილას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ჯალათ ნუგზარი ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტილა და თავი იმ თოთხმეტი სოფლის ჯალათად წარმოედგინა, რომელიც ამჟამად ჯალათ ნუგზარს ეპარა. ეს უკანასკნელი კი დარწმუნებული გახლდათ, რომ მროზგავი თანდილასგან კარგი ჯალათი ვერ დადგებოდა და ამიტომ საკუთარ სინდისთან კომპრომისზე წასკლასა და მროზგავი თანდილას ჯალათად ხელდასმას არ აპირებდა. ჯალათი ნუგზარის უარის შემთხვევაში მროზგავი თანდილა ეკიდე წელი სხვა ჯალათის შეგირდად გამნესდებოდა (ჯალათ ნუგზარს დედაქალაქში სხვა შეგირდი დახვედებოდა ჯალათთა სკოლის ახალდამთავრებულთა რიგებიდან) და დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ერთი ჯალათისაგან დაწუნებულს არც მეორე ჯალათი აუნთებდა მწვანე შუქს და მროზგავი თანდილა მუდმივ თანაშემწედ დარჩებოდა.

ჯალათმა წაუყანია იცოდა, რომ თავმოყვარე მროზგავი თანდილაზე უარი ძალიან იმოქმედებდა.

აგერ, უკვე მეორე დღე იყო, ჯალათ ნუგზარი და მროზგავი თანდილა ერთ სოფელში ისკვენებდნენ. იმ დღილით, გადაწყვიტა, მროზგავი თანდილასთვის ეთქვა, რომ ჯალათად კურთხველაზე თანბობას ვერ მიღებდა.

მროზგავი თანდილა დასვენების დღებში გვინდობამდე ნებივრობდა ხოლო ხოლო ლოგიში, მაგრამ იმ დღილით მანაც ადრე გაიღვიძე

და მასპინძლის ოდა სახლის აივანზე გადმოდგა.

ჯალათი წუგზარი ის-ის იყო დილის გამამჩნ-  
ევებელ ვარჯიშს მორჩენილიყო.

— დილა მშვიდობის! — მიესალმა მროზგავი  
თანდილა ჯალათი წუგზარს. — მოკლედ, წუხელ,  
დაბინების წინ გადავწყვიტე, რომ როგორც კი  
სრულუფლებიანი ჯალათი გაეხდები, მეც თქვენ-  
სავით რეჟიმში ჩავდგე, ყოველ დილით ვივრავი-  
შო და ზამთარშიც ციფი წყლით დავიბან ტან!

ჯალათი წუგზარი შეცდა, რაც შეგრძნდა  
თვალს არ გამომარვია.

— ხომ მშვიდობა? — იკითხა მროზგავმა  
თანდილამ.

ამ ძროს ცეცხლისფერი მიმალი კავნით  
გამოენიო დედალს, ღობის კუთხეში მიმწყვდია  
და ის-ის იყო, უნდან დაეტევნა, რომ დედალი  
მოულოდნელად ღობეში გაძვრა, ღობის იქით  
დადგა და ფრთხო შეისწორა — ელოდა, რომ  
მამალიც უკან მისყვებოდა და დაჩინჩილავდა. მა-  
გრამ მამალს ღობის იქით გასვლა არც უცდია.  
სურვილი განელებოდა, უკანასკნელოდ ჩამიღე-  
რა რალაცა, გატრიალდა და ნავიდა.

— ჯალათად კურთხევაზე თანხმობას ვერ  
მოგცემ! — ნაღვლიანად წარმოთქვა ჯალათმა  
წუგზარმა. — ვთვლი, რომ კიდევ უნდა იმუშაო  
საკუთარ თავზე. გადაწყვეტილება საბოლოოა  
და მე მას არ შევცვლი!

ბოლო სიტყვები ჯალათ წუგზარს შეეძლო, არც  
ეთქა. ის, რომ ჯალათი წუგზარი ცხრაჯერ გაზომ-  
ილს ჭრიდა და რომ თავის გადაწყვეტილებას არა-  
სოდეს ასუფრის დიდებით არ ცვლიდა, მროზგავმა  
თანდილამ კი არა, მთელმა ქვეყანამ იცოდა.

— შენამდე სამი შეგირდი ვაკურთხე ჯალათე-  
ბად და ვთვლი, რომ შენ მათზე ნაკლები არ  
უნდა იყო და რომ, ახლა შენი ჯალათად გახდომა  
არა მხოლოდ საერთო საქმისთვის იქნება საზი-  
ანო, არამედ პირადად შენთვისაც! — ლაპარაკს  
რომ მორჩი, ჯალათი წუგზარი ჭისკენ გაემართა,  
რათა წელსზემოთ წყალი გადაევლო.

არცერთ ჯალათს არ ჰქონდა უფლება, საბ-  
ოლოვა ვერდიქტის გამოტანამდე წინასწარ ეთქვა  
შეგირდისთვის, ან რამენაირად მიეხვედრებინა,  
აკურთხებდა თუ არა მას ჯალათად.

მროზგავი თანდილა ერთხანს გაოგნებული  
იდგა აივანზე, შემდეგ შექრიილდა, ოთახში შე-  
ბრუნდა, ლოგინზე პირქვე დაემხო, თავი ბალ-  
იში ჩარგო და აქვითოდა.

ეცოდებოდა მროზგავი თანდილა ჯალათ  
წუგზარს, მაგრამ მას სხვანაირად არ შეეძლო.  
ისიც იცოდა ჯალათმა წუგზარმა, მისი ამ გად-  
აწყვეტილების შემდეგ რას იტყოდნენ სხვა  
ჯალათები — ძალიან კი აუვარდა თავში ის ამ-  
ბავი, რომ ცნობილია და სულ საქებარი სიტყვები  
ესმისო.

ამჯერად ჯალათი წუგზარი თავის შეგირდთან ერთად გულის-

დედა ამბაკოს სახლში ისენებდა.

ამბაკო სულაც არ იყო გუთინისდედა, ეს წოდება მმისგან ერგო  
მეტყველებობით და რადგან გუთინისდედა მასას წევრი წალიტ-  
იო ჰეგვდა, ხალხი მასაც გუთინისდედას ეძხდა. ერთი მშვიდი,  
უცოლო კაცი იყო თხუთმეტი წელი ქალაქში უცხოურა. სამოცს  
მიმდეულს იქიდან ახლაც საყვარლები ჩამოჰყავდა, ორ-სამ წელი-  
ნადმი ერთი სოფელში ამბობდნენ, რომ ამბაკოს სახლში ბოზების  
ყოველი მეოჯახ, პატიოსანი ქალების შეურაცხოფოვა იყო და ამ  
ყოველი შეუცხობდა. ამბაკო პასუხობდა, რომ მეოჯახ ქალებს  
მის სახლში საყვარლის ყოველი შეურაცხოფოვად არ უნდა მიეღოთ,  
რადგან ისინი არ ბოზობდნენ და რომ სოფელში არაერთი ქალი  
ეცულებოდა, რომელიც ქალას რქებით ამკობდა. თუ მხედველობა-  
ში არ მიიღილებთ ამბაკოს სულ პორევლ საყვარლს, რომელიც ერთ  
გლეხის ბიჭს მოსწონდა და ისიც, როცა ამბაკომ მასზე გული აი-  
ყარა, იმ ბიჭს დაუწნა, ამბაკო მართალი იყო თავისი განცხადების  
როგორც პირველ ნაწილში, ისე მეორეშიც. მაგრამ სოფელმა მაინც  
არ მიისვება და ამბაკოს მოსთხოვეს, სახლში მეტი საყვარელი არ  
მოეყვანა.

ამბაკომ ყურიც არ შეიძერტყა. მაშინ სოფელმა მოითხოვა,  
რომ ამბაკო დასჯილიყო. ასეთ შემთხვევაში, ჯალათი წუგზარი  
ვალდებული იყო, სოფლის მოთხოვნა დაეგმაყოფილებინა და ამ-  
ბაკოს თორმეტი როზგი მიუსავა.

არც გაროზგის შემდეგ მიუტოვებია ამბაკოს ქალაქიდან  
საყვარლების ჩამოყავანა. შემთხვევით, არც სოფელს მოუტხოვია  
მეტჯერ მისი დასჯა. თუმცა, ამბაკოს კარგი თვალით მაინც არ  
უყურებდნენ. ამბაკო კი კარჩაკეტილ ცხოვრებს ეწყოდა. ჯა-  
ლათი წუგზარი ხვდებოდა, რომ შეიძლება გაბოროტებულიყო  
კიდეც და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ის სამი დასვენების დღე,  
რომელიც სამუშაო თვის ბოლოს ერგებოდა, ამბაკოს სახლში  
გაეტარებინა. ამბაკოს კი ეს ამბაკო ძალიან გაუსარდა და ყველა-  
ნაირად ცდილობდა, სტუმრებისთვის, განსაკუთრებით კი ჯალათ  
წუგზარისთვის, ეამერი.

ამბაკოს ამჟამინდე საყვარელს, რომელიც, აგერ, უკვე მეხ-  
უთ წელი გადიოდა, რაც ჟყავდა, ალა ერქა. როგორც მისი სხვა  
ნინამორბედი, ჩათქივირებული გახლდათ. კარტზე მკითხაობდა.  
ჯალათი წუგზარს ეჭვი ჰქონდა, რომ წინა დღეს სწორედ ალამ  
უმკითხავა მროზგავა თანდილას, რომ მას ჯალათად აკურთხებდ-  
ნენ და სწორედ მიტომაც იყო, რომ, როცა ჯალათმა წუგზარმა  
ჯალათად კურთხევაზე უარი უთხრა, მრიზგავმა თანდილამაც  
სამზადისკენ გაიხედა, სადაც ალა ტრიალებდა.

მროზგავი თანდილა საუზიზე არ გამოსულა. ჯალათი წუგ-  
ზარს ალამ ჩაი და ხაჭაპური მიართავა. ჯალათმა წუგზარმაც სუ-  
ფრიდან ადგომისას მუცელზე ხელი სამჯერ დაიტყაბუნა იმის  
ნიშნად, რომ ხაჭაპური ძალიან ეგერმრიელა. ამბაკოსთან ერთად  
მსხლის ხის ქვე დაჯდა და დაელოდა, თუ როზგის მოუყვანად-  
ნენ შეკვეთილ ხარს — იმ დღეს მას ჭორფლებიანი მზიას სულის  
საცხონებლად ნადიმი უნდა გაემართა.

ამბაკომ ყალიონი გააბოლა.

— დედაქალაქში რომ გადახვალთ, როცა მეც იქ ვიქნები, შეი-  
ძლება გინახულოთ? — ჰკითხა მან სტუმარს.

— შეიძლება! — მიუგო ჯალათმა წუგზარმა.

— აგაშენათ ღმერთმა! — ძალიან კი აუვარდა თავში ის ამ-

2.

ნადიომი მართლაც რომ კარგი გამოვიდა. მამა-აკაცია უმრავლესობა დათვრა. თავად ჯალათი ნუგზარი მხოლოდ ოდნავ თუ „შეხუჭუჭდა“, როგორც ამბაკომ აღნიშნა, რომელიც არ სვამდა, რადგან ჯალათის მასპინძელი იყო და სამი დღის განმავლობაში მას უნდა მომსახურებოდა. ორ ჭიქაში დათვრა დადარდანებული მრობგავი თანდილა, ფეხზე ვერ დგებოდა და ამბაკოს სახლში ის ორმა კაცმა მოიყვანა.

ჯალათი ნუგზარი და ამბაკო სალამოხანს ამბაკოს სახლში რომ დაპრუნდნენ, მრობგავი თანდილა ხერინავდა.

სტუმარ-მასპინძელი ისევ მსხლის ხის ქვეშ დასხდნენ. ამბაკომ ჯალათ ნუგზარს სთხოვა, დალამებამდე, თუ შეიძლება, ოქვენს ეტლს გავრეცხავო.

- ხვალ სათევზაოდ წასვლას ვაპირებ და ბარემ მდინარეზე გარეცხე და ცხენიც მაშინ აბანავე, - ურჩია ჯალათმა ნუგზარმა ამბაკოს.

- მაშინ ზურგს მოგდებან! - ამბაკოს ძალიან უნდოდა, სტუმრისთვის ეამგინა.

- ჰო, კარგი! - შეიცოდა მასპინძელი ჯალათ გა ნუგზარმა.

- მე ზურგს მოგდებანთ, ალა კიდევ ამასობაში კარტზე გიმკოთხავებთ, თუ შეიძლება! - ისევ სთხოვა ამბაკომ.

ჯალათი ნუგზარი შეყოყმანდა და ბოლოს დათანხმდა.

ამბაკომ სამზადში მყოფ ალას გასძახა, კარტი წამოიღე და მოდიო.

ჯალათმა ამბაკომ კიტელი გიხიადა, რათა ამბაკოსთვის ზურგის მოფეხნის საშუალება მიეცა.

სამზადიდან გამოსულ ალას თან ორი სამფეხა სკამიც მოჟერინდა - ერთზე თვითონ დაჯდებოდა, მეორეზე კი კარტს გამლიდა.

- შეიძლება, თქვენი კიტელი მხრებზე მოვისხა? - მორიგი თხოვნის წარმოთქმისას ამბაკო ბავშვივით განითლდა. - მკლავებს არ გავუყრი, დედას გეფიცებით, ისე, უპრალოდ მოისხამ!

ჯალათ ნუგზარს გაეცნა და მასპინძელს მორიგი თანხმობა განუცხადა. ამბაკომ კი ჯალათ ნუგზარის კიტელი დიდის მონიშნებით მოისხამ.

სწორედ ამ დროს გამოვარდა ოდა სახლის აიგანზე ახალგამოვლიერბული მრობგავი თანდილა და თავისი სამსახურებრივი დამბარიდან ჯალათ ნუგზარის მისამართით გასარილა.

ტყვია კუჭისთავზე მოხვედა ჯალათ ნუგზარის უკან მდგარ ამბაკოს, რომელსაც მხრებზე ჯალათ ნუგზარის კიტელი მოეხსა.

ამბაკო შეპარბაცდა და სანაც გაიაზრებდა, თუ რა მოხდა, ლიმილიც კი არ შეშრობია სახეზე.

- მოვკედი! - ამოთქვა მან ბოლოს, მოცე-რილივით დაეცა და სული განუტევა.

ალას კივილმა მთელი სოფელი შეძრა.

მრობგავა თანდილამ გაქცევა მოახერხა, მაგრამ სოფელმა ის მაღლევე შეიცყრო.

ნესი მოითხოვდა, რომ მრობგავი თანდილა სხვა, მიწვეულ ჯალათს გაესამართლებინა, ხოლო მანძიდე, სანამ ჯალათის სამ-საჯაროზე წარსდგებოდა, სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც უნდა გასულოყო. ეს დრო მკვლელს იმისთვის ეძლეოდა, რომ ბოლომდე გაეაზრებონა თავისი დაბაშაული.

მრობგავი თანდილა ამბაკოს ბოსელში დაამწყვდიეს (ჯერ კიდევ არ ციიდა და საქონელი ლამაბობით ბაქში რჩებოდა) - ჯაჭვით დედაბოძზე მიაბეს. იქიდან ადევნებდა ის თვალს პანაშ-ვადებსა და დაკრძალვასაც. ხოლო ალას, რაკი ამბაკოს მხოლოდ საყვარელი იყო, დღის განმავლობაში, სხვათა თანდასწრებით მის კუბოსთან ჯდომა აკრძალული ჰქონდა. ასევე ეკრძალებოდა პანაშვიდზე მოსულ ხალხში გარევა. ამიტომ ალა ხან სოფლის შეუკაშირდებოდა იდგა, ხან კიდევ ამბაკოს ბოსტანში და ბაბლი დაბორიალებდა და ელოდა, როდის გაიკრიფებოდნენ სხვები, რათა მიცემოდა უფლება, კუბოს მიახლებოდა.

მეზობელ სოფელში გათხოვილ ამბაკოს დას სრული უფლება ბა ჰქონდა, ალა არც ლამით მიეშვა მიცვალებულთან, მაგრამ ეცოდებოდა, შეღამების შემდეგ თავის სოფელში მიეგმზავრებოდა ეტლით და ალას საშუალებას აძლევდა, ამბაკოს კუბოსთან ლამე გაეთვენებოდა.

მრობგავის გარეშე დარჩენილი ჯალათი ნუგზარი იმ სოფელში აღასრულებდა თავის მოვალეობას, სადაც მიცვალებლის და იყო გათხოვილი.

სოფელი დიდი იყო. ჯალათ ნუგზარს ოცამდე კაცი უნდა გაეროზგა და ერთი სახლი დაეწვა - ასეთი განაჩენი გამოიტანეს ქალაქში სამოვარზე წასულ სახლის პატრონს. ის იქ კუბოებს ამზადებდა და ერთი დედაბერი, რომელსაც სიკვდილის მოახლოება ეკრძონ და უნდოდა, კუბო წინასწარ შეეძინა, მოატყუა, მუხის არისო და წინფელის ხისგან დამზადებულ უბრალო სასახლე ორმაგ ფასად მიჰყედა. ქალაქელ ჯალათი კუბოების ხელოსნისთვის, რადგან ქალაქში თავისი საცხოვრებელი არ ჰქონდა, სოფლის სახლის დაწვა მიესაჯა და ის იმ ჯალათს უნდა აღასრულებონა, რომლის დაკვემდებარებაშიც სოფელი შედიოდა.

ამბაკოს დაკრძალვის დღეს კოექსპირულად წვიმდა. იმავ დღეს ჯალათ ნუგზარს ქალაქელი ჯალათის განაჩენი უნდა აღსრულებინა, მაგრამ წვიმის გამო სახლის დაწვა გადაიღიერა და ამბაკოს დაკრძალვას დაესწრო. ახალგაჭრილ საფლავთან სიტყვაც წარმოთქვა: შეიძლება ითქვას, რომ ამბაკომ მე შემომზირა თავი, რადგან მას ჩემთვის ზურგის მოფხანა რომ არ მონდომებოდა და ჩემი კიტელიც არ მოეხსა მხრებზე, მოვრალ მროზგავს ის ჩემში არ აერეოდა და ტყვიასაც მე დაბახლიდაო; და რადგანაც ამბაკო სწორედ ჭირფლებიანი მზიან სიკვდილის დღეს აღსრულა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში გადავდევარ სამუშაოდ, მაინც გამოვნასაც დროს, ჩამოვალ აქ და ორივე მიცვალებულს სულის საცხოვრებელ ნადიშმ გავმირთავ, რომელზეც ორ ხარს დავკლავო.

ამბაკოს მადლიერმა დამ და თანასოფლებმა ჯალათ ნუგზარს მაღლობა გადაუხადეს. ამ უკანასკნელმა კი წასვლის წინ ამბაკოს ბოსელში დაწყვეტებული მრობგავის მონაბულება მოისურვა. ის-ის იყო, ბოსელს უნდა მიახლოებოდა, რომ მისი კუთხიდან ალა გამოვიდა და ჯალათ ნუგზარს სთხოვა, თქვენთან დალაპარაკების უფლება მომეცითო.

- ჩემი ბრალია ყველაფერი! – თქვა ალამ მას შემდეგ, რაც ჯალათი ნუგზარისაგან თანხმობა მიღლო. – ამბაკო ჩემ გამო მოკვდა!

– კი, მაგრამ, როგორ? – გაოცდა ჯალათი ნუგზარი და ამბაკოს დას გადახედა, რომელიც უკან გამოჰყოლოდა და ახლა მის გვერდით იდგა.

– გუშინწინ ამბაკომ გამიმსხლა, ცუდი სიზმარი ვნახე და ჯალათ ნუგზარს უნდა ვთხოვო, სტუმრად რომ არ შენვიოსო. რა სიზმარი ნახა, ის არ უთქვაში. მე კიდევ კარტი გავშალე, კარტმა კი მიჩვენა, რომ ამბაკოს თავს ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამბაკოსაც ასე ვუთხარი და მანაც ამიტომ გადაიფიქრა ეთხოვა თქვენთვის, ნუ მეჩვევიოთ! – თქვა ალამ.

– უყურე შენ! – აღშფოთდა ამბაკოს და.

– ამბაკოს დალუპვის ნინა დღეს მროზგავ თანდილასაც უუმკითხავე და კარტმა მითხრა, რომ ის აუკლებლად გასძებოდა ჯალათი. ჰოდა, მას ამის შემდეგ ერთი ბენოთითაც არ ეპარებოდა ამაში ეჭვი და სწორედ იმიტომ განიცადა თქვენი უარი ისე ძალიან, რომ ჭეუა გადაეკეტა და თქვენი მოკვლა მოინდომა. ჭეუა რომ არ გადაეტევოდა და თქვენი მოკვლა არ მოენდომებინა, ახლა ამბაკო ცოცხალი იქნებოდა. ასეა ეს! – თქვა ალამ.

– უყურე შენ! – უარესად აღშფოთდა ამბაკოს და.

– ჩემს სიცოცხლეში ორჯერ მომატყუა კარტმა და ორივე შემთხვევა საბედისნერო აღმოჩნდა ამბაკოსთვის და ჩემთვისაც... დაქორნინებას ვაპირებდით.

ალამ ცრემლებს ძლიერ იკავებდა.

– გართლა აპირებდით დაქორნინებას? – ჩაეკითხა მას ამბაკოს და.

ალამ საჩვენებელი თითებით ჯერი გამოსახა და ის შებლზე მიდიო.

– სწორედ აქ დამეცეს მეხი, თუ ვტყუოდე! – დაიფიცა მან.

– მერედა, გეთქა შე დალუცვილო და დარწმუნებული ვარ, სოფელი ამბაკოს, როგორც კანონიერი მეუღლის დატრების უფლებას მოგცემდა! – უსაყვედურა ალას ამბაკოს დამდა ჯალათ ნუგზარს გადახედა: – აგერ, ჯალათი ნუგზარიც შეგანწევდა სიტყვას, ასე არ აისი?

– ასეა! – მცირე ყოყმანის შემდეგ წარმოთქვა ჯალათმა ნუგზარმა.

– სულ მოფრთხოებდა საწყალი დედატემი, ვინც კარტზე მეტისაბობა მასწავლა: კარტი კაცივითა, თუ ბოლომდე ენდე, აუცილებლად დაგლუპავსო და აგერ, დამღუპა კიდეც! – წარმოთქვა ალამ, ჯიბიდან კარტი ამოიღო და ბოსელისკენ გაემართა.

– სად მიდიოხარ? – ერთდროულად ჰეითხეს ალას ჯალათმა ნუგზარმა და ამბაკოს დამ.

ალა შედგა და ჯალათი ნუგზარისა და ამბაკოს დისკერ მიიხედა.

– კარტი უნდა დაგნება! – თქვა მან. – წუქელ ამბაკოს კუს ბისას გადავწყვიტე ასე და როცა ამის შემდეგ ამბაკოს კუს თავსახურზე უკანასკნელი გავშლე ეს საზიზღარი კარტი მან მითხრა, რომ ამბაკოს თავზე მეტად ვუყვარდო. არადა, მანამდე სულ სხვა რამეს მიჩვენებდა – იმას, რომ ბოლომდე არ უნდა ვნდობოდა და ცოლლადაც იმიტომ არ მივყებოდოდ!

ამ სიტყვების შემდეგ ალა შეტრიალდა, სვლა განაგრძო, ბოსელს გვერდი აუარა, საბძელს მიადგა, კარტი გამოაღო და შიგ შევიდა, მალე იქიდან ანთებული ლამპრით ხელში გამოიდა, ჯალათ ნუგზარსა და ამბაკოს დას გაუღიმა და ლამპარი საბძელში შეაგდო. საბძელი მაშინვე აალდა და ცეცხლის ალები გარეთაც გამოიჭრნენ.

– ამბაკოს ნახვა მეჩვეარება! – უთხრა ალამ ჯალათ ნუგზარსა და ამბაკოს დას, გაიღომა და ჯერ კარტი შეყარა საბძელში, მერე თვითონაც შეაბიჯა ლა კარში, უკვე ცეცხლმოდებულმა კარი მიკეტა და შეგნიდან ჩაირაზა.

ალა საბძელთან ერთად დაიფერფლა. ბოსლისა და ბოსელში დაბმული მროზგავი თანდილას გადარჩენა კი მეზობლებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს.

მეორე დღეს ჯალათი ნუგზარი უქეიფოდ იყო. რამდენჯერაც მოინდომა მეკუბოვეს სახლის დასაწავად წასულიყო, ცეცხლის ალში გახვეული ალა დაუდგებოდა თვალწინ და ისე ამოიხრებდა, გულსაც ამოაყოლებდა ხოლმე.

მესამე დღეს ისევ კოკისპირული წვიმა წამოვიდა და მეკუბოვის სახლი ისევ გადაურჩა დაწვას.

მეოთხე დღეს კი მროზგავი თანდილას დასაჯელდა მოვლენილი ჯალათი გამოჩნდა, რომელიც ჯალათ ნუგზარის თანაკლასელი აღმოჩნდა. მათ სკოლის შემდეგ ერთმანეთი არც ენახათ და ერთმანეთი ლეიძლი ძმებივით გადაეხივნენ.

მროზგავი თანდილა სახრჩობელადმდე თავისი ფეხით მივიდა, მერე კი გამდედაბამ უაღალატა და მუხლები მოეკეთა. ფიცარნაზე ის მოვლენილმა ჯალათმა და მისმა მროზგავმა აიყვანეს. მროზგავი თანდილას გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმის თავიც არ ჰქონდა.

ჯალათმა ნუგზარმა კოლეგას სთხოვა, საქმე რაც შეიძლება მალე მოეთავრებინა, რადგან მროზგავი თანდილა ძალიან საცოდვად გამოიყურებოდა.

სანამ ფეხებზე საყრდენი გამოცლებობდა, მროზგავ თანდილას ცრემლებიც კი გადამისცვიდა.

– არ მიყვარს ჩამოხრიბობა, ამას თავის მოკვეთა მირჩევნია!

– უთხრა ჯალათ ნუგზარს მისმა კოლეგამ მას შემდეგ, რაც მროზგავი თანდილა უკანასკნელად შეტრიდა.

ჯალათმა ნუგზარმა კოლეგა სახლის დაწვაზე დაპატიჟა. მანც მიპატიჟება მიიღო.

სახლისთვის გრძელცხირა მროზგავს წააკიდებინეს.

სახლი იმაზე სწრაფად დაწვა და დაიფერფლა, ვიდრე მოელოდნენ. ჯალათმა ნუგზარმა სტუმარს ისეთი ტონით მოუბოდიშა, თითქვა ეს მისი ბრალი ყოფილიყო.

– რას იზამ, კოლეგა, ყველაფერი რომ ისე ხდებოდეს, როგორც ჩენენ გვინდა, ცხოვრება უინტერესოც კი იქნება! – მიუგო მან. დასასრული.

მანანა მენაბდე

## პროლეტი

მოუთმენლად ელოდა მანუ ნანატრ ბიჭს... ავანიმ უკვე ერთი კვირა. გადააცილა... ბავშვი კი არა და არ აპირებდა გაჩერნას. მანუ თავს იმედებდა, იქნება ავანი გამოთვლაში შეცდა.

მძიმე ფეხმიმობა ქონდა ავანის. პირველ შვილზე იყო ორსულად. ოცდათხეთმეტი წლის გათხოვდა და მხოლოდ შვილი წლის შემდეგ დაფეხმიმდა. რას ალარ ყველოდნენ ავანიზე, რას ალარ აპრალებდნენ. ზოგიც ამბობდა, ცყის უუდუმ მოაჯადოა. ზოგს ეცოდებოდა. ზოგიც ამბობდა, დაწყევლილია მაგის გვარით... ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას... მანუს ფეხებზე ეკიდა მითქმა-მოთქმა. მთავარი ახლა ავანი და ბავშვი იყო...

სამი თვის თავზე ავანის გულყრა დაეწყო... რამდენჯერ ნახა მანუმ გულწასული შუა ეზოში. როცა გონს მოდიოდა, არაფერი ახსოვდა. მანუ გამუდმებით ფზიზლობდა. ღამეებს თითქმის თეთრად უთენებდა. ავანი ორსულობისას ისე გამოიცავალა, მანუ სანდახან ეჭვობდა კიდეც, ხომ არ შეცვალეს. დღის განმავლობაში ხასიათი ათასჯერ ეცვლებოდა, ხან მშვილი და აუღელვებული იყო, ხან ამალებული და ბენიერებით სავსე დასეინობდა ეზოში, მაგრამ ზუსტად ორ წუთში მოიქუფრებოდა და სასონარკვეთაში ვარდებოდა. სრულიად უმიზეზოდ გაურკვეველი უშველურის განცდა ეუფლებოდა. შემდეგ საძინებელში შეიკრებოდა და გულამისკვინთ იწყებდა ტირილს. მანუს გამუდმებით ესხმოდა თავს ავანის ეს ემოციური ტალღები. გამოუცდელი იყო, მაგრამ ვაკეაცურად და გაღიზიანების გარეშე უმელავფებოდა ამ ყველაფერს. ისე ელოდა პირველ შეილს, რომ ყველაფერზე თანახმა იყო. რაღაც ქვეცნობიერ შიშს ჰყავდა ავანი შეპყრობილი, მაგრამ მანუსთან ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. მანუ უსიტყვოდ ხვდებოდა ყველაფერს. თავადაც შიშს ჰყავდა შეპყრობილი და მისთვის ამ უცხო შეგრძნებას თვეზაობაში და ნადირობაში კლავდა. აბა სხვა რა გზა ჰქონდა? როგორმე ცხრა თვე უნდა გაეძლო. ახლა კაციც თვითონ იყო და ქალიც.

ბოლოს ისე ხელხავინად ითევზავა და ინადირა, რომ ორი-სამი თვე მშვიდად შეეძლოთ ყოფნა. თვეზიც და ხორციც სამყოფად იყო სახლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უთენია დგებოდა. ღამით კი ფხიზლობდა, მანუს დარაჯობდა.

ამ ღამით მკვდარივით ეძინა. არც კი შეუტყვია, როგორ წრიალებდა ავანი. მერე როგორ ადგა და საცხე მთვარის შეზე როგორ ლოცულობდა.

ძილიშვე შეიძყრო ავანი გაურკვეველმა ღელვამ. შეშფოთებულს გამოედვიძა. თვალი გაახილა, მაგრამ ვერ გაერკეა, რამ გამოაღვიძა. გული ამოგარდაზე ჰქონდა. ცუდ სიზმარს დააბრალებდა, მაგრამ კარგად ახსოვდა, რომ არანაირი სიზმარი არ ენახა. იმაზე მეტად იყო შეშფოთებული, ვიდრე ხელა

ორსულობის დროს. სული ეკვროდა. პაერი არ ყოფნიდა. ბალში გავიდა და გრილი სიო რომ შეეხო მის მუქ-ყავისფერ სახეს და სხეულს, ცოტა შვება მიეცა. წყალი შეისხა სახეზე და ჯამში დარჩენილი ცივი რძე მოსვა. სავსე, უდარდელ მთვარეს ახედა და შენი ბრალია ყველაფერი, თვალებით უთხრა. მთვარემ თითქოს დაირცხვინა, ღრუბლებში ჩარგო თავი. კიდევ კარგი, სინდისი გქონია, რახან ასე მემალები, დაანია ავანიმ ნაფიქრალი მოვარეს და თავისი ლოცვა სამჯერ გაუგზავნა სადაფისფერ ღამის მეფეს:

„აპა, ნაიღე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ აპა წაიღე ჩემი სახე, გაუხარელი სახე ჩემი./ მე კი მომეცი შენი./ მას შემდეგ, როცა შენს თავს უკვდები, /კვლავ გვევლინები, კვლავ გვიპრუნდები./ აპა, წაიღე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ აპა, წაიღე ჩემი სახე, გაუხარელი სახე ჩემი./ აპა, წაიღე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ რომ დაგემსავასო, რომ დაგემსავასო, / ძენიერება რომ დამებედოს, / რადგან შენ ცოცხლობ ძეველებურად, ცოცხლობ და ცოცხლობ, / მანც ანათებ სიკედილის შემდეგ // აპა, წაიღე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ აპა, წაიღე ჩემი სახე, გაუხარელი სახე ჩემი.../ ერთხელ დამპირდი, ხომ გახსოვს ერთხელ / ბედნიერები ვიქებოდით მე, შენ და შენ, მე! / რომ ბედნიერნი ვიქებოდით მას შემდეგ როცა, / როს წავიდოდით ამ ქეცენიდან / ჩვენ ნავიდოდით ბედნიერება... // აპა, წაიღე ჩემი სახე, / აპა, წაიღე ჩემი სახე, / აპა, წაიღე ჩემი სახე, / აპა, წაიღე ჩემი შენი...// მე კი მომეცი შენი... შენი.//

შემდეგ ძლიერდილი ვორი მუხლი ბაბაბის ხესან, სამჯერ შემოუარა და თან სიმღერით უთხრა ლოცვა ღმერთს:

„იეეე დინიეე... / იეეე დინიეეე... / ოოო ტიე დინიე / ოოო ტიე დინიეეე // იე მოღვააა... / იე მოღვააა...// ოოო ტიე მოღვააა / ოოო ტიე მოღვააა... // ლესედიზე კეტიე დინიე / ლა ტერედი კეტიე დინიე...// ოოოო კეტინე... / ოოო ტიე დინიეეე... / ოოოო ტიე დინიე...// ოოოო ტიე ტინიე...//“ და უფრო იმედიანი დაუბრუნდა სანოლსა და მძინარე მანუს.

მანუ უთენია ადგა და კედლისკენ მიბრუნებულ და გატრუნულ ავანის რომ დახედა, გულში სიხარული ჩაეღვარა. სინაესო, იფიქრა. ფრთხილად აკოცა მხარზე. მერე ბოსელში შევიდა, ძროხა მოწველა, ქათმებს საკენკი დაუყარა, ღორებს სალაფავი დაუმატა. ბოსელი მიალაგ-მოალაგა...

დილა თითქოს გუშინდელზე ცივი ეჩვენა. თავის გამორჩეულ გრძელ ხის სკამზე ჩამოჯდა და თავი ცისკენ გადადაგდო. კარგა ხანს იჯდა ასე ცისკენ მიშვერილი სახით და არაფერზე ფიქრობდა... შეამცირა და მთელ ტანში ცივმა ურუანტელმა დაუარა. სწრაფად ადგა და ისევ გატრუნულ ავანის მიუწვა. ალარც ახსოვს, როგორ ჩაეძინა...

შუადღისას, მზეს თითქოს ბინდი გადააკრესო, ირგვლივ სახლ-ეზოიანად ყველაფერი მოიქუფრა, გრიგალის წინ რომ იცის ხოლმე, ისე. რაღაც უცნაურისა და გაურკვეველის მოლოდინში ცას სახე ჩაუშავდა. სიმშვიდემ პირი იცვალა და მანუს გულმის სართულებად იწყო ასვლა-ჩასვლა... თანაც ავანის სახე არც კი შემოუტრიალებია მისკენ, მთელი დღე გაურცევლად კედლისკენ იყო მიტრიალებული. ამან მთლად აფოროაქა. რამდენჯერმე ფრთხილად დაუძახა, დაპურება სცადა. ხან რა შესთავაზა ცოლს და ხან რა, მაგრამ ავანი ხმას არ იღებდა. მანუმ ისევ სიჩუმე ამჯობინა.

სწრაფად ჩამობნელდა. დამეც უმთვარო და ბნელი ყიყ.

გარისურაჟზე ავანის შეტევა დაეწყო... მანუ უკვე მზად იყო ასეთი დღისთვის. ცოლი დიდ თბილ თავშალში გაახვია, და ხელში აყვანილი ურტმთან მიიყვნა. ლეპი და ბალიქები უკვე გამზადებული პერნდა. ავანი ფრთხილად წამოანგინა, ცხენები თვალის დახამხამებაში შეაბა და ორივეს ურმობლად გადაპერა გავაზე მათრახი...

ნახევარი გზა ავანი ხმით ტიროდა... ცოტა ხანში ტეკილმა დაღალა და გაჩერდა. ტეკილს შეეჩია, თუ ტეკილმა უკვლო, მანუს ამის გასარკვევად ალარ ეცალა... გამტებით ურტყამდა და ურტყამდა გავაზე ცხენებს დიდ სახრეს. გზასაც ვერ ხედავდა. ქარივით მიჰქეროდნენ ტეკილისაგან გამზრებული ცხენები... ალბათ თუ ფიქრობდნენ, ასე რამ გადარია ჩვენი პატრონიო... სამი საათის გზა საათნახევარში დაფარეს გაქაფულმა ცხენებმა.

ხელში აყვანილი შეიტან მანუმ უგონო ავანი აშასთან. აშამ დახედა თუ არა მომლოგინეს, ფერი დაკარგა და ლუდლულით თქვა, ბევრი წყალი დაულევრიაო... მანუ აშასთან მიიქრა და რაც ძალი და ლონე პერნდა, ნკლდრევა დაუწყო... დამხმარე ქალებმა ძლიეს ააგლიჯეს მანუ აშას. მანუ არ ცხრებოდა. იმუქრებოდა, თუ ავანის და ბავშვს რამე შეემთხვა, იცოდე აქაურობას ერთიანად გადავბუგავო. აშამ ერთ-ერთ დამხმარე გოგოს რაღაც წასჩურჩულა. გოგო ტყვიასავით მოწყდა ადგილს და თვალს მიეფარა...

ბაგში მკვდარი დაიბადა.

ამჯერად, როგორც იქნა, ვაგონის ფანჯარასთან მოიპოვა ადგილი. მგზავრები მოწყენილი სახეებით ისხდნენ. ალბათ თოთოეულ მათგანს ერთი სული ჰქონდა სახლამდე მიეცინა და აქაფებულ პაბაზანაში ჩაეყვინთა. შემდევ მყუდროდ მოწყობილ იყო მისთვის ყველაზე საყვარელ ადგილს, ჩაერთო ყუთი, რომ დარჩენილი საღამო „ტერმინატორთან“ ან რომელიმე პოპ-ვარ-სკვალაგთან ერთად გაეტარებინა!

მარტოსულ ცხოვრებას თავისი დადებითი მხარეც პერნდა: ის, რომ არავის წინაშე არ იყო ვალდებული. რა კარგია, როცა თავის მართლება არ გიხდება არ მის გამო, რატომ არ მიმზადე სადილი, რატომ დაიგვიანა, რატომ ხარ ცუდ ან კარგ ხასიათზე, რატომ კითხულობ შეაღმედდე... ახლა კა მრავალი „რატომ“ მას უკვე აღარ ეხებოდა. მიტომაც, თუ უნდოდა, ცუდ ხასიათზე იქნებოდა, თუ უნდოდა – კარგზე. რაც სურდა, იმას იზამდა და რასაც არ მიისურვებდა, იმასაც! მოკლედ, არავის წინაშე არ უჩდებოდა თავის მართლება. ეს თავისუფლებას ანიჭებდა და დიდ კომფორტს უქმნიდა! რა ექნა, თუკი მარტოობა, სიმშვიდე და თავისუფლება უყარდა?

წლები უკვე ლალი ჩიტივით ცხოვრობდა. ისე, კაცებიც დიდხანს არ ყოვნდებოდნენ მასთან. ჭუა არ ჰყობინდა, ცოტა მაინც სულელ და სუსტ ქალად მოეჩენებინა თავი. ამის გამო ყველა ურთიერთობა მოკლევადანი გამოიდგა. ეს მისი მშვინეული მარტოსული ცხოვრება ცოტა არ იყოს დროში გაიწელა... ადამიანი ბედს ვერ შეეკამათება და ვერც სილას უთავაზებს. ამიტომაც იმას სჯერდებოდა, რაც პერნდა. ჭორებიც ფეხებზე ეკიდა.

მშობლები აღრე გარდაცვალა. ერთადერთი ძმა მაშინ გამოჩენდებოდა მზესავით, როცა უჭირდა. ბოლო თოხი წელი კი ასე უმუშევარი დადიოდა. ეცადა მაინც რამე, ან მუშად წასულიყო, ან ტაქსის მძლოლად შენც არ მომიკვდე, ყველაფერი ფეხ-ებზე ეკიდა. რამდენჯერ სცადა, რამდენჯერ აუსხანა, ხან ეჩსუბა, ხან დაუყვავა, მაგრამ რა... შეაყარე ეცდელს ცერციი. ძმა ასეც მშვინევრად გრძნობდა თავს. აპა რა უნდა ექნა?! აյ რეინის ნერვები, დათმინება და ნებისყოფა იყო საჭირო! საკუთარ ძმას თავისი კაცებივით ხომ ვერ მოიშორებდა თავიდან?

ერთი თვისების გამო ნაცნობ-მეგობრები ცოტა უცნაურად თვლიდნენ, საკმარისი იყო რაიმე ნაეკითხა, ან ფილმი ენახა, რომ ზუსტად წიგნის ან ფილმის გმირივით იწყებდა მოქცევას. ხმის ტემპრიც კი ეცვლებოდა. უურნალისტიკის ფაკულტეტისა დამთავრების შემდევ ქალაქის ცენტრალურ გაზითში რედაქტორის ადგილი შესთავაზეს. ათი წელია ერთ ადგილას იყო და ერთ ადგილას ყოფნის მუდმივობა ახარებდა. მოკლედ, ბედს არანა-ირად არ უჩიოდა.

დღესასწაულებზე სახლში იჯდა. საყვარელ წიგნს აიღებდა, ლოგინში შეწევბოდა და იქამდე კითხულობდა, სანამ ასოების სიმძიმისაგან ქუთათოები არ ეხუჭებოდა. ის საინტერესო ადგილები და აზრები, რომელიც განსაკუთრებით უფორიაქებდა სულს, წიგნში ფანჯარები კონდა შემოხატული და საუბრის ან კამათის დროს რომელიმე ფრაზას ისე მოხერხებულად ჩასვამდა ხოლმე, თითქოს მისი საკუთარი ყოფილიყო.

დღეს მეტროს ვაგონი ბაგში დაიბადა. მათი გაუჩერებელი ყაყანისგან თავებრუ დაეხვა. „რაღა მაინცდამაინც

აქ ჩასხდნენ...“ – სულ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა. ბავშვები – მომავლის იმედი კი წიგილ-კივილით დაქქროდნენ ვაგონში, საღეჭ რეზინის იცონებოდნენ და ბერავდნენ. კველაფერი ფეხზე ეკიდათ. მგზავრები უემოციოდ მისტერებოდნენ სიცარიელეს... მასში ზიზძის იწვევდა, როდესაც საღეჭი რეზინა იბერებოდნა და ხმაურით ასკედებოდა ბიჭს ან გოგოს სახეზე. თვალები დახუჭა. უეცრად, ერთ-ერთ გატერებაზე ყაყანი შეწყდა. თვალები გაასილა. ბავშვები ფანჯრებს მიღმა ფუტკრებით ბზუღდნენ. სიჩქმეს ახლა მხოლოდ მატარებლის ყრუ, ვერტიკალური გუგუნი ხვრეტდა...

დოს ბოლო იყო და ამიტომ ვაგონი ყოველ გატერებაზე გაუმაძლარი გველებაპივით ყლაპავდა მგზავრებს... თანდათან სივდებოდა მისი სტომაქი, თითქოს არავინ აპირებდა ჩასვლას. რამდენიმე გატერების შემდეგ ვაგონი ისე გადაიგისო, რომ სუნთქვა შეუძლებელი გახდა. ამ ჭეჭყვაში თავებს ზემოდან მომთხოვნი სოპრანო გაისმა: „Fუდუ, Fუდუ!“ ხმა აშეარად მიჩვეული იყო ბრძანების გაცრმას. რამდენიმე წუთის შემდეგ ხმამ კვლავ შეხსენა მგზავრებს თავი: „Fუდუუუ, არ გესმის? ხომ გითხარი არ მომცილდე-მეთქი!“ სოპრანომ მჟავე ქლიავივით კბილები მოჭრა და გაღილიზინებულმა გაითიქრა: „რა მნიშვნელობა აქვს ნეტა, ამ ჭეჭყვაში Fუდუ სად იქნება?!..“ ცოტა ხანში შენგებებულ სხეულებს შორის Fუდუს პამილორივით აწითლებულმა და დამაშავე სახემ ამოყვინთა. დაფას ჰევდა. ჩია იყო. თავზე გაუგებარი ფორმის ქუდი ეხურა. გეგონებოდათ, რამდენიმე თვავა საჭმელა არ უჭამათ. ხელებში ცელოფანის სავსე პარკები ეჭირა. ზურგზე სპორტული, პირამდე გადატენდოლი უზარმაზარი ზურგჩანთა ჰერნდა აკიდებული, გასაბერ სახლს ჰევდა და სახურავის მაგივრად დად სათამაშო სპილო ედო. ამ კველაფერს შორის Fუდუ ნერტილივით მოჩანდა. ამოყვინთა. ნამით შედგა, სული მოითქვა, ვაგონში დარჩენილი უანგბადი ღრმად შეისუნთქა, თავი მხრებში ჩარგო, ნარბები შეკრა და დატრილი ხარივით, თავგამეტებით, თავით გადაეშვა შენგებებული ბრძოს უფერულ მორევში. „Fუდუუუ... მოხვალ დროზე, თუ არა!“ – კვლავ გაისმა დაუინებული სოპრანო. „ნეტა რა ქვია ამ მომთხოვნ ჩიტუნას – ბააკო, ბესით თუ ეზი? იქნებ აზა ან იზუმი?..“ – დაინტერესდა. „იქნებ მარგარიტა? არა, არა... მარგარიტა ალბათ ცოცხზე შემომჯდარი დამის ქალაქ დასტრიალებს თავს...“ – დაასკვნა. სუთ-ექვს გატერებაში უნდა ჩამოსულიყო და ამიტომ მგზავრების თვალიერებას მიჰყო ხელი... ზუსტად მის პირდაპირ ასალგაზრდა კაცი ჯინის ქურთული და ყურმილებით, თვალდახუჭული იჯდა. ეტყობა მუსიკას უსმენდა. ასეთი სახით სხვარა რას მოუსმენდა აბა?.. „შენსავით ნეტარი სახე აქვს, ჯანვა. ამასაც საკუთარი სიამოვნების მტე არაფრი აინტერესებს, ლურსმნის მტედება რომ ლურსმნის მიტედებაა, ისიც არ შეგძლი. სამსახურში ნავიდოდი, ინექი და მუსიკას უსმენდი. მოვიდოდ, კვლავ ინექი და ტელევიზონის უყურებდი... თვალის ასახვევად მაინც წაგეკითხა რამე...“ – გაეფიქრა „მძინარე მზე-თუნახვის“ შემხედვარეს და ფიქრს ფიქრი წამოენია... ამ ბიჭუნებს, რომლებიც თავს არიდებდნენ მეტროში ან ავტობუსში ადგილის დამობას, „მძინარე მზეთუნახვებს“ ეძახდა... რა თავში იხლიდნენ აბა ვიღაცის გულისტვის 6-7 გატერება ფეხზე ჯანჯლარს? არავის სურდა სანუკვარი ადგილის დათმობა! ცოტა

ხანში მზერა ახლა მეორე „მზეთუნახავზე“ გადაიტანა. ბიჭს ცხვირზე მოდური შავი სათვალე ეკეთა. არ ირხოვდა. გეგონებრდათ სკაზე ლურსმნებით მასტედესა. მუქ ღლურჯის ედუგან-ტური კოსტუმი ლამაზად აჯდდ ტანზე და მხრი-ბზე. რუზი საზებით განცობილი ასეთივე ფერის წვრილი ჰალსტუხი ეკეთა. „დოლჩე და გაბანას სურნელებას აურქევედა. მაღალ ფეხებზე, რომლებიც წვეტარი მუხლებით მთავრდებოდა, შავი ტყვავით თხელი ჩანთა ედო, როგორსაც საქმის ხები ატარებდნ ხოლმე. ფეხებზე მოლური რუზი ფერის „ნაიკები ეცვა“. თბებიც მოდაზე ჰერნდა შეკრეჭილი. შავი შუშების მიღმა თვალები არ უზანდა. გაუგებარი იყო, ბიჭი უურუბდა მას თუ ეძინა?!. „ჩემთვის სულ ერთა, მიყურებ თუ გინახას. შენთან ცხოვრებას მაინც არ ვაპირებ! შენც ყველა კაცივით ეგონისტი ხარ და საკუთარი თავი ისე გიყარას, რომ ვერავის ვერ ამჩნევა... კაჭებში გეტყობა, რაც ხარ! დარწმუნებული ვარ, რომ შენს ქალებზე მასაცებში ჭორაობ და ტრადახით კვდები. ისე ამაყად ზიხარ, გეგონება ბრედ პიტი იყო...“ – თვალებით მკაფრად გაზიმა.. „საანტერესოა, ახლა ვის აბამ და უკოცნა ხელებს ბადდ?..“ – მზერით ხვრეტდა „ბრედ პიტი!“. „ეპ, ბადდი, ბადდი... ფასასავით ცხოვრობდა. საკურასავით ყვაოდი ჩემთან. ვერ შეიფერ ძვირფას. მეტი რა გინდოდა?! პატარა ბავშვივით გივლიდი – გაჭმევდი, გასმევდი, გირეცხავდი და გიუთოვებდი... სულ უკამყოფილი შეიძლება ადამიანი იყოს?..“ „სწორედ, რომ საკურასავით ყოფნა მომწყინდა“. – ასეთ პასუხს ნამდვილად არ მოელოდა... „რა სურდა აპა თქვენს ალმატებულებას?“ „როგორ თუ რა?!.. მე მართლა ბალახი ან ხე ხომ არ ვიყავი? მთელი დღე გელოდებოდი... შენ კი... სამასახურის შემდეგ, იმ ნამსვე ტელეფონს ეცემოდი, საათობით ლაყბობდი რაღაც სისულელებზე. მერე ან წიგნში იყავი ჩაფლული, ან კიდევ ვიღაცის ტექსტს უკირკიტებდი...“ – ეს უკვე ნამდვილი სითავედე იყო ბადდილისან. გაცხარდა. „თუ არც ხე და არც ყვავილი ხარ, მთელი დღე გასათხოვარი ქალიშვილივით სახლში რას მეჯექი?!.. გარჯვლიყავა, სამუშაო გეშოვნა! რაღაცით მაიცა დაკავდებოდა. მთელი დღე მუაქასავით არ ეგდებოდი ტახტზე... მადლობა უფალს, რომ ბავშვი არ გავაჩინე შენგან. ახლა ორივე ჩემი მოსავლელი იქებოდით...“ ბადდი დუშმდა. არ მოენონა უბასუხოდ რომ დარჩა. თავი გააქნია. ფიქრი თავიდან მოიშორა. ამასობაში ვაგონის მუცელი ცოტა ჩაჩუტულიყო. ვაგონის სილრმიდან ჩემი ხითხითი და გაუჩერებელი საუბარი ისმოდა. როგორც იქნა „ბრედ პიტი“ მზერა მოწყვიტა.

თვალებით მიაკვლია იმ ადგილს, საიდანაც ხმა მოძოოდა. შუახინის, საშუალო სიმაღლის, ჩაფარვილი კაცი მთელი ტანით მიყრდნობოდა ვაგონის კარს, სადაც ენერა, საშიშია, ნუ მიეყრდნობითო და მობილურით ელაპარაკებოდა ვიღაცას. კაცს უბრალოდ ეცვა. ქცევაზე ეტყობოდა, ქალს აბამდა. ასეთი სახით ცოლს რომ არ ელაპარაკებიან, ამას წყალი არ გაუვიდოდა! ლამბდა უხილავ ქალთან სასიყვარულო ძაფების გაბმას. ცაც რომ ჩამონგრებდა თავზე, ვერაჯერს შეიტყობდა, ისე იყო გართული სუბრით. ამის შემხედვარეს მოგონებებმა ისევ შემოუტიეს... „ლმერთი ჩემო, როგორ ცდილობდი განჯუ თავიდან ჩემს შებმას... დღეში ასჯერ მირეავდი, მოსვერებას არ მაძლევდი... თავი გაიგიუ პირდაპირ. შენი განაბდე, თუ არა, თოთქოს შეგცვალეს, მატერიალები და ძალას მართვედი. სულ შენს დამშვიდებში ვიყვაი, სულ რაღაცის ახსნში და თავის მართლებაში. რა გქონდა ნეტა ჩემი დასამშვიდებელი?!... კარგა ხანი კი მაბრუებდი... გამზუდმებით დეპრესიაში იყენი. რისგან გქონდა დეპრესიით ნეტა?! თავზე გყვებოდა და გელოლიავებოდი. გამშვიდებდი, განცარებდი, გეფერებოდი. ეეეშ... ჯერ სადა ხარ ძეირფასო, დაგიპყრობს და სულ მაღალ დაგიქნებს ხელი!“ – მიმართა კაცის უხილავ სასყარელს.

„მარტო ცისფერი თვალები და მოკლედ შეკრილი თმა რომ შევლოდეს კაცს ჩემი განჯუ, არგი დაგემართოს. მამა კაცის დეპრესიები ძნელი საყურებელია... ქალის დეპრესია ხომ არ უწინა ღმერთს და ახლა კაცის რა ასატანია, ხომ ნარმოგიდებნია? შენი ისტერიკები აღარ გათავდა.. სად მქონდა შენ დეპრესიების თავი...“ „უბრალოდ არ გიყვარდა. თორემ დეპრესიები არაფერ შეუშია...“ „არ მიყვარდი?!.. რომ არ მყვარებოდა, რა მრჯიდა ნეტა?!.. იცი, რისგან იღლებოდა, უსაქმერობისაგან, ლრჯვო ხასიათისგან, ეჭვისგან და საკუთარი დეპრესიების სგან. ცოლად რომ გამოგყოლოდი, რას მიზანდი, ნარმომიდებნია! კიდევ კარგი, დროზე დაგშორდი. დამიჯერე, შენთვის ასე ჯობს! იძოვი ვინმეს, რომელიც ჩემზე მეტად დაგამშვიდებს გადაგვება და მაგ გადაპარსულ ქერა თმაზე ხელს გადაგისვამს“. – შევბით ამოისუნთქა. მეტროს მატარებელი გაჩერდა, ნანილი მგზავრებისა ჩავიდა, ხოლო ვაგონში შემოსულებს „პიგ-ბაკის“ მძაფრი სუნი შემოჰყვათ. თავი მიაბრუნა, საიდანაც სუნი მოძოოდა. ცოტა მოშორებით შუახინის კაცი მეტროს კართან იდგა, ფეხებთან დიდი ზურგჩანთან ედო და ფილოსოფიურად მიირთმება „პიგ-მაკს“. „ღმერთი ჩემო, როგორ შეუძლიათ ნეტა ასეთი ზუნზლიანი ხელებით.

საზოგადოებრივ ადგილებში ჭამა... პირდაპირ ზედგამოჭროლი დენისია. რამდენს ჭამდითი... მე კიდე ჩიტივით ვჭამ და მაინც ესუქედები“. თავი სწრაფად მიაბრუნა ფანჯრისაკენ, რომ აღმართ დაერახა „პიგ-მაკიანი“, მაგრამ სუნი გულისამრეგად უდიტორებულ და ნესტოებში.

„შეიძლება კაცი მუდამ მშიერი იყოს?!. რატომაა სტომაქი კაცისთვის ყველაზე მთავარი?!. ჩემ მტერს მშიერ კაცი!“ კვლავ გახედა კაცს, რომელიც გართული იყო ქამაში. ქამას მორჩა, თითები აილოვა და შარვალზე აისვ-დაისვა, კარის სიშავეს მსუყე მზერ მიაპტერდა. ცოტა ხანში მსუყედ ამოაბოინა. ამის შემხედვარეს კინანი გული აერია. „რა მხარეს უნდა ეძიო ნამდვილი კაცი? ყველანი დინოზავრებივით ამონყდნენ...“ „კიდევ კარგი, არცერთი ჩევნგანი მომაბეზრებლად არ ტრიალებს შენ ცხვირინ და შენს სარკესავით პარკეტს არ აჭუჭყიანებს“. – ბორბლების ხმაურთან ერთად ნანასავით ჩაესმა გვერდიდან... ხმა არ გაუცია, უბრალოდ ისე ამოიხრა, გეგონება ყველა მამაკაცი ერთად ამ ოხვრას ამოაყოლაო.

ყოველ გაჩერებაზე დიქტორის ხავერდოვანი ხმა მგზავრებს ახსნებდა, ყურადღებით ყოფილიყვნენ თავიანთი ნივთების მიმართ და პატარებისთვის, მოხუცებისთვის და ინვალიდებისთვის ადგილი დაეთმოთ. დიქტორის მცდელობის მიუხედავად, მაინც არავინ ფიქრობდა მოპოვებული ადგილის დათმობას! მოკლედ, ვაგონი „მძინარე მზეთუანავებით“ იყო გადავსებული.

უცებ მოგჩვენა, რომ ჩასვლის დროა. წამოხტა თუ არა, ხალხის ტალღად ვაგონიდან სადგურზე გადმოაფურთხა და კარი ცხვირინი ხმაურთ დაიკეტი. აღმოჩნდა, რომ სხვა გაჩერებაზე ჩამოვიდა! კედლის საათი 20:30-ს უჩვენებდა. ამ დროს მატარებლები იშვიათად ჩნდებოდნენ ხოლმე. სკამებიც არ იყო. ფეხზე ლოდინი დაეზარა. ნერვიულობასაც აზრი არ ქონდა. ამიტომ, სახლამდე ტაქსით წასვლა გადაწყვიტა.

ზაფხულობით გვიან ბეჭდებოდა. სანამ ტაქსის ელოდა, ჩვეული გულისყურით იქაურობას მოავლო თვალი... ადგილმდებარების შესწავლასა და ხალხის თვალიერებას მიჰყო ხელი... უცრად მისი მზერა ანგესივით გამოედო მაღალ, ქერა, ცისფერი თვალება, ასე 40-ოდე წლის ძეირგვასად ჩაცმულ კაცს, რომელიც სრულიად არ ეხამებოდა აქაურ პეზაზს. კაცს რაღაც ჟექნდა მიმზიდველი, მაგრამ ამავე ძროს რაღაც უსიმოც იყო მის სახეში. საოცრად ნაცნობს ჰეგვადა, მაგრამ ვერ გახსენენ სად ყედა ნანახი. ცოტა ხანში კაცმა ტუჩები ამოძრავა, თითქოს მღრისის და ბურტყელი დაწყო... შემდევ კი ადგილს მოწყდა... სახლში სწრაფად მოხვედრის სურვილი და დალლილობა სადღაც გაქრა. ფეხები, რომლებიც რამდენიმე წუთის წინ უძუუდნენ, თავისით აეკიდნენ კაცს...

ფეხდაფეს მისდევდა და ცდილობდა თვალსაწირში ჰყოლოდა. როცა დარმზენდა, ყველაფერი ამ მხრივ რიგზე იყო, უფრა დეტალურად დაიწყო კაცის შესწავლა – კაცი ისე მიდიოდა, გეგონება ცეკვასო, ნამდვილი ავაზასავით მორჩაოდა, თეთრ ზანგს ჰეგვადა. ეს ყველაფერი რაღაც უცნაურ შეგრძნებას ინვევდა... რაღაც ტკივილადე ნაცნობი იყო კაცში. წვალობდა, მაგრამ ვერა და ვერ ისესწებდა. ასე ტვინის ჭყლეტას არანაირი აზრი არ ქონდა.. ამიტომ კაცის, შესწავლა განაგრძო.

კაცს ტყავის ქურთუები ბოლომდე ჰქონდა შეკრული. მარჯვენა ხელი ისე მიეღო მკერძოზე, თითქოს ქურთუები რაღაც ძვირფასს მაღავსო. ღია ფერის სვიტერის ყელი ქურთუების საყელოდან მოუჩანდა. ლურჯი ჯინსები ლაზათიანად აჯდა გრძელ, თხელის და ლამაზ ფეხებზე, რომელებიც ახალთახლო მოდური ფეხსაცმელებით მთავრდებოდა. მხარზე საკმონდ ძვირადლირებული ტყავის ზურგჩანთა ჰქონდა მოგდებული. მოკლედ, მოდაზე ეცვა! ამ ყველაფერა უფრო გაუმდაფრა რაღაც ძალზედ შორეულისა და ნაცნობის შეგრძნება... კაცის ხელებისთვის უნდოდა შეეხედა, მაგრამ ვერ მოახერხა.

კიდევ კარგი, დღეს ფეხზე კედები ეცვა და ამიტომ მსუბუქად და ფეხსაცმელი მიყვებოდა კაცს. ახლო მანძილი ურლვევდა იდუმანი თვალთვალის განცდას, ამიტომ მოპირდაპირე ტროტუაზზე გადავიდა. ასე ბერად უყენესი გახდა თვალთვალი! კაცი უფრო და უფრო უმატებდა ნაბიჯეს... მეკრძალ და თავი ისე ჰქონდა წინ გაგდებული, გეგონებოდა სხეულის ეს ორი ნანილი ყველაზე აღრე უნდა მისულიყო დანიშნულ ადგილას.

„სად მიეჩარება ნეტა? – საქმიან შეხვედრაზე, თუ ქალთან? იქნებ ჯაშუშა? ჰორ... ჯაშუშს ჰეგავს. ხომ შეიძლება ვანმე უთვალთვალებდეს...“ – ფრთხილად მიიხედ-მოიხედა... რომ ვერავინ შენიშვნა, ცოტათი დამშვედდა. თავში ჭიანჭველებივით ირეოდა ნაკითხული და კინოში ნანაზი ყველა დეტექტივი და თრილერი... ბევრს ეცადა, მაგრამ ფიქრებს ვერაფერი მოუხერხა. კაცი ნამდვილად სადღაც ჰყავდა ნანაზი... მაგრამ სად?!.. ეს შეგრძნება ტვინსა და გულს ულრინდა...

იშვიათი გამვლელი აჩქარებული ნაბიჯით, ეჭვიუტანლად ჩაივლიდა ხოლმე და მოსახვეში, სადარბაზოში ან რომელიმე ეზოს ჭიშკარში უჩინარდებოდა.

ამასობაში შებინდდა.

ძალა მოიკრიბა. გონება ზედმეტი ფიქრისგან გაითავისუფლა და იმ შემთხვევისათვის, თუკი კაცი მართლა ჯაშუში აღმოჩნდებოდა, გეგმის დასახვას შეუდგა. მობილური ტელეფონი ყოველი შემთხვევისთვის ჩანთიდან ქურთუების ჯიბეში გადაიტანა. თავში კვლავ აირ-დაირია მოგონებები: „უსამოა, როდესაც ვერც კარგს და ვერც ცუდს იტყვი ადამიანზე. ჩემი ტაბო, რომ მომკლა, შენზე ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ ერთი კას, ნარცისიერთ შეყვარებული ხარ საკუთარ თავზე. ღმერთი ჩემი, როგორ უცლიდი მაგ თხასავით წვერ-ულვაშს. ამდენი საკუთარი თვეისთვის რომ მომევლო და მიმეხედვი, ჩემს ძედს ძალი არ დატყეფდა. საცოდვი სარეკ, შენი შემხედვარი... სიმართლეს გეტყვი და ასეთი არაფერი მინახავს... რამდენს ეწოდო ამ ბალახს. სულ მთლიად გამოშტერდი... შენი გარენარი სახე ხომ მანც გამოაჩინები დღეს. ისე ამარიდე თვალი, გეგონება კისერზე გეკიდებოდი. „გამარჯობას!“ რაღა ედგა წინ? ალაპათ ახალი ნაშიგოსი შეგეშინდა. ვის დარჩენისარ ერთი ნეტა ვიცოდე? გეგონება, კაზანოვა მყავდე. ხომ არსებობენ ბუნებაში ნორმალური კაცები და მეს სულ კრეტინები რატომ მხვდება?!.. საცაა 40 ნლის გავხდები და ჭკვა მანც ვერ ვინახვლე... ეს როგორია ნეტა?!“ – მოკლე მზერა ესროლა კაცს, რომელიც ისეთი სისწრაფით მიდიოდა უკვე, თითქოს მიფრინავს... „ჩუმ შიზოფრენიკს ჰგავს. რა თავში

ვიხლი ნეტა ფარულ აგენტებსა და 007-ებს?!.. ისეთი ბედი მაქვა, ამის გვულისთვის ან სადმე ჩამოგავე ან ციხეს მახეხინებენ... რა მრჯვიდან ნეტა, რომ გამოვყვევი? ვინ მტკერეშეორებული? ასე ჩემზე, თუკი რამე სისულელეში ამოვყოფ თავს. არა, არა... ექცერიმიტებებს უნდა შევეტვა!“ ხომ იცი, ნათეავამია, ადამიანი თავისი თვალში დირესაც ვერ ხედავს და სხვისაში ბენგვაც ამჩნევს, ჰოდა, ხომ იცოდი რომ ბალახსაც ვენევოლი და დეპრესიებიც მტანჯავდა? ვინ გეხვევბოლი ნეტა იმ ღამეს ჩემთან რომ დარჩი და აღარ ნახვედი?“ – კვლავ ჩაესმა გვერდიდან...

გონს მაშინ მოეგო, როდესაც ქუჩა მოსაწყენი ერვენა. „აგენტი – 007“ არსად ჩანდა. ადგილს მოწყდა... ქოშინებდა. აგურით ნაშენებ ძველ სახლთან გაუხვია და ერთ ადგილის გაბევდა. ასალვაზრდა კაცი ნელში კითხვის ნიშანივით მოხრილი სანაგვეში იქებებოდა... ქალაქის აღმოსავლეთ რაონებში ჯერ კიდევ იდგა, ძველი, დიდი რკინის ნაგვის ყუთები. ამ ქუჩაზე კი სულ ოთხი სანაგვე ყუთი იდგა. კაცი ნერვიულად იქებებოდა და ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობას.

კაცის ყურადღება რომ არ მიეპყრო, ბაღში შევიდა. „Blow-up“-ის გმირივით რაღაც უცნაურისა და მოულოდნების მოლოდინში ბუჩქებს უკან გაიყურსა. გულს ბაგა-ბუგი გაძექოდა... ბუჩქები ოდნავ გადანია და ინანა, რომ ფოტოაპარატი არ ჰქონდა თან.

დიდხანს დაგომისაგან ფეხები სულ დაუბუშდა. ზურგი აეწვა დაღლილობისგან, მაგრამ ცნობისმიყვარეობა თავისას შვრებიდა. როგორც ჩანს, კაცა ის ვერ იპოვა, რასაც ექტებდა და ახლა მეორე სანაგვეში გადიანცვლა. „ისე, თუ მართლა ჯაშუშია, კა უნდა იცოდოს ამანათი სად დევს! იქნებ მოატყუილეს? ისე რა აუცილებელია მაინცდამინც ჯაშუში იყოს?!.. იქნებ მილონერია, მოწყინდა და უპრალი ერთობა? სისულელეა... რა მიშვნელობა აქეს ვინ არის, ხომ არ შეიძლება, რომ ადამიანი უმიზნოდ იქექბოდეს ნაგავში?! იქნებ გაგიდა? აბა, ჭკუზე მყოფი და შეძლებული ტიპი სანაგვეში ქექვას რატომ დააწყებს?!.. იქნებ ვინმეს თვალის ასახვევად იქექანება?“ – აზრები მნერივებოდნენ, მერე კი ერთმანეთში ირეოდნენ... სულ დაიბნა... ველარაფერს ხვდებიდა... თავში აზრები აერ-დაერია და ლიგიკა მთლად დაერღვა... „რა აუცილებელია მხოლოდ მახმანიც ჩიცა ლამაზად, როდესაც შეხვედრაზე, კინოში, თეატრში ან სადმესაც სალამოზე მიდიობა?“ – ფიქრი თავისთავად გაგრძელდა. „ვითომ რატომ არ შეიძლება

ლამაზად ჩაცმული და გამოპრანჭული ნაგავს  
მიადგე საქეად?..“ - საბოლოოდ საკუთარ  
ეჭვებში გაიხლართა. „არა, არა... აქ რაღაც ისე  
არ არის! ხომ შეიძლება თავაგადასავალს ეძებ-  
დეს, ან იქნებ ეს ყველაფერი მისთვის სულაც  
ჰპონ იყოს?.. ხშირად მდიდრები დიდ უნივერ-  
სალებში გართობის მიზნით ქურდობენ ხოლმე.  
ხომ შეიძლება, რომ უნივერსალებში ქურდო-  
ბა მოტებრდა და ახლა ასე სანაგვე ყუთებში  
ქექით იქცევს თავს? იქნებ სულაც „არასაჭირო  
ნივთების“ მაღაზის გახსნას პაირებს?.. ძალიან  
კარგი პრივატორა დმიტრი მანი, „არასაჭირო  
ნივთების“ მაღაზია! ხალხი გიყივით მანწყდება არ-  
საჭირო ნივთებს და დარწმუნებული ვარ სულ  
ცოტა ხანში მშევნიერი ბიზნესი ენება 007-ს!“  
- რაც უფრო დიდანას აკვირებოდა კაცი, მისი  
უფრო ეცნობოდა და სახე გარებობა. თითქოს  
სადაც ენახა ეს სახე, ეს აღნაგობა. ეს შეგრ-  
ძნება აღლვებდა და რატომძაც სულს უფორი-  
აქებდა...

„უეცრად, თითქოს ვილაცა ჩასჩირულაო,  
მესირებამ ერთი წლის ნინანდელი ამბავი  
ამოუტეტივა...“

ყოველ დილით, მეტროს ვაგონში, კარებთან  
ახლოს, მოღურად ჩაცმული ორმოცს მიღწეული  
აფრიკელი იდგა, ძეირფასი ტყავის პორტფე-  
ლით ხელში და აფრიკულ სიმღერას მღეროდა.  
თავაზიანად უღიმოდა ყველას, თან დიდი მონ-  
ინტენსიტეტით აცილებდა ვაგონიდან მგზავრებს და  
მოწინებით ეპატიუროდა ვაგონში. მგზავრები  
რატომძაც უხერხულობისაგან იშმუშნებოდნენ  
და თვალს არიდებდნენ. ალბათ ფიქრობდნენ,  
წესით და რიგით კაცმა ან სახლში უნდა იმ-  
ღეროს, თავისთვის, ან მეგობრების წრეში, ან  
წვეულებაზე, ან თუ მომღერალია – სცენაზეო.  
ისე მეტროს ვაგონშიც რა თქმა უნდა სიმღერა  
მოსულა – ფულზე... მაგრამ უფულოდ?!.. გამო-  
დის, თუ ძეირფასად ჩაცმული კაცი ყოველგ-  
ვარი მიზეზის გარეშე მეტროს ვაგონში მღერის,  
თან თავაზიანად ეგბება მგზავრებს და აც-  
ილებს, უბრალოდ რომ თქვათ, უსტვენს და ეგ  
არის! მანიცდამანც უნდა უსტვენდეს?.. რატომ  
არ შეიძლება ადამიანმა იმღეროს, სადაც უნდა  
და როცა უნდა?! ექვთ.. მღეროდა ასე ნახევარი  
წელი კარგად ჩაცმული აფრიკელი თავის აფრი-  
კულ გაუგებარ სიმღერას... ყოველდღე ერთსა  
და იმავე სიმღერას მღერიოდა. თუმცა აფრი-  
კულის ბაბურში არ იყო, ამ სიმღერის რაღაც  
ნაწყვეტი ჩაუჯდა თავში: „იუეე დინიეე... /  
იუეე დინიეე... / მომღვააა... / მომღვააა... //  
მომღვააა... / მომღვააა... / მომღვააა... / მომ-

ტიე მოღვააა... // ლესედიზე კეტიე დინიე / ლა ტერედი ქ-  
ტიე დინიე... / მომღვააა... / მომღვააა... / მომღვააა... / მომღვააა...  
ტიე დინიე... / მომღვააა... / მომღვააა... / მომღვააა... / მომღვააა... /  
აფრიკელი... რაღაც არაა მქევეყნური სიმღერა უკურ საღმობის...  
დასასარულისკენ უცებ წელში იმართობოდა და საღალაც ზევით  
ალაპყრისძა ხოლმე თავალებს, თითქოს ვიღაცას უხმილს...  
რაღაც უცნაურ გრძნობას ბადებდა. მღეროდა, მღეროდა და  
ერთ შევერტო დღეს, თითქოს არც კი ყოფილია, გაქრა...“

„რაღაც მიზეზი მანიც უნდა იყოს, თუკი კარგად ჩაცმული  
ახალგაზრდა კაცი სანაგვეში იქცება! მიზეზს რა თავში ვხ-  
ლო?.. ვინ იცის, იქნებ მანიაკია და უკვე რამდენიმე ადამიანი  
ჰყავს მოკლული... იქნებ შემნიშნა კიდეც და ისე იქცევა, ვი-  
თომ ვერ მხედავს და მიტყუებს... იქნება ყველაფერი დაკარგა –  
ქინება, სამსახური, ოჯახი. ნეტა რას ვიზომდი, ყველაფერი რომ  
დამეკარგა?“ – ფიქრმა დაღალა. თავი გააქნია, თითქოს ყველა  
შეკითხვის ერთად მოშორება სურდა.

რას ექცდა ნეტა ახალგაზრდა კაცი ასეთი მონდომებით  
– ფულს, ბრილიანტებს, მოკლულის გვამს? იქნება ისტატი  
იყო და გამქარალ ნაწერებს ექცდა? იქნებ სულაც არ ექცდა  
არაფერს? ან რაღაც მოწევნებითსა და არარეალურს დაექცდა...  
მოკლულთა სულებს ხომ არა? იქნებ, იქნებ, იქნებ... ხორი...  
ყველაფერი იყო შესაძლო, მაგრამ უკაცრიელი და ბელი ქუჩა  
თავისი ოთხი რკინის სანაგვის ყუთით დუმდა.

ამ ფიქრებში და საკუთარ თავთან ჭიდილში ჩამობნელდა და  
ქუჩა ყვთელმა რბილმა ლამპიონებმა გაანათა. ცარიელი ქუჩა  
ნაგვის ყუთში შემძრალი კაცით თრილერს მოგავინებდათ.  
როდესაც იმას ვერ პოლულობდა, რასაც ექცდა, უსუსურდ მლი-  
და გრძელ, ფრთხილი ხელებს. რამდენჯერმე მოეჩვენა, თუ  
კიდევ გამლიდა კაცი ხელებს, უქველად გაფრინდებოდა...

მეოთხე ნაგვის ყუთთან კაცი გაცილებით დიდხანს შეყ-  
ვნდა... ეტყობოდა, ეს ყუთი მისთვის ბოლო იმედიდა იყო,  
ბოლო ნაესაყუდელი, ბოლო სამედო კუნძული. მაგრამ აქაც  
რომ დამარცხება იგება, ისეთი უცნაური ხმა ამოუშვა ყელი-  
რომელიც ერთდროულად კვნესაც იყო და ყმულიც. კაცმა  
ხელები ფრთხილი აიქნია განწირულად და სახით ბუჩქებისაკენ  
მობრუნდა. ვერავის ხედავდა. არც კი ეჭვობდა, ბუჩქებს მიღმა  
თუ ვინმე იდგა.

მოულოდნელად თვალინი მომღერალი აფრიკელის სახე წა-  
მოტეტივიდა. კაცსა და აფრიკულ მომღერალს შორის მსგავსებამ  
შეზიარა. სამყარ შეზანზარდა. მუხლები მოეკვეთა და შეკრძუნ-  
ებულმა ბუჩქები ჩამოუხდა. ამ აღმოჩენით გაოგნებულს, კარგა  
ხანს საკუთარი გულისცემა ესმოდა მხოლოდ. გონის რომ მოეგა,  
ბუჩქებიდან წამოინა. ასეთ სურათს კი ნამდგილად აღარ ელო-  
და. კაცი ისევ ისე იდგა, ოღონდ ახლა ფრთხილი აფრიკელი და  
ქუჩის, სახლებისა და ბაღების მიღმა იყურებოდა... ყვთელი ნა-  
ტურების ქვებ უცხოპლანეტელს გავდა. მის თვალებში და პოზა-  
ში ერთდროულად განწირულობა და შეგუბა იკითხებოდა. ცოტა  
ხანში, გეგონება გამოცდა ვერ ჩაპარო, თავი დაკვიდა. ლამის  
სიჩუმეში ისმოდა მისი მძიმე და დალლილი სუნთქვა. თითქოს

დამეს სამართებელი გადაუსვეს, ერთი ხელის მოქნევით კაცმა ტყავის ქურთუკი ჩაიხსნა და კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო... სვიტერზე დიდი, ლათინური ასოებით ენერა - Amadi.

ციტიანივით აკანკალდა... სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, მაგრამ შებლი ოფლის ცივი წვეტებით დაეფარა და გაურკვევ- ელმა შიშმა შეიპყრო... ტუჩები თავად ჩურჩულებდნენ - Amadi, Amadi...

გონს რომ მოეგო, კაცი უკვე გამქრალიყო.

ბუჩქებს მექანიკურად გამოიყო... ეშინოდა, მაგრამ თავს სძლია და ასე სველმა ქუჩები მოირბინა, ყველა სადარბზო- ში შეიხდა, სანაგვე ყუთუბიც კი დაათვალიერა, მაგრამ კაცი თითქოს აორთქლდა, გეგონებოდათ არც კი ყოფილიყო... გა- მოშიგნული და დაცარიელებული ქუჩა ჩაყვითლებული თვალე- ბით შეჰქურებდა....

ემცოიებისგან დაცლილი, სველი, დაღლილი და ჩაცმული საწერ მაგიდას მიუჯდა. ცოტა ხანს იყო ასე თვალდაბუჭული. არაფრეზე ფიქრობდა. მთელი სხეულით ცახცახებდა... შემ- დეგ ნელ-ნელა გაახილა თვალი... აბაზანა არც კი გახსენებია. კომბიუტერი ჩართო... თითქოს ეტიუდს უკრავს, ისე ათავაშდ- ნენ თითები კლავიშებზე...

ვერსია 3. სახელი: Amadi - აფრიკული სახელია და ნიშანვა „მკვდრადშობილა“.

ისტორია: ლეგენდა მკვდრადშობილ ბიჭუნა Amadi-ზე მოგ- ვითხრობს, რომ იგი მკვდრი დაბადა. დაბადებამდე დედა შეს- თხოვდა ღამის მეფეს - მთავრეს, შვილის უკნებლად გაჩერას: „აპა, წაიღე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ აპა წაიღე ჩემი სახე, გაუხარელი სახე ჩემი./ მე კი მომეცი შენი./ მას შემდეგ, როცა შენ თავს უკვდები, / კვლავ გვევლინები, კვლავ გვიპრუნდები.// აპა წაადე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ აპა წაიღე ჩემი სახე, გაუხარელი სახე ჩემი.../ აპა წაიღე ჩემი სახე, მე კი მომეცი შენი./ რომ დაგემსგავსო, რომ დაგემსგავსო, / ბედნიერება რომ დამტბრდოს.“ ბავშვი მკვდარი დაიბადა... მისი გული არ ცემდა, მაგრამ სიცოცხლის სურვილი იმსელა ჰქონდა, რომ თვალები გაახილა... მშობლები მეცხრე ცას ეწიენ, რომ შეილი „ცოცხალი“ ყავდათ. ბავშვს Amadi დაარქეს.

სოფელში, სადაც Amadi იზრდებოდა, ძალიან ბევრი ადამიანი ხდებოდა ავად და კვდებოდა. ცხადი იყო, რომ ლმერთები წინააღმ- დეგი იყვნენ იმისა, რომ მათი სურვილის მიუხდავად, Amadi მაინც ცოცხალი დარჩა და ამის გამო მთელ ტომს სჯიდნენ... მაშინ შამანებმა უხუცესებთან ერთად სულებს უხმეს. სულებმა მათ აუნეს, რომ Amadi არ უნდა დაბადებულიყო, რადგან თუკი ის გაიზრდებოდა, მთელ სამყაროს განადგურება ემუქრებოდა. უხუცესებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ Amadi მოექლათ! მა- გრამ, როგორ მოკლავდნენ, თუკი იგი უკვე მკვდარი იყო? მა- შინ Amadi-ს დაწვა გადაწყვიტეს. აუცილებელი იყო მათ ამადის დაწვის რიტუალი ჩაეტარებინათ, რათა მისგან ალარაფერი დაწ-

ჩენილიყო და არც არაფერს მოეგონებრნა მისი სახე... Amadi-ს რომ წინააღმდეგობა არ გაეწია, ამიტომ მას სპეციალური შასმში ამოფლებუ- ლი დანით გაუგმირეს გული. Amadi-ს გეგმა დაწვება... მაგრამ დანა, რომელზეც Amadi-ს სისხ- ლი იყო - არ გაანადგურეს. მიტომ უხუცესს, დანის პატრონს, ყველა დამით Amadi-ს სული ეცხადებოდა ხოლმე, რომელიც მას ძლიერებას, ძალაუფლებასა და უკვდავებას ჰპირდებოდა. ერთხელაც უხუცესი სასიკვდილოდ გახდა აუდ და იგი Amadi-ს პირობებს დათანხმდა... უხუ- ცესს იმუ - „სიკვდილის ღმერთი“ ერქვა (იგი ჯადოქარი უცდუ იყო). იმუ არ მოკვდა, მიუხე- დავად იმისა, რომ მისი გული გაჩერდა... ახლა იგი იყო ის, ვინც სიკვდილი მოატყუა... უკვდავი რომ ყოფილიყო, ამიტომ იმუს მკვდარი სულე- ბით უნდა გამოეკვება Amadi. კვლავ დაავაგ- მყოფდა იმუს ტომი. დროთა განმავლობაში კი ტომი ამონებდა და ამ ამბის გარშემო მხოლოდ ჭორებილა შემორჩა. საუკუნეთა განმავლობაში იმუს გონი სიბოროგისგან სულ დაუბნელდა. მას ყველგან წყევლა, სიბრძელე და სიბოროტე თან სდევდა და ეს მას უკვე სამოვნებას გვრიდა. ომების დროს მკვდარი სულების შოვნა ადგილი იყო, მაგრამ ომები აიკრძალა და ახლა იმუ და Amadi გაეშურნენ იმ ერთადერთ მხარეს, სადაც დიდი სიკვდილიანობა იყო და შესაბამისად ბევ- რი სულიც...

„დრო არ იცდის და არც სესხად გაიცემა...“ Amadi

### ეპილოგი

ამჯერად, როგორც იქნა, ვაგონის ფანჯარ- ასთან მოიპოვა ადგილი. მგზავრები მოხყენლი სახეებით ისხდნენ. ალბათ ერთი სული ჰერნდა თითოეულ მათგანს სახლადე მიერწია. დი- ლაადრიან, მეტროს ვაგონში, კარებთან ახლოს, კარგად ჩაცმული ორმოცს მიღწეული აფრიკელი იდგა, ძვირფასი ტყავის პორტფელით ხელში და მლერობდა: „იეეე დინიეე... / იეეე დინიეე... // იო ტიე დინიე... / ოოო ტიე დინიეეეე // იე მოღვააა... // იე მოღვაააა... // ოოო ტიე მოღვაააა... // იო ტიე მოღვაააა... / ოოო ტიე მოღვაააა... // ლესედიზე კეტიე დინიე / ლა ტერედი კეტიე დი- ნიე... // იოოო კეტინე... // ოოო ტიე დინიეეეე... // ოოოო ტიე დინიე... // ოოოო ტიე ტინიე...//“

გუდაური 22.09.2014 6.

# პოსანოვა

ბრაზილიელი მომღერლის, ელის რეჟინას ხსოვნას

არქიეპისკოპოსს ლურინო ერქვა. სხვა სახელიც რომ რქმეოდა, ეს მაინც არაფერს შეცვლიდა..

შორიდან ისმოდა ბრაზილიური ბოსანოვა. ქალაქი თეთრი იყო, მზე ყვითელი. ცა უძირო. ზღვა ლურჯი. ქვიშა ცხელი. კოკისპირულად წვიმდა. ჰორიზონტი არ ჩანდა.

ელისა მარტო იყო. ცივი Coca-Cola მოსვა ბოთლიდან, სავარაულში მოკალათდა და ინტეგრალებზე დაიწყო ფიქრი... ასე ერჩივნა. ინტეგრალებში გრძნობდა თავს კარგად, მაგრამ ახლა არაფერი გამოდიოდა. მოუსვენრად იყო. იცოდა, ბერებმა მოატყუეს ბიჭი. როდესაც ბიჭზე ფიქრობდა, უფრო ღელდებოდა.

ჰორიზონტი არ ჩანდა..

ბიჭი უდაბნოში დამსხვრეულ ვერტმფურენთან იჯდა. კოკისპირულად წვიმდა...

ის კი ელისაზე ფიქრობდა...

ელისამ ბიჭის სახელი არ იცოდა. არც ბიჭმა იცოდა ელისას სახელი. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, როცა ბიჭი ბოთლიდან ცივ Coca-Cola-ს სვამდა ყლუბებით. ელისამაც სწორედ იმ დროს მიიტანა ცივი ჩინცა-ჩილა ტურებთან. ორივეს რაც დაემართა, წყალში გადასტომას გავდა მაღალი კლიფიდან. ქალაქში კლდე არ იყო, ამიტომ ეს გადასტომას გავდა მეასე სართულიდან. არც ასასართულიანი სახლი იყო ქალაქში, მაგრამ მაინც მეასე სართულიდან გადასტომას გავდა ის, რაც იმ დროს ორივემ იგრძნო, როდესაც ქალაქი თეთრი იყო, მზე ყვითელი, ცა უძირო, ზღვა ლურჯი, ქვიშა ცხელი. ჯერ კიდევ კოკისპირულად არ წვიმდა და არც ჰორიზონტი ჩანდა... ზუსტად მაგ დროს ბიჭის და ელისას თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ელისამ Coca-Cola ელისას სახელი ერთმანეთს დაცალა. მერე სუნთქვა შეეკრა. ეგონა სუნთქვა Coca-Cola-სგან შემეკრაო, მაგრამ მაშინ მიხვდა ყველაფერს, როდესაც ბიჭია ვერტმფურენი დაქოქა, ჰაერში ისარივით აიჭრა, ქალაქს 3 წრე დაარტყა და თვალს მიეფარა. ამის გახსნებაზე ელისას პირი გაუშრა და ბოთლიდან კვლავ ცივი Coca-Cola მოსვა. ბიჭის სახელი ელისამ არ იცოდა. არც ბიჭმა იცოდა ელისას სახელი, მაგრამ აბა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას ელისასთვის? არც ბიჭისთვის ჰქონდა ამას მნიშვნელობა.

ელისას გაახსენდა, ბერებმა რომ მოატყუეს ბიჭი და უფრო აღელდა...  
თვალდასუქულმა ინტეგრალებზე განაგრძო ფიქრი...

ინტეგრალების მოულოდნელ მოსახვევებ-ში ბიჭი ელოდა. ელისა და ბიჭი ცდილობდნენ შეხებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბიჭი უცცრად ქრებოდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა...

წვიმამ გამეტებით დასცხო...

ხშირი წვეთები სახეზე და ტანზე ეხეთქებოდა...

ბიჭმა სახე და პეშვები ხშირ წვიმას შეუშვირა. ორი დღე უწყლობამ გათანგა უდაბნოში... წვიმის პირველმა, გრილმა შეხებამ ცივი Coca-Cola მოანდომა და ელისა დაუდგა თვალნინ.

წვიმამ უმატა...

ელისა კი ამ დროს გულის გზით მიაბიჯება... ზუსტად იცოდა, ეს გზას ყველაზე სწორი იყო! ამიტომ ამ გზას დაუფიქრებლად დაადგინდო, შეიძლება სულ სხვა გზას დაადგეო, ასე უთხრა ერთხელ ელისას გზას დაადგეო, ასე უთხრა ერთხელ ელისას ბებერმა მეტყველებ. ამიტომაც ალარ დაფიქრდა და გულის გზას დაადგა... მიდიოდა ელისა ამ გზაზე და თოთონაც არ იცოდა, რა უხაროდ! აბა როგორ უნდა ცოდნოდა, თუკი ყველაფერი ერთად უხაროდა – ბოსანოვა, გზა, წვიმა და ცივი Coca-Cola?! ყველაფერი ერთად კი ბიჭს აგონებდა და უფრო უხაროდა! უხაროდა ისე, როგორც არასდროს! რა გზები არ ენახა ელისას, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად უძგერდა გული, ისე არა, როგორც ყველთვის. აი, სართულებად და ლიფტებად ცემდა ელისას გული. სართულებად და ლიფტებად ამიტომაც იცოდა ზუსტად – ეს გზა რომ ნამდვილი იყო!

წვიმამ იმატა.....

იმატა წვიმამ.....

იმატა.....

თავგამეტებით დასცხო... და....

...ბერებმა არქიეპისკოპოსს მოახსენეს, ელისა წვიმაში გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდათ. რა იცოდნენ, რომ ელისა გულის გზით წავიდა... როგორ უნდა ცოდნოდათ ეს, თუკი ელისა ერთადერთი იყო ქალაქში, ვინც გულის გზა ამოირჩია. ქალაქში ბევრმა აირჩია გულის გზა, მაგრამ ელისას გარდა, არავინ ამ გზით არ წასულა... გულის გზა ამოირ-

ჩიო და მერე ამ გზას დაადგე – ორი სხვადა-  
სხვა რამება. სხვა და სხვა. სულ სხვა და სხვა.  
გამტედაობა ჭირდება გულის გზას. ისე, ბოსა-  
ნოვა, გზა, წვიმა და ცივი Coca-Cola ერთად  
თუ გაგეხარდა, სხვა რა გზა გაქვს, აუცილე-  
ბლად გულის გზას უნდა დაადგე...

ამის თქმა იყო და... ლურინო ჩვეუ-  
ლებრივზე მეტად გაშავდა. თვალები ჩაუსისხ-  
ლიანდა. ხელით ანიშნა ბერებს გასულიყვნენ.  
ასად მოკეცილმა სიჩუმეში იწყო ყურება.  
ღია ფანჯრდან შემოსული წვიმის შეფები  
ფარდის ნაკეცებში ცრემლებივით მოედინე-  
ბოდნენ, შემდეგ ტბასავით გუბდებოდნენ ია-  
ტიკზე. არქიეპისკოპოსი ვერაფერს ამჩენებდა.  
ბიჭი დაუდგა თვალნინ. მთელ ტანში ცივმა  
ურუანტელმა დაუარა. სიბრაზისაგან აცახ-  
ცახდა და სიძულვილმა აიტანა.

არქიეპისკოპოსს ელისა უყვარდა. ახლა  
ბრაზობდა ელისაზე. ძალზედ ბრაზობდა. რაც  
მეტად ეძალებოდა ფიქრები ბიქზე, მეტი სი-  
ძულვილით ევსებიოდა გული... თანაც ბერ-  
ებმა მოახსენეს, ელისა და ბიჭი ბოთლიდან  
ცივ Coca-Cola-ს სვამდნენო. ბიჭის და ელისას  
თვალები ერთმანეთს შეხვდნენო. დროც არ  
დასტირებია არქიეპისკოპოსს, ცივი წიცა-  
ჩოლა და ბიჭი სამუდამოდ შესძულებოდა!  
თბილ წილა-ს ხომ ისედაც ვერ იტანდა! ბერ-  
ებს ვერტმფრენის გაფუჭება დაავალა.

კოცისპირულად წვიმდა...

ელისამ იცოდა, ბერებმა მოატყუეს ბიჭი  
და ნაბიჯს უმატა... სულმილად დასველდა.  
წვიმის ხშირი ნაკადი ბიჭის ხელებს მიამსგავ-  
სა და ტანში ურუანტელმა დაუარა...

ლურინომ არ იცოდა საიდან გაჩნდა ბიჭი?!..  
გამოეპარა. არც არავინ იცოდა ქალაქში... ბე-  
რების ბრალი იყო ყველაფერი. ბრაზობდა.

წვიმაში მიმავალმა ელისამ იცოდა მხო-  
ლოდ, ბიჭი რომ მის ნასაყვანად მოფრინდა.  
ამიერიდან ერთად უნდა ეფრინათ, ემლერათ,  
ეცეკვათ, ეცინათ და ცივი Coca-Cola ესვათ  
ბოთლიდან... ლურჯ ზღვაში ეცურავათ,  
კიდევ, თეთრი გემი რომ პორტში ელოდათ,  
მოულაპარაკებლად იცოდა ორივემ!

არქიეპისკოპოსს სიბრაზისაგან ჩაეძინა.  
სიზმარში ნახა: ვიღაც უსახო დაჭხარხარებდა  
თავზე და ვირზე უკულმა იჯდა...

წვიმამ იმატა.....

იმატა წვიმამ.....

იმატა... თავგამეტებით დასცხო... და....

წვიმდა. ბიჭი დამტვრეული ვერტმფრენის ქვეშ იჯდა და  
განუწყვეტლივ ელისაზე ფიქრობდა... წვიმის ხშირი ნაკადი  
ელისას ხელებს მიამსგავსა და ტანში ურუანტელმა დაუარა...  
ყური მიუვდო... შეხეფები ლამაზ ნახაზს ხაზავდნენ ჰაერში,  
შემდეგ რიტმულად ეცემოდნენ ქვიშასა და ვერტმფრენის  
ტანზე...

.....  
ბოსანოვა დაიწყო...

დაიწყო ბოსანოვა...

ბიჭი აყვა..... აყვა... აყვა... აყვაყვაყვა და...

ელისამ წვიმას მიუვდო ყური... შეხეფები ლამაზ ნახაზს  
ხაზავდნენ ჰაერში, შემდეგ რიტმულად ეცემოდნენ გულის  
გზას...

ბოსანოვა დაიწყო...

დაიწყო ბოსანოვა...

ელისა აყვა..... აყვა... აყვა... აყვაყვაყვა და...

ორივე ერთად ცეკვავდა და მლეროდა...

მაპუტუში მოუნდა ორივეს. მერე რა, რომ მაპუტუ არ  
ბიჭს და არც ელისას ენხა... შეიძლება გინდოდეს ის, რაც  
არ გინახავს და შეიძლება არ გინდოდეს ის, რაც გინახავს,  
იცნობ და ძალიან კარგადაც იცი... რა ექნათ ელისას და ბიჭს,  
თუ ორივეს, მიუხედავად ყველაფრისა, მაპუტუში მოუნდა?!.  
ისე მოუნდათ... ისე... რომ... ენალამ...

წვიმდა ელისა და ბიჭი ცეკვავდნენ...

სველი პერანგი ელისასავით მიეკრო მხრებზე ბიჭს...

სველი კაბა ტანზე ბიჭივით შემოხევია ელისას...

ბიჭი და ელისა მლეროდნენ ბოსანოვას....

ბიჭის არაფერი ვიცით, მაგრამ ელისამ წვიმაში სიმღერა  
და ცეკვა დაიწყო, მოახსენეს ლურინოს ბერებმა. არქიე-  
პისკოპოსს არაფერი გაუგია, რდფან ვირზე უკულმა შემ-  
ჯდარი ჯანდაბაში მიდიოდა....

.....  
ქალაქი თეთრი იყო, მზე ყვითელი. ცა უძირო. ზღვა ლურ-

ჯი. ქვიძა ცხელი.

წვიმამ იყლო...

შორიდან ისმოდა წვიმისა და ბოსანოვას გადაძახილი...

თეთრი გემი ჰორიზონტს მიეფარა....

**ბერლინი-თბილისი, 25.04.93 – 5.03.2014**

# ქინძალრომი



ობარ კაჯუა

„ძვირფასო მომხმარებლებო, ბანე ი კეტება. გთხოვთ, გაათავისუფლოთ შენობა“. გამოდი ვაგინალური შელაკისგან აქოთებულ, დოლარებით გადაყვლებული საჯდომების ზიზილ-პილუბიან! „გაბეთესლე, ბოზი!“ – ვუყვარივარ ამ დანესაბულების სშირად სტუმარი, რომელიც თბილი ფუნაზების ქნევით ნელა მიაიჯებს ჩემ წინ და გულმოდგინედ ითვლის მათ გუშინდელ მონაკარს. სწორედ ისინი იღებენ უწინდან წიხლს. გოგო გორდება კიბეზე და ერთხმება პირდაპირ ქვედა საფეხურზე მჯდომი დეაბერის წინ. მისი გამოჩენით ვიგებ მიახლოებით დროს. ე.ი. უკვე შეიდაა დაწყებული, რამეთუ ის მოქმედებს მეაცრად განსაზღვრული გრაფიკთ და მიღინა ზუსტად ექსპუზე. კუპრიურები მიმოფანტულია მის ირგვლივ, მაგრამ ის მათ ვერც კი ამჩნევს. ეს უკვე ადამიანი კი არა, ისტორიუქციით მომუშავე დაპროგრამებული მანქანაა. გაადამიანებულმა პოლიგრამამ იცის მხოლოდ ის, რო როცა გვერდზე ვინებ ჩაუვლის, უნდა ნარმოთქვას ჯადოსნური სიტყვა: „დამეხმარეთ“. თხოვნა უკვე შეხორცდა ამ ადგილთან და მესმის ყოველ აქ გავლაზე. ხმაში არ იგრძნობა არანაირი სიბრალული. მათხოვარი მექანიკურად იმეორებს ამ სიტყვას იმის იმედით, რო ის მოახდენს გამვლელზე მაგიურ ზეგავლენას, და ნამიერად აქცევს მას პროგრამის გრძელი ალგორითმის ერთ-ერთ ციფრად, რაც საკმარისი იქნება ჯიბიდან სურდის ამოსალებად და კონსერვის ქილოში ჩასაყრელად. მე არცერთხელ არ მიმიცია პრინციპის გამო. უარს ვაცხადებ, ვიყო ამ შეუჩერებლად მომუშავე მექანიზმის რობოტი. გადავრჩივარ გზაზე, რათა რაც შეიძლება მალე გავეცალო ამ წყველ ქაჩისა. როცა ვხვდები მის პარალელურზე, ვერანაირ შვებას ვერ ვგრძნობ, ვინაიდან ის წინას საკისებრი ანარეკლია. ნამით ვფიქრობ, რო ჯერ კიდევ იქ ვარ. ყველა ეს ქეჩა ხომ სტაციონარული ველოსიპედითა. იგივე სახლები, იგივე მაღაზიები, ტელეფონის ჯიხურები, სარელამო დაფები, იგივე ხალხის ნაკადი, დაბეჭდილი ერთი პრინციპით, და იგივე ცხენის იდიოტური ჭიხვინი, რომელიც სტუნაობს ჩემთვის ნერვებს სარწყ ბილკზე. ნუთუ მისჯვილი მაქვს ამ მოსიარულე გენიტალიებსა და უნიტაზებს შორის ცხოვრება, რომელთაგანაც ვერ გაიგებ ვერცერთ ჟევიანურ სიტყვას? მხოლოდ უსასრულო პირ-მუტელ-ტრაქული დეფეკაცია. აქვე პატრულიტებნ დვთის ძლნერიდან აღმოცენებული ქონანან-ცელულიტიანი წევრებიანი მენაგვები, რომლებიც წმინდავენ სპერმისგან აყროლებული ანაფორებით მათივე მრევლის მოსაქმებულს. უცებ ქარმა რო ააფრიალოს მანგია, შეიძლება აღმოჩინოთ ახალი თაობის აიფონი და ნიფხავში გაკვებებული პლებონის უურნალი, რომლის გვერდებიდანაც გამობზეცილია განდონჩამოცმული ჯვარი. ეს ხალხი ასახიერებს სიწმინდეს და ქადაგებს ღმერთის სახელით? ნარმოგიდგენიათ ჯისებზე მოგრიალე ბუდა ან წმინდა ფრანცისკი? ღიპიანი მამაოების ხელში ჯვრები რევოლვერებივითაა. მათი ლულების

ქვეშ სისტემა ამუშავებს ბალებს დამპალი ნიადაგით, საიდანაც იზრდებიან ეკლესიები, რელიგიური მიმღინაცეულებები და ახალი სექტები. ისინი ამოდიან, როგორც ძირმაგარები, სიფილისანი ყლით ნატყნავი ტრაკიდან, სკედებიან ტყულაშუნით და რწყავენ გარემოს უკუდით. მისით განიყირებული ასფალტიდან ჩირქაინი ბუტონებით ამოდიან ნარკო-დილერებთან შეკრული ძაღლები, მანიაკი-მევლელები და სხვა ნაგავი. ქუჩების ვიწრო ყლილიდან ბრძო ისსმება, როგორც სეკურიტია მუტლიდან, რომელმაც მისცა ურნვა. კი, კი, მუტლიდან. არ მოგესმათ. ეს ქალაქი ერთი დიდი ორგანიზმია, ანტროფომორფული ქმნილება, ადამიანის მსაგასად კონსტრუირებული, ხალხი კი მასში – გუმორალური ფაქტორები, რომლებიც ცირკულირებენ ქუჩების ვარიკოზულ ვენებში. მოლაპარაკე ერთნაირი სიტყვებით, მოლიმარი ერთნაირი ღიმილით, ერთნაირი სიფათებით, ისინი დასტურ როგორც ხარები, მათი დახოცილი საძმოს ცოდვებისგან გამოსყიდვის დღეს. ჩქარა უნდა გაიქცე, რო რქებზე არ დაგისავან. მსოფლიო – უსასრულო ლაბირინთია, გახვეული მარტობის რადიო-აქტიურ სუდარაში. სიმყრისთვის მჭიდროდა მოქერილი ბაგეთი, რომელიც დაწნეს დედამინის დადგმა სპასიდერმენება, ბალ გეითისმა და მარკ ცუკერბერგმა, რათა ხალხი მოეშვას დცებს, იპოვნება გამოსაცვლა. ვინც დაარღვევს ამ წესს, იმტეთასვე მიბრძანებული იქნება ეპაფოტზე, სადაც აჯანყებულებს შეუჩერებლივ ფევავი კანინის ჩლიქი. საოცარი ციხეა, მომცინავი პატიმრებზე, რომლებიც მისი ერთობლივი აშენებით, საკუთარი წებით იქცნენ რეინა-ბეტრინის მონებად. ყველა კამერას აქვთ თავისი ცა. საკმარისია, ის მიაერთო შტეფსელს, რომ მასზე ეგრევე აციმიციდებიან ვარსკვლავები. ფუმფულა ძუძუები და ელასტიური ტრაკები ღუეტში ასრულებენ ცეკვას, რომლის დანახვაზეც ყლე ტრუსიები ანწყობს დისკორეკას. ბაგმიბაში, როდესაც ჯერ კიდევ ვიყავი სუფთა, როგორც კასტის ფირი, მშობლები ცდლობდნენ, ჩაქნებათ მასზე ის კონცერტი, რომელიც მათ აწყობდათ. რათა მომავალში, უნისონში ავმდერებულიყავი მსოფლიოსთან ერთად. მერე მიყიდეს კონსოლი, რომელზეც დღე და ღამე ვთა-

აღფრთოვანებული ეკრანზე  
დანახულით, სიბარულით ვაჭერდი ქროპებს. აი, ასე, თანდათან, ხალხი კარგავს ზღვარს თამაშსა  
და რეალობას შორის. და უკეთესია, თუ ვერას-  
დროს გაიგებ სიმართლეს: ერთხელაც, ტელევი-  
ზორის ჩართვის მერე, მონიტორზე აღმარჩენ  
საკუთარ თავს. ეს ნიშნავს, რო დადგა დღე,  
როცა ადამიანი თვითონ გახდა პერსონაჟი ცვე-  
ლაზე საშინელი თამაშისა, სახელად „ცხოვრე-  
ბა“. ახლა უკვე ჯოისტიყი შენს უფროსს აქვს,  
და არ იცი, რომელ მხარეს გადახრის ანალოგს.  
საკამარისი იყო ეს გამეგო, რო ყველაფერი ჩემ  
ირგვლივ გაშეშდა. თითქოს ფილმი დააპაუზირა.  
შემდეგ უცრად აულერდა უწევეულო ტონალო-  
ბის მელოდია, და მონიტორზე გაჩრდნა ორკესტრი  
წვერებანი დირიჟორით. როდესაც მივუახლოვ-  
დი, დავინახე, ისის მხოლოდ მანეკენია, ხოლო  
მის წინ, პიუპიტრზე, იდო ცარტილი პარტიტუ-  
რა, ორკესტრი შედგებოდა მსგავსი მანეკენები-  
სგან, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ უცნ-  
აური ინსტრუმენტებით. ვიზუალური ა-  
ადამიანის კოდურებისგან, სიმების მაგივრად -  
ვენებით. ხემები - გრძელი სამართებულები.  
დოლები გადაკრული ადამიანის კანით. მედო-  
ლეები წაგავდნენ მეკუბოვეები, ჩაქურით და  
ლურსმნებით ხელში. მილძაბრები - ჯოჯოხე-  
თის სასადილოს საკავშურები, აფრეცვედნენ  
ალს, რომელსაც მოჰყვებოდა მოხრაკული ცოდ-  
ვილების ყუილი. მაშინ მიიღვდო, რო ფეშარ-  
იტება დამალულია ბძელი ლაბირინთის ბოლოში.  
რაც უფრო უახლოვდები მას, მით უფრო კაშკაშ-  
ად ანათებ, და წვავ იმათ თვალებს, ვინც  
მიჩვეულია უკუნებო ცხოვრებს, შეეწია სიბ-  
ნელეს, როგორც ვამპირი, რომელსაც ეშინია  
განთიადის. ამიტომ ისინი ყველანაირად შე-  
ცდებიან, ჩაქრონ ეს სინათლე. ათასლიპრა-  
გადაკრული თვალი ყოველდღიურად მხვრეტს  
სიცარიელით, რათა გატენონ ის ყოველდღიურო-  
ბის ძღვირით. ის, რო ამინდმ ჩაივგა. ის, რო  
სადილი დღეს გამოვიდა არც ისე გემრიელი. ის,  
რო კარტოფილი გაძვრდა. ის, რო დღვმდე არ  
გამოუცვლიათ ეზოში კანალიზაციის მილები. და  
სხვა კვერცხობა. ღმერთის გნამს? რა თქმა  
უნდა, ვპასუხობ მე ცინიკურად და ჯიბიდინ ფუ-  
ლის შეკვრის ამოღებისთანავე თვალს ვაპაჭუნ-  
ებ. მაგრამ ამის უფრო მნამს. მათი შრიალი საო-  
ცრებას ახდენს, რომელიც არ ძალუს  
გადაფურცლული ბაბლიის შრიალს. ამ ხმისგან  
მკვდარიც კი შეიძლება წამოხტეს სარეცელი-  
დნ. ლაზარეს ყურადღე ამ მაგიურმა ხმაშ ვერ  
მიალწია, ამიტომაც ჩალპა აკლდამში. ამაში  
მაინც გაგვიმართლა. ჩვენ შორის ალარ არიან  
გაჯოგბლებული მკვდრები, რომლებიც რწმენას

განუსაზღველია და განუსაზღვრელი... და რა გასაკეირია, რომ ამ პოეტთან განუსაზღვრელობითი მეტყველების ნაწილები ასეთი პატივშია.

ტერენტი გრანელის მსოფლგანცდა პოზიტივისტური მსოფლგანცდის საპარისპიროა.

პოზიტივისტებისგან განსხვავებით, მისთვის სამყარო იდუმალებით არის ალსავსე. ეს ისეთი იდუმალებაა, რომელიც სამყაროს შემეცნების კვალიბაზე კი არ მცირდება, არამედ იზრდება. პარადოქსულად კი ულერს, მაგრამ, რაც უფრო შეეგიცნობთ სამყაროს, მით უფრო იდუმალი ხდება ის. სამყაროს იდუმალების ეს შეკრძნება დაკარგა ადამიანთა უმეტესობამ, რის გამოც მათი ცხოვრება უღიმდამო და მოსაწყენი გახდა.

ეს განცდა (სამყაროს იდუმალების განცდა) ასეთი ინტენსივობით ქართველ პოეტთან გან, მგონი, სხვას არავის გამოუხატავს.

ის „სადღაც“, იდუმალების ამ განცდის გადმოცემას რომ ემსახურება, მოვნათლოთ სახელით „იდუმალების „სადღაც““. მის გარდა ტერენტი გრანელთან არის სხვა დაინიშნულების „სადღაც“, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „სინქრონულობის „სადღაც“.

მაგალითი:

ეს გრძნობა უფრო აგიზგიზდება  
(და შენ შორიდან გედივით სჩანდი).

სადღაც ლამაზი ბავშვი იზრდება  
და სადღაც ხევში მდინარე ჩადის.

აქ აღნერილი მოვლენები – გრძნობის აგიზგიზება, სადღაც რომ ლამაზი ბავშვი იზრდება და სადღაც კიდევ ხევში რომ მდინარე ჩადის – მიზეზშედეგობრივად არ უკავშირდებიან ერთმანეთს. მათ აკავშირებთ სინქრონულობა, თანადროულობა, ერთდროულობა.

მოკლედ, მიზეზ-შედეგობრიბის (კაუზალობის) ნაცვლად ყურადღების გადატანა მოვლენათა სინქრონულობაზე ტერენტი გრანელის პოეზიის თვალში საცემი თავისებურებაა. ამგვარი რამ არცერთ სხვა ქართველ პოეტთან არ შეინიშნება, ეს ტერენტი გრანელის პოეზიის სპეციფიკური კონცეფციაა. ეს თავისებურება მისი პოეზიისა ზოგს შეიძლება იზიდავდეს, ზოგსაც განიზიდავდეს, რაც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოვახეხებთ კაუზალური აზროვნების ინერციის დაძლევას. მე პირადად, ახალგაზრდობისას მაღიზიანებდა კაუზალობის დემონსტრაციუ-

ლი უგულებელყოფა გრანელის ლექსებში (კაუზალობას მასთან სინქრონულობა რომ ენაცვლება, ამაზე შაშინ, (უხადია, არც მიფიქრია!). ეს უჩვეულო რამ იყო. მაგალითად, გვეუბნება:

ირგვლივ სივრცეა და ფიქრი ბევრი,  
ეს ცეცხლიანი სურვილიც მოკვდა.

უმნიშვნელოვანესი რამ – ცეცხლიანი სურვილის სიკვდილი – გვაუწყა. ახლა მკითხველს აინტერესებს რა მოხდა ასეთი, რამ მოკლა ცეცხლიანი სურვილი, მიზეზი აინტერესებს, რამაც შედეგად ცეცხლიანი სურვილის სიკვდილი მოიყოლა. სხვა პოეტები ამ ცეცხლიანი სურვილის სიკვდილის მიზეზზე იტყოდნენ ან მიგვანიშნებდნენ რამეს. გრანელს კი სულ არ ადლელვებს კაუზალურობა, მას აინტერესებს სხვაგან რა ხდება ამ დროს და ასე განაგრძობს:

სადღაც შორს, ტყესთან, მატარებელი  
სადგურს კივილით მიუახლოვდა.  
სადღაც სანთელი იწვის კუბოსთან  
და იპურება ქალაქი ნისლით.  
სადღაც დეპეშას ლებულობს ფოსტა  
და აპარატის რაკრაკი ისმის.

აი ესენი ხდება „სადღაც“ იმ დროს, როდესაც „აქ“,  
პოეტში, „ცეცხლიანი სურვილი მოკვდა“.

ერთიც ვნახოთ:

იყო შეცდომა და ვერ ვატყობდი,  
ძვირფასო, ეს დღე ისევ სულს დაფავს.  
სადღაც სოფელში წევს ავადმყოფი  
და ვილაც გლაბა საუბრობს ზღაპარს.

(\*\*\* დგას ლამეების შავი წერტილი)



„ყუო შეცდომა და ვერ ვატყობდი“ – ნუ მოელით ამ შეცდომის მიზეზბასა და შედეგებზე საუპარს. მათ ავტორს ეს არ აინტერესებს, მისი ინტერესის სავაგანი ის არის, როცა თავისი შეცდომა აღმოაჩინა, ამ დროს სხვაგან რა ხდება: 1. მის თვალწინ დამდება („დღე სულს ლაფაეს“), 2. „სადღაც სოფელში წევს ავადმყოფი“, 3. ვიღაც გლახა ზღაპარს ჰყვება.

ესოდენ ურთიერთგანსხვავებული ინფორმაციით აღძრული ემოციები, ერთმანეთზე წაფენილი, ქმნის ტერენტი გრანელის პოეზიის სპეციფიკურ კოლორიტს.

აზროვნების ეს მანერა ტიპობრივია გრანელისთვის და მისი პოეზიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოდგენს, მეტისმეტად უწვეულოს ჩვენთვის.

„ჩვენთვის“-მეთქი, რომ ვამბობ, დასავლურად მოაზროვნე ადამიანს ვგულისხმობ, ადამიანს, რომლისთვისაც მიზეზშედეგობრივია აზროვნებაა დამახასიათებელი. მაგრამ აზროვნების ეს მანერა ერთადერთი როდია. აღმოსავლეთში ასე არ ყოფილა. კარლ გუსტავ იუნგს მოვუსმინოთ, ერთერთ უგამოჩენილეს ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს:

„აღმოსავლეთი აზროვნებისას და ფაქტთა შეფასებისას სხვა პრინციპით ხელმძღვანელობს. ჩვენ სიტყვაც კი არ მოგვეძევება ამ პრინციპის აღსანიშნავად აღმოსავლეთში, რაღა თქმა უნდა, არის ასეთი სიტყვა, მაგრამ ჩვენთვის ის მართლაცდა ჩინურია. აღმოსავლეთში მას დათ ჰქვია. ჩემს მეგობარ მაკ-დაუგოლს ერთი ჩინული სტუდენტი ჰყავს, რომელსაც მან ერთხელ ჰკითხა, მაინც, ზუსტად რომ ვთქვათ, რა იგულისხმება დაოშიო. ტიპური დასავლური შეკითხვა! ჩინულმა აუსწანა, თუ რა არის დაო, მან კი მოუკო, მაინც ვერ გაფიგეო. მაშინ ჩინული აივანზე გავიდა და ჰკითხა:

– რას ხედავთ?  
– ვხედავ ქუჩას, სახლებს, მოსეირნე ხალხს... აი, ტრამვაიმ ჩიარა.

- კიდევ რას?
- აგერ, იქ მაღლობია.
- კიდევ?
- ხეები.
- კიდევ?
- ქარი ქრის.

და ჩინულმა ხელები აღაპყრო და წარმოთქვა: „ესაა დაო“.

ხედავთ? დაო ყველაფერი შეიძლება იყოს. მე სხვა სიტყვას გწმარიბ მის აღსანიშნავად, რომელიც საკმაოდ უბადერუკად ჭლერს – მე მას სინქრონულობას უუწოდებ. როდესაც აღმოსავლელის სული თანადროულად მიმდინარე ფაქტებს აკირდება, იგი ამ „თანადროულობას“ ისე ღებულობს, როგორც ის არის, დასავლური სული (გონი) კი მას ცალკეულ ნაწილებად ყოფს, ანაწერებს. მაგალითად, ვინმეს ეს ჩვენი შეკრება რომ ეხილა, იყითხავდა: „საიდან გაჩნდა ეს ხალხი?

აქ რისთვის შეკრებილა?“. აღმოსავლურ სულს ეს სულ არ აინტერესებს, ის უფრო ასე იკითხავდა: „რა უნდა მოასწავებულეს, რომ ეს ხალხი აქ შეგროვებულა?“. ეს პრობლემა კი, თავისი მხრივ, დასავლურ სულს არ აწუხებს. თქვენ ის გაინტერესებთ, რამაც შეგყარათ და რასაც იქმთ? სულ სხვაა აღმოსავლელი; მისთვის მნიშვნელოვანია ერთად ყოფნა, როგორც ასეთი.

იქნებ ეს ასე გამომეთქვა: დავუშვათ, ზღვის პირას დგახართ, და ტალღებმა გამორიყეს ნახმარი ქუდი, ძველი სკივრი, ცალი ფეხსაცმელი და მკვდარი თევზი, და ყოველივე ეს ახლა ნაპირზე ძევს. თქვენ იტყვით: „შემთხვევითობაა, სისულელეა!“. ჩინური გონი (სული) კი იყითხავს: „რას ნიშნავს აქ ამ ნივთთა თავმოყრა?“. ჩინულის სული ექსპერიტენტს ატარებს ერთად ყოფნასა და საჭირო მომენტში თავშეერაზე, და მას ისეთი ექსპერიტენტული მეთოდი გააჩნია, რომელიც დასავლეთში უცნობია, აღმოსავლურ ფილოსოფიაში კი დიდ როლს ასრულებს. ეს გახლავთ მოვლენათა შესაძლო განვითარების ნინას-ნარმეტყველების მეთოდი, და მას დღესაც იყენებს იაბოლებების მთავრობა პოლიტიკურ ვითარებათა განხილვისას. მაგალითად, მსოფლიო ომის დროს გამოიყენებს. ეს მეთოდი ქრისტეს დაბადებამდე 1143 წელს იქნა ფორმულირებული“ (კ. გ. იუნგი. ანალიზური ფსიქოლოგის საფუძვლები. სიზმრები. გერმანულიდან თარგმნა ირინე ჯიორევმა. თბილის, 1995, გვ. 90-91).

\* \* \*

როცა ამ ფრაგმენტის ეს ადგილი წავიკითხე: „დავუშვათ, ზღვის პირას დგახართ, და ტალღებმა გამორიყეს ნახმარი ქუდი, ძველი სკივრი, ცალი ფეხსაცმელი და მკვდარი თევზი, და ყოველივე ეს ახლა ნაპირზე ძევს“, იმ წარმო გამახსენდა გრანელის სტრიქონები ლექსიდან „სადღაც შორს“: „სადღაც შორს იყო გამოსააღმება, / სადღაც შორს, ზღვასთან სდუმდნენ ნივთები“. რა ნივთები? ზღვის ტალღების მიერ ნაპირზე გამორიყული?! აბა სხვა რა! რას უნდა მოასწავებდეს პოეტისა და მეცნიერის ნააზრევთა ასეთი უცნაური მსგავსება? ესეც ამ ჩვენი სამყაროს აუსწენელი იდუმალების ერთი დასტური ხომ არ არის?

<sup>2</sup> ლექციის მსმენელებს მიმართავს.

# სიყვარულის და სექსის სასოფთქვათილი აღლუმი სიკვდილაგდა

## ლელა კოდალაშვილი

ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა მიშეღ უელ-  
ბექს სექსის კარლ მარქსი უწოდა.

ჩემი აზრით, კრიტიკოსს მწერლური სე-  
ქსუალობის მარქსთან პარალელით აღბათ  
იმის თქმა უნდოდა, რომ უელბექისთვის სე-  
ქსი, ანუ სიყვარული, ისეთივე ლოგიკურად  
სასრული რამაა, როგორც, კომუნისტების  
გაგებით, მარქსის თეორიაში – კაპიტალიზმი.

მარქსი ხომ ვითომ იმას ამტკიცებდა, რომ  
კაპიტალიზმიც ისევე, როგორც წინამორბე-  
დი სოციალურ-ეკონომიკური სისტემები,  
აუცილებლად წარმოშობს დაპირისპირებას  
და ეს დაპირისპირება, ადრე თუ გვაან, მას  
დესტრუქციამდე მიიყვანს. ჰოდა, სავარაუ-  
დოდ, აქ გაავლო კრიტიკოსმა პარალელი,  
რადგან უელბექის რომანში, „კუნძულის შესა-  
ძლებლობა“, სექსს, როგორც სასიყვარულო  
ურთიერთობის არსს, ისეთივე გამოკვეთილი  
ადგილი უკავია, როგორც სამყაროში ამა თუ  
იმ საზოგადოებრივ წყობილებას და ისეთივე  
დესტრუქციული ჟერსპექტივით სავსე, რო-  
გორც ზემოთ აღნიშნე.

ამ ვრცელ ტექსტში ავტორი თანამედ-  
როვე საზოგადოების ყველაზე მგრძნობიარე  
რეცეპტორებს შეხხო. მისი თვალთახედვის  
უცილურესობები კი, რომელსაც ნანარმოებში  
პატარ-პატარა კონვულსიებად აღვიქვამთ,  
შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი დაგნო-  
ზია განნირული სამყაროს მიმართ. სექსი  
უელბე-მწერლის მთავარი საწვავია და იმა-  
ვდროულად მასე, რომელშიც შეტყუებულ თუ  
ჩათვალი საზოგადოებას დალუკვა მოელის.  
მისი რომანების შესახებ თუნდაც გაკვრით  
საუბარი ზედმეტი იქნება ჩვენი მკითხველ-  
ისთვის, რადგან ის იმ იშვიათ ავტორთა რიცხ-  
ვში აღმოჩნდა, ვინც ქართველ გამომცემელთა  
თვალთახედვის არეალშა და თითქმის ყველა  
წიგნი უკვე ქართულ ენაზე არსებობს. ხოლო,  
„კუნძულის შესაძლებლობა“ სულ ახლახან გა-  
მოსცა ბაჟურ სულაკაურის გამომცემლობამ.


რომანი მერაბ ფიფაიამ თარგმნა. მისთ-  
ვის უცხო არ ყოფილა უელბეკი, რადგან მან

რამდენიმე წლის წინ მისი მცირე რომანის, „ლანსაროტეს“  
გადმოქართულებაზე იმუშავა. ადრეც მითქვამს და ახლაც  
გავიმეორებ, მაშინ მერაბმა ამ ავტორს საკმაოდ კარგად  
გაართვა თავი, რადგან სექსში გამოუწოდობი ქართული ენ-  
ისთვის უელბეკისეული ეროტიკული სცენების მორგება იოლი  
საქმე არ იყო.

რაც შეეხება „კუნძულის შესაძლებლობას“, ეს, „ლან-  
საროტესგან“ განსხვავებით, საკმაოდ დიდი მოცულობის  
რომანი, რომლის ენა გაცილებით მძიმე და დატვირთულია,  
ვიდრე „ლანსაროტეს“ ლალი ფრაზები, ვეიქრობ, მიუხედა-  
ვად ალაგ-ალაგ საერთო სტილური ქსოვილიდნ ამოვარდ-  
ნისა, მანც საკმაოდ კარგადაა ამეტყველებული. განსა-  
კუთრებით მომენტის უელბეკისეული, ჩვეული, ირონიანარევი  
თხრობა, რასაც, როგორც ამ მძრლის მახსიათებელს, უკვე  
მიჩვეულია მკითხველი. იმდენად ცოცხალია ტექსტში ეს ირო-  
ნია, რომ კითხვისას აღბათ ძნელად შეკავებთ ღიმილს თუ  
სიცილს. ტექსტის ეს ნიშან-თვისება ჯერ კიდევ რამდენიმე  
წლის წინ, რუსული თარგმანის კითხვისას შევნიშნებ და ძალიან  
გამახარა იმან, რომ ქართულ ვერსიაში ის ზედმინებით არის  
შენარჩუნებული. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ვი-  
ზუექრო – თუკი ორმა სხვადასხვა ენაზე მთარგმნელმა ერთი  
და იგივე ენობრივი და ხასიათისრივი ქსოვილი შეინარჩუნა,  
ესე იგი, მოკვდავნი, რომელნიც თრიგინალს ვერ ვეითსუ-  
ლობთ, ხარისხიან თარგმანს მანც ვეცნობით. შეგნებულად  
არ ვამახვილებ ყურადღებას ზოგიერთ ხარვეზზე – ხანდახან  
უადგილოდ შერჩეულ მოულოდნელ სიტყვაზე, ან ლექსებზე,  
რომელიც უხვადაა რომანში გაძნეული და რომელიც სამ-  
ნეხაროდ მხოლოდ ბწყარედის დონეზეა თარგმნილი მერაბ  
მიქელაძის მიერ.

დაგუბრუნდეთ რომანს. კუნძულის შესაძლებლობა –  
ესა დესტრუქციული პიმინი სიყვარულზე, საყვაელთა  
სიყვარულზე, როგორც ასეთზე და აგრეთვე ქალისა და მამ-  
აკაცის სიყვარულზე. ესაა რომანი სექსის მნიშვნელობაზე და  
უმნიშვნელობაზე, ესაა რომანი ტკივილზე, ადამიანის გაქრო-  
ბის ტკივილზე.

რომანში სხვადასხვა ისტორიებია, თუმცა, ქარგა ტრადიცი-  
ული აქვს, სადაც პარალელურ რეჟიმში ორი ამბის თხრობა  
ხდება. ერთი მთხოობელი გახლავთ დანიელი – იუმორისტუ-  
ლი სკეტჩების ავტორი, პოპულარული ტიპი, რომელიც მერე  
პორტორაფიულ ფილმებსაც იღებს. მეორე მთხოობელიც  
დანიელია, მხოლოდ ნეო ადამიანი, მომავლის არსება. თავად  
რომანი კი ერთგვარი ელექტრონული თუ ცაფრული ხიდია ამ  
ორ სამყაროს შორის, ორ ცნობიერებას შორის, რომელთაგან  
ერთი მეორის გაგრძელებაა...



რა ელის კაცობრიობას მომავალში. სასრულია თუ არა ჩვენი ფიზიკური არსებობა და მეტაფიზიკური სამყარო ხდება თუ არა ჩვენი რეალური სახე სიკვდილის შემდეგ?

დანიელი, რომელიც არის ცრნბილი და პოპულარული კომიკური სკეტჩების ავტორი, აქვს ბევრი ფული, ჰყავს ქალები და მოუხედავად მისი ცინიზმისა და ორნიზული დამოკიდებულებისა სამყაროს მიმართ, ის გრძნობების ტყვებაში ხვდება. და როგორც „პრეისტორიული ურჩხული“, სატრიალო ჯაჭვებისა და ბორკილების ჩხარუნით დაბრრიალებს გულგრილ, სიყვარულის უუნარო ადამიანებს შორის, ვისთვისაც სექსუალობა მხოლოდ სასიამოვნო გართობაა, ეროტიკასა და ცდუნებაზე დაფუძნებული, სადაც გრძნობები საჭირო არაა. სიყვარული „სხვა არაფერი იყო, თუ არა რაღაც ფიქცია, სენტიმანტულური მონაჩრახი, რომელიც სუსტებმა გამოიგონეს ძლიერებში დანაშაულის გრძნობს გასასვინძებლად. რათა ამ უკანასკნელთა ბუნებრივი თავისუფლება და სისასტიკე შეეზღუდათ“. და არამხოლოდ ქალის მიმართ, მისი ემოციური სამყარო შეძრულია მომავლის ფიქრებით.

მოხუცებულობა და ავადმყოფობა – აი, რა ელის ადამიანს. ახალგაზრდობა კი სიცოცხლის ერთადერთი მომენტია, რომლის მერე სრული დეკადანი იწყება. ქვეშაფისა ბებრები კი აღარავის სჭირდება. აյ უელბეკი თავს ესხმის ამერიკელ რეჟისორს, ლარი კლარკს, ეძახის მას გარყვნილს, ბოროტებით მოვაჭრეს, რადგან ხაზგასმით დასცინის მოხუცებს და საერთოდაც, მოხუცების მონინააღმდეგა და იცავს ახალგაზრდებს. აქ ის პარალელს ავ-ლებს მეორე საინტერესო რეჟისორ, მიხაილ

პანეკესთან და მის მორალისტურ შეხედულებებთან. ლარი კლარკი კი, და მისი იმ დროისათვის ახალი ფილმი, „კუნ პარე“ საზოგადოებას პირველყოფილებისკენ მიერევება, როცა ახალგაზრდა დაუნდობელი და სასტიკა მშობლის მიმირთ მსოლოდ იმიტომ, რომ ის დასუსტებულია ასაკისა და ავადმყოფობის გამო. ლარი კლარკი და მისი მარჯვენა ხელი, ჰერმონი კორინი უელბეკის აგრესიული თავდასხმის მსხვერპლი ხდებიან ამ რომანში. უნიჭო, გარყვნილი, მდაბილ, ბოროტებით მოვაჭრე – ამ ეპითეტებით ამჟობს წინასწორობადაკარგული ავტორი, რადგან თავადაც სასონარკვეთილია სიბერის მოასლობის გამო, თავადაც ლარი კლარკისანირი სასტიკი დამოკიდებულებების პოტენციური მსხვერპლია.

აი, ასეთი მძიმე ფიქრებით შეპყრობილი უელბეკის პროტაგონისტი ელოკატი სექტაში ხვდება. სექტის მიზანი ბანალურა – უკვდავება. მას ჰყავს მრევლი და აქვს ყველა ის ვიზუალური თუ იდეოლოგიური აქსესუარი, რაც რელიგიურ განმტკიცებას შეიძლება სჭირდებოდეს. გარდა ამისა, ჰყავს მეცნიერი და აღჭურვილია ურთულესი ლაბორატორიით, რათა მიაღწიოს უზენაეს მიზანს – ადამიანის უკვდავებას კლონირების გზით.

უკვდავება. აქ იშლება სექტის მამორავებელი ძალა – დისკრედიტაციული ფონი, ცინიზმი სიცოცხლის წესების მიმართ, რათა საზოგადოებამ უარი თქვას სიცოცხლეზე, გამრავლებაზე და დაემორჩილოს უზენაესი დის კანონებს. კაცობრიობის ერთადერთი მიზანი – გამრავლება სექტის წევრებისთვის აღმაშეობოთებელი სწრაფვა. მათი აზრით, ადამიანები უბედური არიან, ჭუუა ვერ ისნავლეს და მთელი არსებით ერინააღმდეგებიან ყველანაირ ცვლილებას. მათ უნდათ, რომ ჰყავდეთ ბავშვები, ეს საშინელი მონსტრები, და საკუთარი ხელითვე გაითხარონ სამარე, რადგან ამით ისინი უბედურების მარატიულობის დასამკვიდრებლად იბრძვიან.

კლონირებული არსებები კი, თავის მხრივ, ზედმეტი ემოციებისგან თავისუფალნი არიან. მათ არა აქვთ საჭმლის მომნელებული ორგანოები. ისინი იყვებებიან მინერალებით და მზის ენერგიით. არა აქვთ ვნებები, ემოციები, გულისტკივილები და ოცნებები. არ შეუძლიათ სიყვარული. დანიელი, რომელიც ადამიანურ ცხოვრებაში სიყვარულისგან უარყოფილი და დასახირებულია, თავის ნეო ცხოვრებაში ამ მდგომარეობისგან თავისუფლდება. თუმცა, შემდეგი თაობის დანიელი უნებურად ინსას მეხსიერებაში დანიელ პირველის გამოცდლებას. ამ ფანტასტიკურ საბურველში გახელული გვიყვება ავტორი სიყვარულზე, მის წარმავალობაზე, რადგან სიყვარული მიბმულია სექსობრივ ურთიერთობას. დანიელ პირველი უბედურია. ის კარგავს თავის დიდ პირველ სიყვარულს, იზაპელს, რადგან იზაბელა დაბერდა, და არ უნდა დანიელს სიბერესთან შეხება, არა იმიტომ, რომ იზაბელი არ უყვარს, არამედ იმიტომ, რომ იზაბელის მობერებულ სხეულთან შეხება მას საკუთარ მობერებულ სხეულს შეხსენებს. ხოლო დანიელის ტრაგიზმი სიბერე და სექსუალური უძლურებაა, ის იყვარებს ახალ ქალს, ესთერს, უფრო სწორად, ეპოტინება ახალგაზრდობას, სექსუალობას და თავს

იტყუებს თითქოს, რომ ისიც ახალგაზრდაა. ეს სიყვარული კი არა, ახალგაზრდობისად-მი ლტოლვაა, ლტოლვა – ყველაზე ბანალური გაგებით. ესაა სიყვარულის სიყვარული, თორემ თავად ესთერს აქ მხოლოდ „მულია-ჟის“ როლი აქვს. „ახალგაზრდა სხეული, ერთადერთი სიმდიდრე, რომლის შექმნის ძალა სამყაროს აღმოჩნდა, მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდებისვე მოსახმარდ არის განკუთვნილი, მოხუცებს ისლა დარჩენიათ, მუხლჩაუხელად იშრომონ და იტანჯონ. ასეთი გახლავთ თაობათა შორის სოლიდარობის ჭეშმარიტი არის. ეს სოლიდარობა სხვა არაფერია, თუ არა წმინდა წყლის ჰოლოკოსტი – დღევანდელი თაობის უმოწყალო ამოულეტა მომავალი თაობის საკეთოლდელოდ... ჰოლოკოსტი, რომელიც არანაირ მატერიალურ და ემოციურ კომპენსაციას არ სცნობს“.

ხოლო შემდგომი დანიელი, გრძნობებისგან დაცლილი არსება, რომელსაც არა აქვს უნარი, დაანგრიოს, შესაბამისად, მოკლებულია შენების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, თავის მხრივ, განწირულია. თუმცა, ავტორი არ გვაძლევს მინიშნებას, რომელ განწირულებას სწრავს თავად, დანიელ პირველის მეტაფიზიკურ სიკვდილს და ტრაგიზმს? თუ – ნეო დანიელის უგრძნობ სამყაროში დაღუპვას...

ეს, ერთი შეხედვით, უცნაურსათაურიანი რომანი ნელ-ნელა ცხადდება, როცა თხრობაში კუნძული ლანძაროტე შემოძის. ტექსტის ფინალური ნანილისენ თხრობა სევდიანად მიღის, სადაც ნეო დანიელის ტრაგიზმს ფონზე კაცობრიობის არსებობის ფინალია ასახული და შელი ზღვარს ფანტასტიკას, ტრაგედიას, ფილოსოფიას და ეროტიკას, როგორც ლიტერატურულ მიმართულებებს შორის.

ავტორი ლამისაა, ბრაზით ამხელს ყველას და ყველაფერს, რაც მას ტკივილს აყენებს. და ჩვენც, შეუძლებელია, არ მოგვეძალოს ცოტაოდენი ირონია, რადგან თვალნათლივ ჩანს, რომ მოელი ეს ქარტებილი, სასონარკვეთილება და სიკვდილის აჩრდილების ფანტასმა-გორიული ცეკვა განპირობებულია შუახნის მამაკაცის კრიზისის ვერდაძლევით. მწერლის ასაქს არ შევეხბოდა, მას რომ თავად არ გაეჭურუებინა სუბიექტური ნიუანსები, რაც, ჩემი აზრით, პრობლემის იძიექტური ხედვის რაკურსს ფოკუსიდან აგდებს, თან ცოტათი ინფანტილური და ვულგარული ელემენტებით ტვირთავს. თუმცა, სამართლიანობისთ-

ვის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა კრიზისი ასეთ ტექსტს აწერინებს აგტორს, ეს უკვე კრიზისი კა არა, რენენსანსია, მიუხედავად სუბიექტური და დაუღვინებელი სიმძაფრისა. მეორეს მხრივ, ეს ნიგნი კარგი მაგალითია მიმის, რიგორ ნერს არაფანტასტი მწერალი ფენტეზის. საერთოდ, ამ უან-რის ლიტერატურაში ნეო ადამიანის თემა გადაღეჭილია და უელბეკი მხოლოდ ფენტეზის არმცოდნე საზოგადოებას თუ გააკეირვებს. თუმცა, სწორედ ის, რომ თავად არ იყენებს იმ ინსტრუმენტებს და გაცვეთილ სამუშაო მეთოდებს, რომელ-საც ფანტასტები, უელბეკი სწორედ რომ იგბებს და ისევე უბინოდ დააბიჯებს ფენტეზის უანრის ტექსტში, როგორც მისი კლონირებული ადამიანი დედამიზის ქერქის ზედაპირზე.

და იქნებ არცაა ფენტეზი. იქნებ ესაა ის ჩიხი, რომელზეც უელბეკი მიგვითითებს და პოსტაპოვალიბურ ნეო ადამიანთა ცხოვრებაში ხედავს გამოსავალს? რომანის ფინალური ნანილით ხომ ფაქტობრივად საიქიო ცხოვრების მოსაწყენი ყოველდღიურობა დახატა უელბეკმა. იქ სხეული პირობითობა, შეიძლება ითქვას, რომ არც არსებობს, რადგან მისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები მინიმუმამდევა დაყვანილი. ამამ, გაუსაძლისად ერთფეროვან რუტინულ მსვლელობას, რომელიც უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, უელბეკმა სიკვდილის შემდგომი ცხოვრების გაუსაძლისი ერთფეროვნება და ახატა და ამით ფრთხები დააჭრა იმ ადამიანების ოცნებას, ვისაც გარდაცვალების შემდგომი არსებობა სასოებით ეიმედება.

რომანის სერიოზული ლაფსუსია ის, რომ უელბეკი ერთბად წყვეტის ტრაგიკული დანიელ პირების ცხოვრებას, თითქოს ავტორი დაიღალაპი მისი სასონარკვეთის ალნერით. და დგება ახალ დედამინაზე ახალ დანიელეთან ერთად, რომელიც თავის თავს კი არ ჰგავს, არამედ თავად ავტორს, რომელმაც გადაწყვიტა, მშრალად, უემოციოდ გვებიძგოს ახალი რეალობის აღსაქმელად. ხელოვნურია პასაჟები, სადაც ახალი დანიელი იხსენებს ძველ დანიელს, თხრობა „ნენჯეომნიკურ“ პუბლიკაციას ემსგავსება. ჩჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა ეს ნანილი რატომღაც ესკიზის დონეზე დატოვა. ან გამომცემელმა დააჩქარა და მიაფურჩხა (ეს უკანასკნელი მიზეზი, ცხადია, ხუმრობაა. ლ.კ.)

და მიუხედავად იმისა, რომ არც ამერიკა აღმოჩენია უელბეკს ამ რომანით და არც ფარდობითობის თეორია, ის მაინც ნამდვილი, მაღალი ხარისხის ლიტერატურის კიდევ ერთი ნიმუშია, რომელიც ძალიან მტკიცნეულად შეგვასხვენებს ადამიანური მოდგმის სასრულობას, სიყვარულის სასრულობას და სასონარკვეთას. და ბოლოს, ამდენი სასონარკვეთილების შემდეგ, უელბეკს სწორედ რომ დასცდება ოპტიმისტური ფრაზა, რომელიც მას ყველანირ ტკივილზე მაღლა აყენებს და მეც ამ ფრაზით დაგვასრულებ ამ რომანზე საუბარს: „და თუ ეს გარდაუვალია, თუ სიკვდილს ერთ დღესაც თვალი თვალში უნდა გავუყაროთ, დაე, ნუ ექნება მას ჩვეულებრივი, დაძაბულებული, დამჭერარ-გამომშრალი სახე, დაე, დაუშვას გამონაკლისი – გამოგვეცხადოს სიამოგნებისგან გიბადრული ღიმილით!“.

# 5

# ახალი თარიღები



„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ გამოსაცემად ამზადებს გერმანული მოთხოვის ანთოლოგიას სახელწოდებით „გახლეჩილი ქვეყანა“, რომელიც გერმანიის გაერთიანების 25-ე წლისთავს ეძღვნება. მკითხველს ვთავიზობთ კრებულის შემდგენლის, დავით კაკაბაძის წინასიტყვაობასა და წიგნში შესულ ორ მოთხოვის, გდრ-ელი პაინერ მიულერის „რკინის ჯვარსა“ და დასავლეოგერმანელი არნო შმიდტის „ზაფხულის მეტეორს“.

## ორი ქვეყანა - ორი ლიტერატურა?

### დავით კაკაბაძე

1964 წლის დეკემბერში ბერლინში, მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, გაიმართა მწერალთა საერთაშორისო სემინარი სახელწოდებით „ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა და ლიტერატურის მდგომარეობა“. სემინარის მონაცილებს (ძირითადად კომუნისტურ ბლოკში შემავალი ქვეყნების მწერლებსა და კულტურის დარგის მოღვაწეებს) მიღებული ჰქონდათ „ზემდგომი ორგანოების“ მითითება, რომლის თანახმადაც მოხსენებებსა და დისკუსიებში მეტი უნდა გამოკვეთილიყო ორი გერმანული ლიტერატურის არსებობა: ერთ მხარეს გდრ-ის „პროგრესული“, „ანტიფაშისტური“ სიტყვაკაზმული მწერლობისა და მეორე მხარეს – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმეტესწილად „რეაქციული“, „მილიტარისტული“ ლიტერატურისა; ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, სემინარის მონაცილებს დაუსახეს ამოცანა, ნათლად წარმოეჩინათ გდრ-ში მიღებული „სოციალისტური რეალიზმის“ უპირატესობა გფრ-ის ლიტერატურისთვის დამასასიათებელი „ფორმალიზმისა“ და „აბსტრაქციონიზმის“, „ბურჟუაზიული დეკადენტურობის“ წინაშე.

სემინარი უნდა ქცეულიყო (თუმცა რამდენიმე თამაში და უკომპრომისო გამომსვლელის გამო ვერ იქცა) დამაჯერებელ პასუხად იმხანად ახალგაზრდა დასავლეოგერმანელი მწერლის, გიუნტერ გრასის განცხადებაზე, რომ „გერმანია პოლიტიკურად, მართალია, ორად არის გახლეჩილი, მაგრამ ის მაინც ინარჩუნებს საერთო ენსა, როგორც შემაკავშირებელ ძალას“. როგორც გაირკვა, ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატის ამ პოზიციას ბერლინის ზემოხსენებული სემინარის არაერთი მონაცილეც იზიარებდა. დასავლეოთში კი მიმდევრები მას ისე-

დაც მრავლად ჰყავდა. მაგალითად, ცნობილმა გამომცემელმა კლასულ ვაგნენბახმა შეადგინა და 1968 წელს გამოსცა გერმანულოვანი სასკოლო ანთოლოგია, რომელშიც სრულიად უგულებელყოფდა სახელმწიფო საზღვრებს, ფიქრობდა რა, რომ კრებულში შეტანილი ტექსტები ერთიანი სულიერი სამყაროს, ერთიანი გერმანული კულტურის ნაწილი იყო.


წინამდებარე კრებული, გარკვეულწილად, ვაგენბახს წამოწყებული ამ ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება მივიჩინოთ, ტრადიციისა, რომელიც საბაზს უსვამს გფრ-ისა და გდრ-ის ლიტერატურების არსებობას ერთიანი კულტურული მეხსიერების სივრცეში, თუმცა, მეორე მხრივ, იმ განსხვავებებსა და თავისებურებებზეც მიგვნიშებას, რომლებსაც ლიტერატურულ პროცესზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის გავლენა განაპირობებს.

ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილმა ორმა გერმანიამ დახმარებით თოში ათეული წელი იარსება. აქედან თითქმის 30 წელი ამ ორ სახელმწიფოს ყოფდა 155-კილომეტრიანი კედელი, რომლის 43-კილომეტრიანი მონაცემით ბერლინზე გადიოდა. ერთი გერმანია დემოკრატიის პრინციპებზე იყო აგებული, ხოლო მეორე (სწორედ ის, რომელსაც „დემოკრატიული“ ერქვა) დიქტატურასა და ავტოკრატიას ემყარებოდა. შესაბამისად, სხვადასხვაგვარი იყო კულტურის სფეროში სახ-

ელმნიუს ჩარევის, ხელოვნების ნაწარმოებთა ცენზურის დონე. განა შეიძლებოდა, ორი სახ- ელმნიუს ესოდენ მკვეთრი იდეოლოგიური განსხვავებულობა არ ასახულიყო ამ ქვეყნებში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებაზე?

და მაინც, არსებობს თუ არა ორი გერმან- ული ლიტერატურა? ამ კითხვას ორი პასუხი აქვა: „არსებობს“ და „არ არსებობს“. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა უდერდეს, ორივე პასუხი სწორია. თუ საჟითხს იდეოლოგიურ ასპექტში განვიხილავთ, ნათლად დაგრინახვთ ბევრ დასავლელ და აღმოსავლელ ავტორს შორის აღმართულ ვირტუალურ კედელს, რომელიც ზოგჯერ ბეტონის კედელზე უფრო „სამედინ“ და მყარი განმაცალევებელია. შე- საბამისად, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ გდრ-ის ლიტერატურის არსებობა სულაც არ ყოფილა ეფუძნული. ამავდროულად, დღემდე ვერცერთმა ლიტერატურამცოდნებ ვერ შე- ძლო მაკაფიო გამყოფი ხაზის გავლება გფრ-ისა და გდრ-ის ლიტერატურებს შორის, რაც, სხვა გარემოებებთან ერთად, თუნდაც იმ უბრალო მიზეზითაც შეიძლება აიხსნას, რომ ბევრი აღ- მოსავლეთერმანელი ავტორი (ზოგი თავისი ნებით, ზოგი – იძულებით) დასავლეთ გერმა- ნიაში გადასახლდა. დაუთვლიათ კიდეც, რომ გდრ-იდან გფრ-ში საცხოვრებლად გადასულ მეტად თუ ნაკლებად ცნობილ მწერალთა და პოეტთა რიცხვი 100-ს აჭარბებს.

აღმოსავლეთ გერმანიიდან გაძევებულობა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ვოლფ ბირმანს, დისიდენტ პოეტს, მოძღვანლა და კომპოზიტორს, რომელსაც 1976 წლის ნოემბერში გდრ-ის სოციალისტური ერ- თანობის პარტიის პოლიტიკურობ ქვეყნის მო- ქალაქება ჩამოართვა და გფრ-ში საკონცერტო ტურნედან შინ დაბრუნების უფლება არ მისცა. კომუნისტ ლიდერთა ამ გადაწყვეტილებას დიდი საპროტესტო ტალღა მოჰყვა როგორც ქვეყნის გარეთ, ისე (ბევრისთვის მოულოდ- ნელად) მის შიგნითაც. გდრ-ის 12 ცნობილმა მწერალმა იმ დროისთვის მართლაც არნახული სითამარე გამოიჩინა და მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო წერილი, რომელშიც მას გადაწყ- ვეტილების შეცვლისკენ მოუწოდა. წერილის ხელმინერები (ზათ შორის ჩვენი კრებულის ავტორები ქრისტა ვოლფი, ფოლკერ ბრუნი, ფრანც ფიუმინი, შტეფან პერმლინი, შტეფან პაიმი, გიუნტერ კუნერტი, პაინერ მიულერი და იურე ბეკერი) თავინთ იჯახებთან ერ- თად გდრ-ის საიდუმლო სამსახურის, შტაზის გამუდმებული თვალთვალის ობიექტებად იქც-



პაინერ მიულერი

ნენ, ზოგი მათგანი კი ასეთი „თავხედობისთვის“ სამსახური- დანაც დაითხოვეს.

კრებულ „გახლეჩილ ქვეყანაში“, რომლის სათაურსაც ნაწილობრივ „გახლეჩილი ზეცის“ ავტორს ქრისტა ვოლფს დავ- ესესხე (1963 წელს დაწერილი მისი მოთხოვისა სწორედ ბერ- ლინის კედლის მშენებლობისა და, მასთან ერთად, ქალაქის, ქვეყნის, იჯახის, სამეცნიერო წრის ორად გახლეჩის პრობლემას ეძღვნება), თავმიყრილა 25 „აღმოსავლელი“ და 25 „ადასავლე- ლი“ ავტორის ნაწარმობები. აյ არაა როგორც კარიერისტები და რეჟისორის უყრიმოქრილი მსახურები, ისე დისიდენტები და პოლიტპატიმებები, როგორც მორწმუნე სოციალისტები, ისე ან- ტიკომუნისტები, როგორც სიცოკზლეშვე ლეგენდად ქცეული მნერლები, ისე გერმანულენოვან სამყაროს მიღმა შედარებით ნაკლებად ცნობილი ავტორები. მათ შორის ვერ შეხვდებით მე- ოცე საუკუნის დასავლეთერმობული ლიტერატურის ერთ-ერთ ბემბერაზს, 1955 წელს გარდაცვლილ თომას მანს, რომელიც, გერმანიის გაყიფვას, მართალა, მოესწრო, მაგრამ არც გფრ- ში, და არც გდრ-ში არ უცხოვრია – სიცოკზლის ბოლო თრ ათწლეულზე მეტი გარემონაციიში გაატარა.

ნაწარმობების შერჩევისას ვხელმძღვანელობდი არა ავტორე- ბის პოლიტიკური მრნამისთვის თუ მორალურ-ზნებობრივი პრინცი- პებისადმი ერთგულებით, არამედ ლიტერატურული პროდუქცი- ის სარისხით. 50 მოთხოვიდან 47 იმ პერიოდშია დაწერილი, როცა გერმანია ერთიანი სახელმწიფო აღარ იყო: იგი გაიყო ჯერ საოცუპაცია ზონებად, ხოლო შემდეგ (1949-იდან 1990 წლამდე) – ორ ანტაგონისტურ სახელმწიფოდ სამ შემთხვევაში (ალფრედ დიოპლოინის „ბაბუანვერას მკვლელი“, არნოლდ ცვაიგის „ოტო ტერეს ბედნერება“ და ბერტოლდ ბრეხის „აუგსბურგის ცარ- ცის წრე“) არჩევანი ბანაპირობა კონკრეტული სამი მწერლის შემოქმედებაში დასახელებული ნაწარმობების მნიშვნელობამ. მოთხოვიბის ორ მესამედზე მეტი (50-დან 36) საგანგებოდ ამ კრებულსთვის ითარგმნა, ხოლო თავად კრებული ეძღვნება გერმანიის გაერთიანების 25-ე წლისთავს, რომელიც 2015 წლის 3 ოქტომბერს აღინიშნება.

# ՀՅՈՒՆՈՒ ԶՅԱՐՈ



## პაინერ მიულერი

45-ის პაროლში ერთმა მეტლებზურგელმა ქალალდით მოვაჭრებ, სტარგარდის მკვიდრმა, გადაწყვიტა, მოეკლა ცოლი და ოთხეტერი წლის ქალიშვილი, მერე კი თავადაც გამოსალმებოდა სიკოცხლეს.

პირველი მსოფლიო ომში თადარიგის თფუცრად მსახურობ-  
და და იმ დროიდან ჯერაც შემორჩენოდა რევოლუციი და ათი  
ვაზა.

როცა ცოლმა სამზარეულოდან ვახშამი გამოუტანა, მაგი-  
დასთან იდგა და იარაღს წერიდდა.

პიჯაკის ღილეკილოში რენის ჯვარი დაემაგრებინა, რასაც, ჩეცულებრივ, მხოლოდ დლესასნაულებზე თუ შერებოდა ხოლმე.

ფიურერმა თვითმკველელობა არჩია, — მიუსგო ცოლს მის-  
სავე შეკითხვაზე, მე მისი ერთგულება მმართებსო, დასძინა;  
შენ, ჩემი მეუღლე, ხარ თუ არა მზად, ამ გზაზეც გამოწყვეო;  
ქალიშვილში ეჭვი არ მეპარება, ვიცი, ულირს სიცოცხლეს  
მამის ხელით ღირსეულ სიკვდილს ამჯობინებსო.

ქალიშვილს უხმო. მანაც იმედი არ გაუცრუა.

ცოლის პასუხს აღარ დალოდებია, ორივეს უბრძანა, პალტოები ჩაიცვათ: აყალმაყალი რომ არ ატყდეს, ქალაქებარეთ, შესაფერის ადგილას უნდა წაგიყვანოთ. ისინიც დაემორჩილენ. მერე რევოლუციერ დატენა, ქალიშვილის დახმარებით თვითონაც ჩაიცვა პალტო, კარი გადაკეტა და გასალები ფოსტის ყუთის ჭრილში ჩაგდო.

წვიმდა. ქალაქის ჩანელებულ ქუჩებს გარეუბნისკენ მი-  
უყვებოდნენ სამნი: წინ - კაცი, ოდნავ მოშორებით - ქალები. კა-  
ცი უკან არც იყურებოდა. ასფალტზე ნაბიჯების ხმა მეკა-  
ფიოდ ესმოდა.

გზიდან ბილიკზე რომ გადაუსვია და წიფლნარისეკენ წავიდა, თავი მიაბრუნა და თანამგზავრებს გასძახა, ფეხი გამოადგითო. მოშინებულ მინდორზე ქარი უფრო ძლიერად ქროდა, ხოლო წვიმით გაულენთილ მინაზე ფეხის ხმას ვეღარ გაიგონებდი.

კაცმა ხმას აუწია: წინ გამიძებიოთ, დაიყვირა. ფეხდაფეხ მაჟყვებოდა ქალებს და ვერ გარკვეულიყო, იმის ეშინოდა, ცოლ-შვილი არ გაქცეოდა თუ თვითონ სურდა მათგან თავის დაღწევა. სულ მალე ქალებმა კარგა მოზრდილი მანძილით გაუსწრეს. როცა ისინი თვალს მიეფარნენ, მიხვდა, რომ გასაქცევად სითამარე არ ეყოფოდა; ისიც კი ინატრა, ნეტავ თვითონვე უშველონ თავსო. მერე გაჩერდა და მოშარდა. რევოლვერი შარვლის ჯიბეში ედო, თხელი ქსოვილიდან გრძნობდა მის სიცივეს. აქეარდა, რათა ქალებს დასწრეოდა. სიარულში ფეხზე იარაღი ეხლებოდა. მერე ნაბიჯი შეანელა. მაგრამ როცა რევოლვერის გადასაგდებად ხელი ჯიბეში ჩაიყო, ცოლი და ქალიშვილი დალანდა. შუა გზაზე გაჩერებულიყვნენ და მას ელოდნენ.

თავიდან ტყეში აპირებდა განზრასულის შესრულებას, მაგრამ მიხვდა, რომ სროლის ხმას აქავ ძნელად თუ გაიგონებდა ვინმე.

როცა რევოლუციი ამოიღო და ჩახმახის  
დამცველი გადასწინა, ცოლი აქვთონდა და  
კისერზე ჩამოკიდა. ქალი მძიმე იყო და მისი  
მოცილება გაუჭრიდა. მიუახლოვდა ქალიშ-  
ვილს, რომელსაც მისთვის გაყინული მზერა  
მიეპყრო, რევოლუციი საფეხულზე მიადო და  
თვალდახუჭულმა ჩახმახს გამოკერა. იმედი  
ჰქონდა, იარაღი არ გაისვრისო, მაგრამ სრო-  
ლის ხმა გაიგონა და ისიც დაინახა, როგორ წა-  
ბარაცდა და დაეცა გოგო.

ცოლი ცახცახებდა და ყვიროდა. კაცმა  
ძლიერს დამორჩილა. სიჩუმე მესამე გასროლის  
შემდგენ ჩამოწვა.

ମାର୍ଗିତା ଲାରିହା.

ახლომახლო არავინ იყო, ვინც უძრძანებდა, რევოლუციის ლულა ახლა შენ მიიღე საფეხურ-ელზე. მკვდრები ვერ ხედავდნენ, ვეთარც სხვა დაინახვდა ვინმე. სპექტაკლი დასრულდა, ფარდა დაეშვა. ისლა დარჩენოდა, იქაურობას გასკლოთა და სახიდან გრიმი მოეშორებინა.


რევოლუციური ჯიბეში ჩაიდო და ქალიშვილისკენ დაიხარა. მერე გაიცა. სირბილით დაბრუნდა გზაზე და ერთხანს ამ გზით ირბინა, ოლონდ არა ქალაქის მიმართულებით, არამედ დასავლეთისკენ. შემდეგ გზის პირას ჩამოჯდა, ხეს მიყყრდნო და ვოთარება ანონ-დანონა. მძიმედ სუნთქვავდა. დაასკვნა, რომ მოგონმარიობა უიმედო სულაკა არ ჩანდა.

საკმარისი იყო, სირბილი გაეგრძელებინა, სულ დასავლეთისკენ ერბინა და მახლობელი სოფლებისთვის გვერდი აევლო. მერე სადმე, რომელიმე დოდ ქალაქში, ყველასთვის შეუმჩნევლად დასახლებასაც შეძლებდა, სახელს გამოიცვლიდა, ხალხს ერთ ჩევეულებრივ დევნილად, არაფრით გამორჩეულ და მმრომელ კაცობრით დაგვაწინა.

କୁଅର୍ଦ୍ଧ ଗ୍ରାମ୍ୟବିଳ୍ପିତାଙ୍କୁ ବାର୍ଷିକ ରେଖାଚିତ୍ର କରିବାକୁ ନିର୍ଦ୍ଦେଶ ଦେଇଛନ୍ତି।

# ზაფხულის მეტეორი

განვითარებული  
კულტურული



## არნო შმიდტი

შორიდანვე შემომესმა, როგორ ნერვიულად ხაფხაფებდა პიანინო ემელინეს პატარა თათებქეშ; ზედაპირზე მსხვილ-მსხვილი ბუშტულები ამოღოდა; დროდადრო პანი დაბუყბულებდა (და კვლავ მომეჩვენა, რომ პატარა ბიჭი ვიყავი და ჩემს აკვარიუმთან ვიდექ); პაერის შადრევებრძაც ასე თუხთუხით იცოდნენ ამოფრქვევა, იმავე ნამს ქარმა ფარფლივით მოიქნია გახურგბული კუდი, მწვანე ბუჩქები მარავებივით გადაიშალნენ და წყალმცენარებივით გაფითრდნენ. უკვე პაგემანს ვხედავდა: სახეზე ზეთი ჩამოსდომდა და სტუმრებისთვის ღია ფერის ღვინით სავსე ჭიქები მიჰქინდა – ეტყობა, ოთრი ბორდო იყო, Lacour Blanc მით უკეთესი!).

მოსასალმებლად კადასატრის გადამდგარმა მრჩეველმა შტურენბურგმა მოზრდილი წყვილ-სარქვლიანი (წყალსაშიროებისგან საიმედოდ დაცული) ჯიბისა საათი ცხვირთან მომიტანა?:? მოსაბოდიშებლად ათასი სტუმარი მოვიმიზეზე, აქეთ გამომცემელი, იქით მუზა („ჯალათები!“ იქედნურად ჩაიქირქილა პოლკოვნიკმა ფონ

დისკაუმ); ბოლოს მაინც მოვახერხე და ისე განადგურებულმა და დანაშაულის გრძნობით აღსავსემ დავიკავე ადგილი, რომ პატიება გარდაუვალი შეიქნა. მეაფთიაქე დეტმერს – პატარა წვერი მის ნაზ-მრგვალ სახეზე ახლა უფრო მეტად მიაგავდა ნეილონისას – „გადალლილი“ და „ლომებჩაცვენილიც“ კი ვეჩვენე და, ვძედავ მცირე სარეკომენდაციი მინიშნება მოგანონდოთ ჩემ მიერ შექმნილ უნივერსალურ ნამალ „ვირგისანზეო“, მირჩია?: მაგრამ ისეთი იქედნური ქირქილი შეესმა, რომ მაშინვე მავედრებელი მლოცველივით შეაერთა ხელები და თავისი ორიგინალურმოუხერხებელი დასაჯდომი მოწყობილობის ჩალისგან მონაცემ ნიუარაში შეიყვანა.

ემელინეს ჯერ ბოლომდე ვერ გამოეთხარა ძირი ბენედეტო მარჩელოსათვის, მხოლოდ შუამდე იყო მისული; მეც ფეხის წვერებზე იქით გავემართო (ცითომ ემელინესთვის ნოტების გადაშლაში მისაშველებლად, სინამდვილეში დროის გასავყანად: გამორჩეულად არამუსიკალური ვარ, მგონი, აღვნიშნე კიდეც, რომ მუსიკის გაგონებაზე მხოლოდ თევზები თუ გამახსენდება, ან რამე ასეთი).

ნიგნების თარო. ერთი ნიგნის ფერი თვალში მომივიდა და გადმოვიდე: მუქ მწვანე ყუაზე დატანებულ ლია მწვანე ოთხკუთხედში გაკეთებული წარწერა: „ი. ა. ე. შმიდტი, ფრანგული ენის ლექსიკონი. 1855“. ალაბედზე გადავშალე, გვ. 33: „Auget – ლრმულაკი, რომელიც აალებადი ძეხვი იდება“ – ბარძაყზე ვიპნკუნე, სიზმარში ხომ არ ვარ და ხომ არ მერვენება-მეთქ: აალებადი ძეხვა??!! (ამ Auget-ს ხომ ველარასოდეს ამოიგიგდებდი თავიდნ; ეს თუჯივით წყალგაუმტარი მეხსი-ერება ნამდვილი სასჯელია!). –

კვლავ გარეთ (და სიჩუმე; აღარ ცმუკადა პიანინო). ჩვენს თავზე ზაფხულის კოხტად დავარცხნილი ლრუბლები მისრი-ალებდნენ. შორს ტბა სალამოს შექზე ლივლივებდა. ჯერ კიდევ ზაფხული იყო, ზაფხული, ზაფხული (და მაინც უკვე კვლავ მაურულებდა, შარვაზის ხეების სიკვდილის როკა რომ გამასხენდებოდა: ნოემბერში, ნოემბერში). წამცვარი ამჯერად დოქტორ ვარინგის ქვრივს, ქალატონ დრ. ვარინგ ქვრ.-ს, მოერთმა; შინ გამომცხარი; მხოლოდ გეოლოგიურ ინტერესს თუ დაუკამყოფილებდა კაცს (ეს პოლკოვნიკ ფონ დისკაუს ვუჩურჩულე, რომელმაც მხედრულად დაიგრევინა: ჩინებულია!).

„უ: აგე!!“ ემელინემ მეტეორისკენ გამშვირა ნამცხვრის ნაჭერი, რომელიც სოლივით მოემწყვდია მუჭში. მეტეორი დაბლა ეშვებოდა და სიბნელეში ლამაზ კვალს ტოვებდა!: თავს უფლება მივეცი და, „პერსეიდები“-მეთქი, წავილულლუდე; შტურენბურგმა გულმონხალუდე მხარი დამიჭირა. „რასაკვირველია“, თქვა მან, „ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე. პიკი 11-ში. – მცრინავ სხეულთაგან, მათ გარდა, სანდონი არიან აგრეთვე ორიონიდები (20 ოქტომბერი) და გემინიდები (10 დეკემბერი). დიახ!“

პაუზა. ამის მერე ყველამ თავი გამოიდო. დისკაუს, რა თქმა უნდა, მეტეორების მთელი პროცესიები ენახა კანადაში 1913 წლის 13 თებერვალს; მე თვითონ დაახლოებით 32-ში გერლიცა და ლაუბანს შორის ბოლიდზე დაკვირვების საშუალება მომეცა (ველოსიტედით მივდიოდ, სულ ახალგაზრდა ვიყავი, ოციოდე წლისა). მაგრამ შტურენბურგი ყველას გვაჩირებდა – თავის დაქნევით, ხელის აქნევით: „ამ კაცს ნინ ვერავინ დაუდგებოდა! (იქნებ ესაა ასაკის უპირატესობა, გიფე ბეგის ატ 70, რომ უეჭველად ყველაფერი ყველაზე უკეთ იცოდე?).“

„დექსტროკარდია“ დამარცვლით ნარმოთქვა შტურენბურგმა; და იქვე განმარტა: „არსებობენ ადამიანები, რომელთაც გული მარჯვენივ აქვთ: მართლა!“ სიგარას სული შეუბრეა, მეტეორივით გააყრევინა ნაპერნეკლები, და განაგრძო: „იმხანად გეტინგენის უნივერსიტეტში ვსწავლობდი; იქ მეგობარი შემომიჩნდა ფილოსოფიური არგუმენტებით და ერთი სემესტრი ანატომიაც მოვისმინე. ამ დროს ვეენდერსტრასეზე ერთი სანქალი Studiosus Medicinae ცხოვრობდა. ერთ მტკაველ ოთახს ქირაობდა დასთან და სამოცი წლის დედასთან ერთად პურის ფულისთვის გაკეთილებს იძლეოდა შეუსვერებლივ, ხოლო მისი და მაქმანებს ქარგავდა; და აი, როცა ერთ დღეს დედა გარდაიცვალა, და-ძმა არჩევანის წინაშე დადგა, დაკრძალვის ხარჯის გასაწევად ან უნდა ყველაფერი დაეგირავებინათ...“ (აქ დისკაუმ ყურები ცქინით და მიხვედრილი კაცის იერით გაშალა თითები: „ან?“). „ჰოო, ან“, მიუვგ შტურენბურგმა: „ამ დედას, როგორც თავიდანვე მიგანიშნეთ, ასე ვთქვათ, „გული ჰქონდა გადაქანებული“. მაშასადამე, სამედიცინო თვალსაზრისით ნამდვილ სასწაულს ნარმოადგენდა, რომლის გამოც წებისმიერ ანატომში ცირქულაცია ნერწყი მოადგებოდა. ჰოდა რას შევრება ახლა ეს ჩვენი ახალგაზრდა კაცი? სასონარკეთილი პროფესორს ეხალება და ანატომირებისთვის უნიკალურ რარიტეტს შესთავაზებს – ისიც, აღფრთოვანებული, მაშინვე დათანხმდება: 500 მარკად.“

„ემელინე!“ ჩაერთო ქალბატონი დრ. ვარინგი, რომელიც სულ უფრო ნაკლები უშფოთველობით ისმენდა ამბავს: „მეილო: გაიქცი და მზის ქოლგ მომირბენინე ნაპირიდან!“ ემელინე უხალისოდ დაემორჩილა უფროსს (და მე ნამით შევყოყმანდი, ბაგშეს ხომ არ გავყე-მეთქი? – მაგრამ არა: ჯერ ეს ახალი ისტორია მოითხოვდა სათანადო აღიარებას!)

„და აი, მარტო დარჩენილი ჩვენი სტუდენტი ბოლო ლამეს უთევს გარდაცვლილ დედას. იგი გვამს კუბოდან ამოილებს, ძველ საბანში გაახვევს და პარმალზე, საკავამურის უკან, დამალაგს. სამაგიეროდ, კუბოს ჩალითა და ქვებით ამოავესებს და საგულდაგულოდ დალურსმავს: ეს კუბი მეორე დღეს სრული პატივით მიებარება მინას. – ხოლო მოსალამოვდება თუ არა, შვილი დედის სხეულს ძველ ტომარაში ჩატენის და პროფესორის სახლისკენ მიმავალ გზას გაუდგება. ერთი ნაცნობი სტუდენტი შემოხვედება, რომელიც ჰკითხავს, ეგ რა მოგიკიდებიათ ზურგზეო?“ შტურენბურგმა თვალები მეფისტოფელურად მოჭრუტა; რამდენიმე დეტალითაც კი შეასო ამბავი: „აგვისტოს საღამოა. ქარი შუეგბში მიძერება. ბინდში ყოველ მხარეს ჰერსეიდები აზუზნებულან: ზუსტად ისე, როგორც დღეს! – საბრალოს თავზარი ეცემა, ერთი სული აქვს ხელიდან დამიძ-

ვრეს – მმმ: ხელიდან დაუძვრეს იმ ვილაცას! – და ასეთ პასუხს იძლევა: „თუ ლეროთი გრამატიკული დამეტებით, მეგობარო; ერთი ძველი არლანანა, სხვა არაფერი.“

პაუზა. დისკაუს, ბებერი სკეპტიკოსი, კმაყოფილი ქშინავდა; დეტმერი პირდალებული ელოდა გაგრძელებას; ხოლო ჰავემანი გახუნებული კერპივით გაუნძრევლად იჯდა ტრერასის ქვის დაბალ ღობეზე – ეჭვი არ არის, მისოვის ცნობილი იყო ამბის დასასრული!

„მდედრობითი სქესის გვამის ანატომირება მეორე დილითვე ჩატარდა; შებრუნებული სისხლძარღვთა სისტემა ჯერვანი გაოცებით იქნა დათვალიერებული; partium genitalium-ის კვეთისას პროფესორმა სუმრობით აღნიშნა: აი, პირველი სასწავლო სენაკი როგორც მეცნიერთათვის, ისე უმეცართათვის. მე კი ანტიკური ისტორიიდან იმპერატორი ნერონი მომაგონდა, რომელმაც საკუთარი დედა აკუნუკინა და რომელიც ხარბი ცნობისმოყვარებით ადვენებდა თვალს, თუ როგორ სრულდებოდა მისი ნება-სურვილი – რაზედაც სსენებულ სტუდენტს უცრად გული წაუვიდა. – მაშინ არც ერთმა არ უუწყოდით, რატომ; თუმცა მერე თანდათან ყველად შევიტყვეთ და ქალაქიც გავარდა ხმა. ჰმ.“

„მერე? იმ ახალგაზრდა კაცს რა დაემართა?“ იყითხა დისკაუმ ხრინნიან ხმით (და უსულგულოდ: ჯარისკაცები საშინელი ხალხია!).

„სხვა უნივერსიტეტში დაასარულა სწავლა“ ბრძანა შტურენბურგმა და უპირატესობის შეგრძნებით სავსემ ნარბები ასწია: „რამდენადაც ვიცი, ჯერაც არ შეუწყეტია სამედიცინო პრაქტიკა და საქმაოდ ცნობილი ექიმია ბრემერვერდეში. – დიახ.“

ქვივმა მხოლოდ ამოიკვნესა; მეაფთიაქე დეტმერი უსიამოვნოდ შეძრული დუმდა: მეც არანაკლებ უხერხულად ვგრძნობდა თავს: ნეტავ მართლა უპირატესობაა მრავლისმახველობა?!

დუმერის თავზე ღრუბლის ქულები ისე სამაგალითოდ შეგროვდნენ, მათი სურათი ნებისმიერ სახელმძღვანელოს დაამშენებდა. ემელინე აქოშინებული და უცნაურად ანითლებული დაბრუნდა ნაპირიდან. თხელი მეტეორი ვერცხლისფერი ნარბივით გადაევლო მთვარეს.

  
საქართველო  
სამინისტრო

## კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია

ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ხუთ წლის განვითარებისას გამოიყენდა.

- წლის საუკეთესო პრობაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითო წლის გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები;

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის ბირველი გამოცემა;

წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ;

გამომცემლობებმა თითოეულ წლის გამომცემლის მიერ შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევღენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო გადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.

მოკლე სიას ჟური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საზეიმო დაჭილდოების ცერემონიალზე გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ.

13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;

- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე [info@writershouse.ge](mailto:info@writershouse.ge);

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით [info@writershouse.ge](mailto:info@writershouse.ge)

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

**ზურნალი „ახალი საუნა“ 2015 წლის ბოლომდე  
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე**

**თითო ნომრის ფასი - 2 ლარი**

**მის.: ქ.თბილისი, იოსების ქ. 49**

**elva@elva.ge**

**ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;**

**2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774**

סניף הדואר  
הוועדה הלאומית  
הוועדה הלאומית

ו. 1/78

סניף הדואר

טבילה בים

NEY



984002

9770134 984002